WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№03 (238) ● 13-19.II.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## irakli RaribaSvili _ kviris gmiri



## გიორგი ყორღანაშვილი:

ქართველო ჟურნალისტებო, უარი თქვით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მომსახურებაზე, ნუ მოიწვევთ მათ თქვენს გადაცემებში, ნუ დაუძახებთ თქვენს თოქშოუებში, ნუ ჩამოართმევთ მათ ინტერვიუებს.




## `Canergilebi~, anu ratom afinansebda `kanonieri qurdi~ `kgb~-s generlis diswuls?

## policiis Tavganwirva romara, 8 Tebervali, SeiZleboda, msxverpliT dasrulebuliyo



ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პროვოკაცია სააკაშვილმა, ბოკერიამ და უგულავამ დაგეგმა?

## პაატა ხიზანაშვილი:

adamianebi patar-patara mzeebad unda viqceT, romerTmaneTs awmyo da momavali gavunaToT...



## ნანა კაკაბაძე:

vinc 8 Tebervlis provokacia dagegma, yvela cixeSi unda ijdes



## დავით საგანელიძე:

რაც შეეხება პოლიტიკურ კლიმატს, პოლიტიკური კლიმატი კი არა ამ პარტიას, ნაცმოძრაობას, პოლიტიკური კლიმაქსი აქვს...



## `sisxliani arlekinis~ sisxliani oinebi

ვაი, თქვენს პატრონს „ნაცებო“, გურგენებო, სააკაშვილებო და მერაბიშვილ-ადეიშვილებო! დიახ, ჩვენ მართლაც „აგენტები“ ვართ, ოღონდ თქვენსავით არა სხვა ქვეყნის, არამედ ჩვენი სამშობლოსი და რამდენიც არ უნდა გვხოცოთ, კიდევ ბევრნი დავრჩებით, თქვენისთანების დედის სატირებლად, გამიგეთ?

ISSN 2233-3983

9 772233 398001

## raxdeboda erovnul biblioTekasTan?

რეპორტაჟი შემთხვევის ადგილიდან

## rogor aqcies `nacionalebma~ sporti `zonderebis~ da `nacgladiatorebis~ samWedlod

## კვირის გმირი

**საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „საერთო გაზეთის“ მკითხველთა სატელეფონო გამოკითხვით, აგრეთვე სოციალურ ქსელებში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, გასული კვირის გმირია.**

**ირაკლი ღარიბაშვილმა 8 თებერვალს**



**ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აქცია მსხვერპლის გარეშე დასრულებულიყო.**

**აქციაზე მისვლით მან შეძლო განემუხტა უკიდურესად საშიში და სახიფათო სიტუაცია.**

**მადლიერების და პატივისცემის ნიშნად, აქციის მონაწილეები, ყოფილი პოლიტპატიმრები, რიგითი მოქალაქეები, ტაშით შეხვდნენ შს მინისტრს.**

**წარმატებები, მხნეობა და გამძლეობა ვუსურვოთ ბატონ ირაკლის მის უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.**

## საქართველოში 300 ტონამდე კიბოთი დაავადებული კარტოფილია შემოტანილი

შემოსავლების სამსახური სასაზღვრო გამშვები პუნქტების გავლით, ქართულ ბაზარზე დაავადებულ პროდუქტს არ დაუშვებს. ამის შესახებ სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი.

მიმდინარე წლის 6-11 თებერვლის ჩათვლით, საბაჟო გამშვები პუნქტების: „სარფისა“ და „ვალეს“ გავლით, საქართველოში სხვადასხვა იმპორტიორმა 300 ტონამდე კარტოფილი შემოიტანა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ფიტოსანიტარებმა ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, საეჭვო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებებიდან აღებული კარტოფილის ნიმუშები სპეციალურ ლაბორატორიაში გადაგზავნეს.



„ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, 300 ტონამდე კარტოფილი საკარანტინო მავნებლით – **Synchytrium endobioticum (Schilb) Perc** - კარტოფილის კიბოთი, ასევე საკარანტინო მიკროორგანიზმით - **Ralstonia solanacearum**-ით (მურა სიდამპლე) არის დაავადებული. აღნიშნული დაავადება საკარანტინოა. საქართველოს მთავრობის 6429 დადგენილების თანახმად, ასეთი საქონელი ექვემდებარება განადგურებას ან უკან (ექსპორტიორ ქვეყანაში) გაბრუნებას“, — ნათქვამია განცხადებაში.

შემოსავლების სამსახური სათანადო ინფორმაციას მუდმივად და ოპერატიულად აწვდის საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ვალდებულია თავის მხრივ ნოტიფიკაცია თურქეთის მხარეს გადაუგზავნოს. იგი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ითანამშრომლოს თურქეთის შესაბამის უწყებებთან საქონლის თანმდევი დოკუმენტების ნამდვილობის დადგენესთან დაკავშირებულ საკითხებში.

2012 წლის განმავლობაში საქართველოში თურქეთიდან 23 000 ტონაზე მეტი კარტოფილი შემოვიდა. აქედან ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელებისას დადებითი შედეგი არცერთმა აღებულმა ნიმუშმა არ აჩვენა. შემოსავლების სამსახურმა აამოქმედა ყველა საჭირო მექანიზმი იმისათვის, რომ და დაავადებული კვების პროდუქტი საბაჟოს გავლით ვერ მოხვდეს საქართველოში.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

ბევრი კითხვა დამიგროვდა, იმდენად ბევრი, რომ ყველას ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

ამ კითხვებს არ ჰყავთ კონკრეტული ადრესატი, ამიტომ პასუხს არავისგან არ ველი – უბრალოდ, საკუთარ თავს ვუსვამ ამ კითხვებს.

თუ მიხეილ სააკაშვილი ვადაგასულია, რატომ ვეძახით მას პრეზიდენტს?

თუ მიხეილ სააკაშვილი ისევ პრეზიდენტია, მაშინ რატომ ვეძახით ვადაგასულს?

ვინ გამაგებინებს, რა წერია საქართველოს კონსტიტუციაში – პრეზიდენტი 5 წლით ირჩევა თუ 5 წლით და 10 თვით?

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ,,ნაციონალური მოძრაობის“ ,,მოღვაწეობის“ ცხრაწლიან პერიოდს დანაშაულებრივ, კრიმინალურ რეჟიმს უწოდებენ.

ბანდიტებს, კაცისმკვლელებს, ყაჩაღებს ხელს აფარებს?

საერთაშორისო თანამეგობრობამ დაგმო 8 თებერვალს მომხდარი ძალადობის ფაქტები და მოძალადეთა დასჯა მოითხოვა, მაგრამ რატომ არავის მოუთხოვია სააკაშვილის და მისი ხელისუფლების წარმომადგენელთაა დასჯა, რომლებსაც არაადამიანური, უსასტიკესი, შემაძრწუნებელი დანაშაულობები აქვთ ჩადენილი?

რა ჰქვია ამას – ორმაგი სტანდარტი? ორმაგი მორალი? შერჩევითი სამართალი?

შერჩევითი სამართალი არ არის, როცა ბაჩო ახალაია ზის, ვანო მერაბიშვილი კი პარლამენტში, დონაძე სახლში ნებივრობს, ბარამიძე კი საპარლამენტო ტრიბუნიდან ლექციებს გვიკითხავს, გუნავა კი გუბერნატორობს?

## ritorikuli kiTxvebi



მიხეილ სააკაშვილი თავს იმართლებს – გზები გამყავდა, ხიდებს ვაშენებდი, შენობებს ვაშენებდი, ეკონომიკა ვითარდებოდა, შუქი გქონდათ, გაზი გქონდათო...

ადოლფ ჰიტლერს, სააკაშვილმა რომ გზები გაიყვანა, იმაზე უკეთესი გზები გაჰყავდა, უკეთეს შენობებსაც აშენებდა და ეკონომიკამ მის დროს არნახულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ნიურნბერგის პროცესზე არავის მოსვლია აზრად, ჰიტლერი და მისი ფაშისტი თნამებრძოლები ამის გამო გაემართლებინა.

თუ ეს ასეა, რატომ არ აკეთებს იგივე საპარლამენტო უმრავლესობა ამ პერიოდის ოფიციალურ პოლიტიკურ შეფასებას და რატომ არ სვამს საკითხს ამ რეჟიმის შემოქმედთა პასუხისმგებლობის შესახებ?

რატომ გვაძალებს საერთაშორისო თანამეგობრობა დამნაშავე ელემენტებთან კოაბიტაციას, ანუ თანაცხოვრებას და რატომ აყენებს შეურაცხყოფას ქართველ ხალხს?

ნუთუ საერთაშორისო თანამეგობრობამ არ იცის, რომ დამნაშავეებთან თანამშრომლობაც დანაშაულია?

რა სურს საერთაშორისო თანამეგობრობას – ყველანი დამნაშავეები გავხდეთ, რომ მორალური უფლება არ გვქონდეს, დამნაშავეები განვსაჯოთ ან დავსაჯოთ?

ბოლოს და ბოლოს ვინ გამიშიფრავს ამ მაგიურ სიტყვას – საერთაშორისო თანამეგობრობა? ისეთი რა თანამეგობრობაა ეს თანამეგობრობა, რომ

სააკაშვილმა ფაშისტური რეჟიმი დაამყარა საქართველოში. ქართველი ხალხი სწორედ ამის გამო სთხოვს მას პასუხს, ის კი, გზები ხომ გამყავდაო, გვპასუხობს, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველივე ამას მშვიდად და აღუშფოთებლად უსმენს.

ჩნდება ეჭვი, რომ იმას, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, აკეთებდა არა მხოლოდ საკუთარი ინიციატივით, არამედ აკეთებდა ვიღაცის დასტურით და წაქეზებით.

ვინ არის ეს ვიღაც? რა ძალები იდგა სააკაშვილის ზურგს უკან და ვინ მოუწყო ქართველ ხალხს გენოციდი?

დაბოლოს, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა თუ ,,ნაციონალებისთვის“ სამუდამო მფლობელობაში გადაცემული რეზერვაცია, რომლის დათმობასაც ,,ნაციონალები“ ცოცხალი თავით არ აპირებენ?

**ზაზა ამირიძე,**
**თბილისი**

## ვახტანგ ხმალაძე: ნუ გვექნება ილუზია იმისა, რომ ყველაფერზე შევთანხმდებით



პარლამენტის იურიდიულ საკთხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ნურავის ექნება ილუზია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ყველა საკითხზე შეთანხმდებიან.

როგორც ხმალაძემ პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის გუშინდელი შეხვედრის შეფასებისას აღნიშნა, ყველა უნდა შეეცადოს, ,,ხუშტურები გვერდით გადადოს და გადაწყვეტილება ქვეყნის სასიკეთოდ მიიღოს“.

მისი თქმით, პოზიცია უნდა ემყარებოდეს ობიექტურ საფუძვლებს.

,,გუშინდელი შეხვედრა არ იყო რაიმე განსაზღვრული ფორმატი, რომელშიც დიალოგი წარიმართება, დიალოგის ფორმატი ზოგადად დამოკიდებულია განსახილველ საკითხთა ნუსხაზე. არის საკითხები, რაზეც ორივე მხარეს აქვს საკუთარი პრინციპული პოზიცია. დღეს იმის პროგნოზირება, თუ რა შედეგით დასრულდება დიალოგი, არ შემიძლია.”, - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**გთხოვთ მომცეთ სიტყვა!**

**მკითხველის ტრიბუნა**

# მიმართვა

## ქართველო ჟურნალისტებო, გამოვუცხადოთ ბოიკოტი თვითმარქვია პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს და მის კრიმინალურ ბანდას „ნაცმოძრაობას“

**ქართველო ჟურნალისტებო,** ქართული ტელეკომპანიების, ქართული ჟურნალ-გაზეთების, ქართული რადიოარხების, ქართული ინტერნეტ-გამოცემების მფლობელებო, საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორებო და პროდიუსერებო, გამოუცხადეთ ბოიკოტი თვითმარქვია პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს და მის კრიმინალურ ბანდას, „ნაცმოძრაობას“ — ნუ გააშუქებთ მათ პრესკონფერენციებს, მათ ბრიფინგებს, ნუ გამოაქვეყნებთ მათ განცხადებებს, მათ დემაგოგიურ და პროვოკაციულ გამოსვლებს, მათ ცინიკურ რეპლიკებს და კომენტარებს. **კვლავ „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამთ წყალს.**

გამოსარკვევი, გადასამოწმებელი და დასადგენი არაფერია — გარკვეულია, გადამოწმებული და დადგენილია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ცხრა წლის განმავლობაში უამრავი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა და ქვეყანაში, ფაქტობრივად, ფაშისტური რეჟიმი დაამყარა.

დღეს დაბალანსების, ორივე მხარის მოსაზრებათა შეჯერების მოტივით ფაშისტური რეჟიმის შემქმნელთათვის ტრიბუნის დათმობა ფარისევლობაა და მეტი არაფერი.



**ქართველო ჟურნალისტებო, თქვენ, ვისაც საქართველო გულწრფელად გიყვართ და ვინც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებით, უარი თქვით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მომსახურებაზე, ნუ მოიწვევთ მათ თქვენს გადაცემებში, ნუ დაუძახებთ თქვენს თოქშოუებში, ნუ ჩამოართმევთ მათ ინტერვიუებს.**

სამწუხარო ფაქტია, დანამდვილებით რომ არ იცოდე, პირველ ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ რომ გაიმარჯვა და ქართულ ტელევიზიებს ორი-სამი დღე გადაბმულად რომ უყურო, შეიძლება იფიქრო, რომ ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალები“ არიან, ისე არის გადავსებულ-გადაბრდღვიალებული ჩვენი ტელევიზიების ეკრანები „ნაციონალური“ სახეებით.

**ნუ გააკეთებთ ამას, ნუ აფიქრებინებთ ქართველ ხალხს, რომ ქართული ტელეარხების უმრავლესობას კვლავ „ნაციონალები“ აკონტროლებენ და თქვენ, იქ მომუშავე ჟურნალისტები, ნებსით თუ უნებლიეთ,**

**დღეს დიდი სიმართლის, ძალზე მწარე და მტკივნეული სიმართლის დროა და ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ სიმართლის თქმას ისე, რომ მთელ მსოფლიოს გავაგონოთ, რა ჯოჯოხეთი გამოიარა საქართველომ ამ ცხრა წლის განმავლობაში.**




ფაშისტური რეჟიმი ვახსენეთ ზემოთ...

უნდა გამოვტყდეთ, ამ რეჟიმის ჩამოყალიბებაში ქართველ ჟურნალისტთა ერთ ნაწილსაც მიუძღვის ბრალი...

ნუ ვიზამთ ისე, რომ დასამარხად გამზადებული ამ რეჟიმის ცხედრის გამოსაცოცხლებლად კვლავ ჟურნალისტები მოგვევლინონ.

ამას ქართველი საზოგადოება არ გაპატიებთ...

ქართველ ჟურნალისტებს, ქართულ მედიას დღეს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ საქართველოს წინაშე.

ამ რთულ ვითარებაში სწორედ ქართული მედიის კეთილსინდისიერ მუშაობაზეა დამოკიდებული დააღწევს თუ არა თავს ქვეყანა ამ კრიზისულ სიტუაციას.

**საქმე ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, მიუხედავად კოაბიტაციის შესახებ დეკლარირებული განცხადებებისა, აშკარაა, რომ საზოგადოების გახლეჩას და სამოქალაქო დაპირისპირებას ისახავს მიზნად, ამ მიზნის განხორციელება კი მას მხოლოდ და მხოლოდ მედიასაშუალებების ეფექტური გამოყენებით შეუძლია.**

**გარდა მედიისა, სხვა ინსტრუმენტი, სხვა მექანიზმი, სხვა ბერკეტი ამ ვერაგული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, არ არსებობს.**

გამოვაცალოთ „ნაციონალებს“ ეს ბერკეტი, ნუ გავხდებით მათი ბნელი ზრახვების თანამონაწილენი, ნუ შევუწყობთ ხელს ამ დესტრუქციულ ძა-



ლას, გააღვივოს სიძულვილი, აგრესია, შეუწყნარებლობა ადამიანებს შორის და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის წინსვლას და განვითარებას.

**ქართველო ჟურნალისტებო, ქართული ტელეკომპანიების, ქართული ჟურნალ-გაზეთების, ქართული რადიოარხების, ქართული ინტერნეტგამოცემების მფლობელებო, საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორებო და პროდიუსერებო, გამოვუცხადოთ ბოიკოტი თვითმარქვია პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს და მის კრიმინალურ ბანდას „ნაცმოძრაობას“ — ნუ გააშუქებთ მათ პრესკონფერენციებს, მათ ბრიფინგებს, ნუ გამოაქვეყნებთ მათ განცხადებებს, მათ დემაგოგიურ და პროვოკაციულ გამოსვლებს, მათ ცინიკურ რეპლიკებს და კომენტარებს.**

**გაბედეთ, გადადგით ეს ნაბიჯი და „ნაცმოძრაობა“, როგორც საძირკველგამორეცხილი სახლი, თავისით ჩამოიშლება.**

**გიორგი ყორღანაშვილი,**
მოძრაობა „სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარე, რეგისტრირებული სარეფერენდუმო ჯგუფის წევრი
555 91 52 74

**„საერთო გაზეთის“ რედაქციისგან:** დარწმუნებული ვართ, ბატონი გიორგი ყორღანაშვილის ამ მიმართვას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

ველით თქვენს გამოხმაურებებს.

„ს.გ.“



# `sisxliani arlekinis~ sisxliani oinebi

**ვაი, თქვენს პატრონს „ნაცებო“, გურგენებო, სააკაშვილებო და მერაბიშვილ-ადეიშვილებო! დიახ, ჩვენ მართლაც „ჯაშუშები“ ვართ, ოღონდ თქვენსავით არა სხვა ქვეყნის, არამედ ჩვენი სამშობლოსი და რამდენიც არ უნდა გვხოცოთ, კიდევ ბევრნი დავრჩებით, თქვენისთანების დედის სატირებლად, გამიგეთ?**

დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს ქართულმა საზოგადოებამ ნაცმოძრაობის მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციას საკადრისი პასუხი გასცა და თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე მათ თავ-პირი გაუერთიანა!

„აი, რატომ უნდოდათ კრიმინალების ციხეებიდან გამოყრა ახალ ხელისუფლებას“, „სასწრაფოდ დასაპატიმრებელია ნანა კაკაბაძე“, „ამ პროვოკაციის დამგეგმავი პუტინია, დიახ, სწორედ მას აწყობს დღეს ჩვენი სახელმწიფოს რღვევა“, — გაჰკიოდნენ ნაცები და ყოველ ასეთ შეძახილზე ცხვირ-პირში მუშტს ილებდნენ, რადგან ვინ-ვინ და ყველაზე უკეთ საზოგადოებამ იცის, რომ სწორედ სააკაშვილის ბანდის წყალობით დავკარგეთ ტერიტორიები, სტრატეგიული ობიექტები, ახალი დევნილებით გაივსო თბილისი, ზუგდიდი და ა.შ. სიღარიბე, სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელიც ნაცების წყალობით მოგვეძალა და ვინმე დღეს კიდევ ბედავს კითხვის დასმას: „ასე როგორ შეიძლებაო?“

რა კოაბიტაცია, რის კოაბიტაცია და, საერთოდ, ეს მახინჯი ტერმინი რა შუაშია იმ ხალხთან, ვინც „ნაცებმა“ ციხეებში აწამეს, დახოცეს, ჯანმრთელობა მოუსპეს და დღეს ასეთები კიდევ ბედავენ და მათ კრიმინალებს ეძახიან? ვინ არის კრიმინალი — ტრისტან წითელაშვილი თუ ლევან ჩაჩუა? მაიკო თოფურია თუ ნორა კვიციანი? ნანა კაკაბაძე თუ მელორ ვაჩნაძე? ანდა, განა სასაცილო არ არის, ერთ დროს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტ-ზონდერი ირმა ნადირაშვილი, დღეს ნანა კაკაბაძის დაპატიმრებას რომ ითხოვს და თავისი უზადო ღიმილით ნეპოტიზმის მარგალიტებს ეძებს ახალ ხელისუფლებაში?

**არ ვიცი, რამდენად ინფორმირებულია ქართული საზოგადოება ირმა ნადირაშვილის ოჯახურ ამბებში, მაგრამ იქნებ პროკურატურა დაინტერესდეს, მისი მეუღლის დანიშვნა დიდუბის გამგებლის თანამდებობაზე რით იყო ნაკარნახევი და რა პროცესები უძღოდა ამ ყველაფერს წინ?**

8 თებერვლის მოვლენები, ჩემი ღრმა რწმენით, არანაირ სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაიზრდება, რადგან — ჯერ ერთი, **„ნაცების“ დასაცავად არც ერთი თავმოყვარე ქართველი ქუჩაში არ გამოვა** და მეორეც, რამდენიც არ უნდა იჩალიჩოს უგულავამ, მერაბიშვილმა, რატიანმა, გაბაშვილმა და სხვა გველ-ბაყაყმა, სულ მალე ისინი ციხეებში ამოჰყოფენ თავს და შემდეგ იქ ჰკითხონ საკუთარ თავებს, მათი გულისთვის რატომ უნდა ებრძოლა ვინმეს. მით უმეტეს, თუ 7 ნოემბერი, 9 აპრილი, 8 აგვისტო და 26 მაისი ახსოვდათ და ახსოვთ დღესაც?

ვინ გდია ჩიორა თაქთაქიშვილი, საიდან მოვიდა და საერთოდ, რა სარგებელი მოუტანა მან ქვეყანას თავისი არსებობით, ისევე, როგორც მარიამ ბოკუჩავამ, ირმა ნადირაშვილმა, ხათუნა გოგორიშვილმა და ოჩიაურის ქალმა, ასეთ ბრტყელ-ბრტყელებს რომ ისვრიან და მათი სათანადოდ შემპასუხებელი არავინაა? ხომ კარგად დავინახეთ ყველამ, 8 თებერვლის პროვოცირება თავად ამ არარაობებმა რომ მოახდინეს და „გამოღმა მოდავეს“ პრინციპით, დღემდე რომ არ შოშმინდებიან?

**სად იყო ირმა ნადირაშვილი მაშინ, როცა კრიმინალად მონათლული ნანა კაკაბაძე საბჭოთა „კგბ“-ს ციხე-ციხე დაჭყავდა და 17 წლის გოგოს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია? როგორ ბედავს ჩიორა თაქთაქიშვილი, კრიმინალი უწოდოს ტრისტან წითელაშვილს, რომელსაც ტანზე საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი ჭრილობები დღემდე არ შეხორცებია?**

მე და ტრისტანი ყველა ომის დროს ერთად ვიყავით და ვინ-ვინ და, მე ყველაზე უკეთ ვიცი, ამ გმირი ვაჟკაცის სამხედრო მოღვაწეობა, გნებავთ, აფხაზეთში და გნებავთ, 2008 წლის აგვისტოს ომში. მაშინ, როცა „ნაცების“ მთავარსარდალი მიწაში ცხვირით იყო ჩარჭობილი, ჩიორა, მამაშენი ანდა შენი ძმა (თუ, რა თქმა უნდა, გყავს) საქართველოსთვის რომელიმე ომში მონაწილეობდნენ? ნადირაშვილო, ოჩიაურო, ბოკუჩავავ და გოგორიშვილო, დარჩიაშვილო, ნასარიძევ და მსგავსნო არარაობანო, თქვენი ოჯახის წევრები თუ მონაწილეობდნენ სამშობლოს ტერიტორიების დასაცავ ომებში, უსამართლოდ თუ მსხდარან ციხეებში და საერთოდ, მავნებლობის გარდა, რაიმე სიკეთე მოგიტანიათ ქვეყნისთვის, თქვენნაირების ჩათვლით?

**თაქთაქიშვილო, შენ რომ ერთი მილიგრამი სისხლი წაგსკდა ცხვირიდან და ამას აპროტესტებენ შენი მოძმე „ნაცები“, ქართველები 20 წლის განმავლობაში, თქვენი წინამორბედების და თქვენს მიერ პროვოცირებულ ომებში დაღვრილ სისხლში დავაბოტებთ დღემდე და თქვენ კიდევ ბედავთ ყელმოღერებით იმის თქმას, რომ დაუმსახურებლად ჩაგწიხლათ ვინმემ?**

თუ ასეთი კარგები ხართ, თუ ქვეყანა ააშენეთ, თუ თითოეული ქართველისთვის იღვწოდით და მართლაც დემოკრატიის სადარაჯოზე იდექით, ვითარცა შუქურები — დაცვის გარეშე საკუთარ ქვეყანაში გადაადგილება რატომ გეშინიათ? თუ ასეთი კაცთმოყვარეები, ასეთი არაკორუმპირებულები და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები ბრძანდებით — ქართულმა საზოგადოებამ პირველ ოქტომბერს ჭიტლაყი რატომ ამოგკრათ ნაპატიებ უკანალებზე და რატომ მოგაყოლათ ზურგში ათასი ქოქოლა თუ მამაპაპური გინება? თუმცა ჯერ სად ხართ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვთ და მერწმუნეთ, თუ მაგ შხამს და გესლს უკან არ ჩაიბრუნებთ ამყრალებულ სტომაქებში, უარესი დაგემართებათ და მერე ჩვენ კი არა, საკუთარ თავებს დააბრალეთ!

**ისე, ეს კოჰაბიტაცია ძალიან გაუგრძელდა ამ ახალ ხელისუფლებას „ნაცებთან“ და მე, როგორც რიგითი ქართველი, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ!**

**„უკაცრავად, უნდა დაგკითხოთ“, „უკაცრავად, მაგრამ უნდა რამდენიმე საათით დაგაპატიმროთ“, „უკაცრავად, უკაცრავად, უკაცრავად“ — ისმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მაგრამ ახალო ხელისუფალნო, ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ თქვენი „უკაცრავები“ ვერაფერი მალამოა იმ ხალხისთვის, ვისაც „ნაცებმა“ შვილები დაუკლეს, ვისაც ციხეებში ღირსება შეულახეს, აწამეს, მოკლეს და ოჯახები ამოუწყვიტეს?!**

აბა, ერთი მობრძანდით და ჰკითხეთ გირგვლიანებს, რობაქიძეებს, თეთრაძეებს, კრიალაშვილებს და უამრავ ასეთ ოჯახებს — თქვენი კოჰაბიტაცია რამედ უღირთ? ვკითხულობ და

**მიპასუხოს ვინმემ — გუშინწინ „დონ გურგენა“, იგივე „ქალბატონი გურგენა“ და იგივე „დონჩიკა“ (გურგენ დონაძე) 25000 ლარის სანაცვლოდ უნდა გაეთავისუფლებინათ?!**



სხვათა შორის, „ბატონი გურგენასათვის“ არც 2004 წლის 26 აპრილს იყო უცხო „კადრების გასაკეთილშობილებლად“ საიდანღაც მოთრეული იარაღის დადება და ამას იმიტომ ვყვები ახლა, რომ ჩემი დაპატიმრების ამსახველი კადრები, შემდეგ „ამოღებული ჯაშუშური ინსტრუმენტები“ და ა.შ. სწორედ დონაძის და გივია თარგამაძის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ისევე, როგორც „რუსთავი-2“-ის მაშინდელი ზონდერ-ჟურნალისტის გურგენ დონაძის პირდაპირ ჩართვაში თქმული „უკვდავი“ სიტყვები: „ქართველმა სამართალდამცავებმა დღეს აჭარის, კერძოდ კი ასლან აბაშიძის ჯაშუში ირინა გოგოსაშვილი დააპატიმრესო!“

**ვაი, თქვენს პატრონს „ნაცებო“, გურგენებო, სააკაშვილებო და მერაბიშვილ-ადეიშვილებო! დიახ, ჩვენ მართლაც „ჯაშუშები“ ვართ, ოღონდ თქვენსავით არა სხვა ქვეყნის, არამედ ჩვენი სამშობლოსი და რამდენიც არ უნდა გვხოცოთ, კიდევ ბევრნი დავრჩებით, თქვენისთანების დედის სატირებლად, გამიგეთ?**

რა მაგის პასუხია და... იქ, „სისხლიანი არლეკინის“ რეზიდენციასთან საპროტესტოდ მისული ერი და ბერი ამერიკის ელჩს რომ შესციცინებდა პირში, მის ყოველ სიტყვას თავს რომ უკრავდა და ლამისაა, ებოდიშებოდა თითოეულ ფრაზაზე, რატომ არავინ ჰკითხა: „ბატონო ელჩო, თქვენს ქვეყანაში ვადაგადაცილებული, გაყალბებული არჩევნებით მოსული და კორუფციაში ეჭვმიტანილი პრეზიდენტი რომ გყავდეთ, რას იზამდით, ამერიკელები? ანდა, რომ ეკითხათ: „კი, მაგრამ საქართველოს ელჩმა ამერიკაში სისხლისღვრა რომ წაახალისოს, კოჰაბიტაცია გააჩაღოს კრიმინალებსა და რეზიდენტურასთან, რას მოიმოქმედებს დემოკრატიას ნაზიარები ამერიკელი ხალხიო?“ და ერთიც, ბოლო-ბოლო,

**რა გახდა ეს ამერიკის საელჩო ასეთი, სააკაშვილის სისხლიან ნაკვალევს ყოველ ჯერზე რომ წმენდს და მეტიც, ხან მისტერ ბრაიზას ამეტყველებს სააკაშვილის დასაცავად და ხანაც თავის ელჩს საქართველოში, ჯონ ტეფტი იქნება ეს თუ მისს ქეიდენაუ?**

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, თემურ იაკობაშვილი (ამერიკაში საქართველოს ყოფილი ელჩი) ვაშინგტონში გამართულ საპროტესტო აქციაზე მისულიყო და ამერიკელი სპეცრაზმელებისთვის და ამერიკის ხელისუფლებისთვის მოეწოდებინა მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, რა მოხდებოდა? მაშ,

**რატომ წააქალისა 26 მაისს ჯონ ბასმა (ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში) ხელისუფლებაც და სპეცრაზმები აქ, საქართველოში და ვინ მისცა მას ამის უფლება? იქ,**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სააკაშვილის რეზიდენციასთან, რატომ არავინ შეახსენა ამერიკის ელჩს, რომ 8 თებერვალს თბილისში მომხდარი ცემა-ტყეპაც სააკაშვილის გეგმის ნაწილი იყო და, რომ ეს ყველაფერი ჩვენი საშინაო საქმე იყო?

ნუთუ ვერ ხედავს ახალი ხელისუფლებაც, რომ გარეთ, მრავალ ქვეყანაში **„ბრაიზაობრაზნების“** წყალობით, სააკაშვილის ბანდას „ტანჯულის მანტიას“ საგულდაგულოდ ახვევენ სხეულზე და ვინ არის დაზღვეული იმისგან, რომ მათი ძმაკაცი და არაოფიციალური სპონ-



სორი სააკაშვილი 6 თვის თავზე, აპრილის თვეში (ო, ეს სისხლიანი აპრილები) ახალ პროვოკაციას არ განახორციელებენ?

ჰოდა, ეს რომ ასე არ მოხდეს, **მოვუწოდებ ახალ ხელისუფლებას — სასწრაფოდ დაასრულონ სისხლის სამართლის ის საქმეები, რომელთა მთავარი გმირები: სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა არიან და რაც შეიძლება სწრაფად შეყარონ ისინი იმ ციხეებში, რომელთა „ევროსტანდარტებითაც“ აგრერიგად იწონებდნენ თავს.**

ბოლო-ბოლო, იქნებ გაგვარკვიოთ, ამდენი ხანი გიგი უგულავას რას „აბლატავებთ“, ძვირფასო კბილაშვილო და ღარიბაშვილო? რაც შეეხებათ „ნაცების“ წვრილფეხობას, ანუ „უმცირესობის“ დეპუტატებს და მათი ოჯახის წევრებს, მათ მარტო „თბილსერვის ჯგუფში“ მიღებული უკანონო ხელფასები ეყოფათ გამოსააშკარავებლად, რომ აღარაფერი ვთქვა იმ წილებზე, რომელთა შესახებ არათუ ჟურნალისტებმა, არამედ რიგითმა ინფორმირებულმა თბილისელებმაც კარგად უწყიან!

ძვირფასო „ნაცებო“, დღეს ღვთის წყალობით უფუნქციოდ დაგტოვათ გამჩენმა და სადაც გამოჩნდებით, ქუჩაში იქნება ეს თუ ბიბლიოთეკაში, მიწაზე იდგებით თუ ფურთხით აგებულ პიედესტალზე — რისხვას და გეენას არ მოგაკლებთ!

ცალტვინა რუსეთის რეზიდენტო სააკაშვილო, ზონდერო ნადირაშვილო, თაქთაქიშვილო, ბოკუჩავავ და გაბაშვილო, როდესაც პარალელებს ავლებთ წარსულთან, ნუ გავიწყდებათ, რომ ამ 20 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა ბევრი რამ ისწავლა, პოლიტიკაში უფრო კარგად გაერკვია და თქვენისთანების დაგებული მახეების მიმართულებით სიარულსაც დაანება თავი.

ასე რომ, აღარ გამოგადგებათ ეგ აგიტაცია და ტყუილად ირჯებით!

თქვენი მომავალი ციხეა!

ჩვენი და ჩვენი სამშობლოსი კი თავისუფლება, რომელიც სულს, თქვენისთანების წყალობით, მართლაც ძლიერ მოსწყურდა!..

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# policiis Tavganwirva romara, 8 Tebervali, SeiZleboda, msxverpliT dasrulebuliyo

## ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პროვოკაცია სააკაშვილმა, ბოკერიამ და უგულავამ დაგეგმა?

ჩვენს უთავბოლო და ერთმანეთის გამომრიცხავ მედიასივრცეში დღემდე გრძელდება პოლემიკა და დისკუსია თემაზე — ვინ არის 8 თებერვალს მომხდარი დრამატული ამბების ავტორი? ვინ დაგეგმა ეს პროვოკაცია — „ქართულმა ოცნებამ“ თუ „ნაციონალურმა მოძრაობამ“?

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, რას ნიშნავს სიტყვა „პროვოკაცია?“

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვკითხულობთ: „პროვოკაცია — ცალკეული პირის, პირთა ჯგუფის, ორგანიზაციების, სახელმწიფოების წაქეზება ისეთი მოქმედებისთვის, რასაც მოჰყვება მათთვის მძიმე, ზოგჯერ დამღუპველი შედეგები“.

დიახ, პროვოკაცია ისეთი მოქმედებისკენ წაქეზებაა, რომლის შედეგებიც მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი და ზიანის მომტანია.

ამ კუთხით თუ შევაფასებთ **8 თებერვლის ექსცესებს ქუთაისში, პარლამენტთან, პრეზიდენტის სასახლესთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი პროვოკაციების ავტორად ვერ დავასახელებთ ყოფილი პოლიტპატიმრების და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ერთსულოვნების“ წარმომადგენლებს, რომლებმაც ეს აქციები დაგეგმეს.**

**ვერ დავასახელებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ორგანიზაციებმა წინასწარ, საჯაროდ გამოაცხადეს, რას გეგმავდნენ და რის გაკეთებას აპირებდნენ 8 თებერვალს.**

როცა სახალხოდ აცხადებ ამა თუ იმ აქციის მიზანს, საზოგადოებას და მათ შორის ოპონენტებსაც წინასწარ აცნობ სამოქმედო გეგმის დეტალებს, როცა წინასწარ აფრთხილებ მოწინააღმდეგეს, რა განზრახვა გაქვს, ეს არ არის და არც შეიძლება, იყოს პროვოკაცია.

8 თებერვლის აქციათა ორგანიზატორებს პროვოკაცია არ მოუწყიათ, პროვოკაცია მოაწყეს „ნაციონალებმა“, რომლებმაც ღიად, დაუფარავად, წინასწარგანზრახვით გადადგეს ისეთი ავანტურისტული ნაბიჯები, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა შეხლა-შემოხლა და გაუთვალისწინებელი ექსცესები.

სამწუხაროდ, ქართული მედიასაშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზიები, რომლებიც ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ და ამას დაბალანსების სახელწოდებით ნიღბავენ, მოგონილი გულუბრყვილობით და მიამიტობით კითხულობენ, ვინ მოაწყო ეს პროვოკაცია? — თითქოს არ იცოდნენ, თითქოს ვერ ხვდებოდნენ, თითქოს ამოსახსნელი, გასაშიფრი იყოს რამე.

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააფრთხილა უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, რომ არსებობდა პოლიციელებით დაცული ორი კორიდორი, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა შენობაში უპრობლემოდ შეღწევა.

გიგა ბოკერია არ უარყოფს, რომ მან მართლაც მიიღო ღარიბაშვილისგან ეს ინფორმაცია.

ცხადია, ბოკერია, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი, ვალდებული იყო, სათითაოდ გაეფრთხილებინა ყველა მოწვეული სტუმარი (რომელთა შორის უმრავლესობა მისი პოლიტიკური გუნდის წევრები იყვნენ), ამ კორიდორების არსებობის შესახებ და ეთხოვა მათთვის, რომ შენობაში შესასვლელად მხოლოდ ამ კორიდორებით ესარგებლათ, მაგრამ, ნაციონალებს თუ დავუჯერებთ, ბოკერიას ისინი არ გაუფრთხილებია.

**აქედან დასკვნა: პროვოკაციის ერთ-ერთი ავტორი და დამგეგმავი სააკაშვილთან და უგულავასთან ერთად ბატონი ბოკერიაა, რომელმაც არ შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა, დარტყმის ქვეშ დააყენა თავისი თანაგუნდელები და სხვა სტუმრები, რითაც შეგნებულად მოახდინა სტუმრებსა და აქციის მონაწილეებს შორის დაპირისპირების პროვოცირება.**

მათ არ აქვთ არაფერი წმინდათაწმინდა, არა აქვთ მორალი, არ აქვთ ზნეობრივი კრიტერიუმები, არ აქვთ სინდის-ნამუსი, არ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა — ისინი ყველაფერზე მიდიან, ყველაფერს კადრულობენ, ოღონდ საწადელს მიაღწიონ.

როგორ უნდა წარმოედგინა პოლიციას, როგორ უნდა ეფიქრა, რომ ქალაქის მერი, მილიონიანი ქალაქის თავი, სახელმწიფო მოხელე, საჯარო პირი, საჩხუბრად და მუშტი-კრივის გასამართად ხალხში გადაეშვებოდა?

როგორ უნდა წარმოედგინა პოლიციას, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი არ გააფრთხილებდა ადამიანებს და საცემსატყევად გასწირავდა?

„ნაციონალებს“ სურდათ, რომ ისინი, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ვიღაცეებს მაგრად მიევეგვათ, რომ მერე საერთაშორისო არენაზე განგაში აეტეხათ — აი, ხედავთ, როგორ უსწორდებიან პოლიტიკურ ოპონენტებს ივანიშვილი და მისი მომხრეებიო.



ბოკერიას „პადდელნიკიც“ ჰყავს — ეს არის ქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელიც თანმხლებ პირებთან ერთად, „საბრძოლო“ ყიჟინით შეიჭრა აქციის მონაწილეთა რიგებში.

უგულავა, თავის „სადესანტო“ რაზმთან ერთად, ფაქტობრივად, თავს დაესხა აქციის მონაწილეებს და ორთაბრძოლაში გამოიწვია ისინი, რომლებმაც ადეკვატური პასუხი გასცეს მომხვდურებს.

ზოგიერთები დღეს პოლიციისკენ იშვერენ ხელს — პოლიცია უმოქმედოდ იყო, მან ვერ შეძლო სიტუაციის განმუხტვა და დაპირისპირების აღკვეთაო.

დემაგოგიური და ცინიკურია ეს ბრალდება — პოლიცია ნათელმხილველი ხომ არ იყო, რომ წინასწარ ამოეცნო და ამოეკითხა, რა მზაკვრული სქემა მუშავდებოდა ბოკერიასა და უგულავას ტვინის ბნელ ხვეულებში?

მართლაც ძნელი წარმოსადგენია გათახსირებულობისა და ვერაგობის ის ხერხები, რასაც „ნაციონალები“ ასე ხშირად იყენებენ ხოლმე თავიანთი მზაკვრული მიზნების მისაღწევად.

**„ნაციონალებმა“ ერთი ოცნება (მიზეგვის) კი შეისრულეს, მაგრამ არ არის გამორიცხული, „ნაცმოძრაობას“ კიდევ სხვა ოცნებაც ჰქონოდა — 8 თებერვლის ინციდენტი მსხვერპლით დამთავრებულიყო.**

**პოლიციის და მისი შეფის ირაკლი ღარიბაშვილის თავდადებული მცდელობა რომ არა, ვინ იცის, „ნაცმოძრაობას“ შეიძლებოდა, ეს ოცნებაც ახდომოდა.**

სენტიმენტების და ენის მოჩლექით საუბრის დრო დამთავრდა — „ნაციონალები“ ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიაქანებენ და რაც უფრო ადრე იქნება მიღებული გადამჭრელი ზომები ამ დანაშაულებრივი განზრახვის აღსაკვეთად, მით უფრო კარგი საქართველოსთვის.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# adamianebi patar-patara mzeebad unda viqceT, romerTmaneTs awmyo da momavali gavunaToT...

*„საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია პაატა ხიზანაშვილი — მრავალმხრივ საინტერესო ადამიანი, განსაკუთრებული ბიოგრაფიის პიროვნება, ლიტერატურის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის ღრმა მცოდნე... იგი ბიძინა ივანიშვილის სტუდენტობის მეგობარია.* ***პაატა ხიზანაშვილი*** *ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გახლდათ დმანისის რაიონში.*

**— ბატონო პაატა, პირველი ოქტომბრის შემდეგ ფუნდამენტური ძვრები მოხდა, მაგრამ საზოგადოება თითქოსდა ვერ გრძნობს ამას...**

— ხალხი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები და მხარდამჭერები, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, კვლავ დარჩნენ თანამდებობებზე ისე, რომ არ დაუტოვებიათ ნაციონალური ბანაკი. ასეთი რამ არ ხდება მხოლოდ თბილისში, თითქმის ყველა რეგიონში მსგავსი სიტუაციაა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — სისტემასთან ხომ არ გვაქვს საქმე?



მოფიქრალ ადამიანებს გვიყვარს ლოგიკური მსჯელობა და რადგან ქართველებს ოდითგანვე ელინისტურ კულტურასთან უფრო მჭიდრო და, შეიძლება, ითქვას, სულიერად ნათესაური კავშირები გვქონდა, ქართულ მენტალურ კულტურაზე გავლენა მოახდინა არა აღმოსავლურმა, ე.წ. „პარადოქსულმა ლოგიკამ“, არამედ ბერძნულ-რომაულმა ლოგიკამ, რომლის თანახმადაც თეთრი თეთრია, შავი კი — შავი.

შესაძლოა, ჩვენს ახლანდელ მსჯელობაზე ვინმეს გაეღიმოს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით — ჩვენი აზროვნება ევროპულ ყაიდაზეა მოწყობილი. ევროპული აზროვნება კი, ჩემი აზრით, არის ერთგვარად შესვლა ილუზიაში. ეს ჩანს საზოგადოების ქცევაში, ურთიერთობაში და ვლინდება ქართულ სუფრაზე.

როცა ვამბობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება იყო ყველაზე დიდი უბედურება, მოსახლეობის 90 პროცენტი ამას დაგიდასტურებთ, მაგრამ აღმოსავლური ლოგიკით თუ მივუდგებით, ასე არ არის. აღმოსავლური ფილოსოფიის მიხედვით, სააკაშვილი და მისი გარემოცვა რომ არ ყოფილიყო ასეთი, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს არც მოენდომებინა პოლიტიკაში მოსვლა...

საქმე ის არის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ თავიდან თითქოს კეთილშობილური მიზნები გააჩნდა; ქვეყნის მართვა კი ისეთი ინსტრუქციებით დაიწყეს, რომლებიც შეუსაბამო იყო ჩვენი სახელმწიფოსთვის და ისინი მექანიკურად მოარგეს მას. გარკვეული პერიოდის შემდეგ გაუჩნდათ განცდა, რომ მათ ხელშია უსაზღვრო ძალაუფლება, რომელიც ყველაფრის უფლებას აძლევდა მათ. თუ რა არასახარბიელო მდგომარეობამდე მიგვიყვანა ამან, ჩვენ ყველამ ლამის საკუთარ თავზე ვიწვნიეთ. მედალს მეორე მხარეც აქვს და ეს ყველაფერი „სასარგებლოც“ კი აღმოჩნდა: სააკაშვილი რომ არა, ვერ შევიგრძნობდით და გავიგებდით, რას არ უნდა აკეთებდეს ხელისუფალი და ხელისუფლება ზოგადად.

**— ჩვენ საზოგადოების არჩევნებისშემდგომ განწყობაზე დავიწყეთ საუბარი და სხვა „განშტოებებისკენ“ გადავიხარეთ. დავაკონკრეტოთ — ხალხი კვლავ არ არის კმაყოფილი, პროტესტმა, მასობრივმა რეაქციულმა დინამიკამ მაინც ვერ იპოვა კალაპოტი და რეგიონებში უმეტესად, ხალხი უკმაყოფილოა. მათი პოტენციალი ვერ დაბალანსდა.**

— მართლაც, უჩვეულოდ წარიმართა მოვლენები. ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, შესანიშნავად მოერგნენ ახალ ვითარებას და ისევ ხელისუფლებაში არიან. მათგან ზოგიერთი ჯერ კომუნისტური პარტიის წევრი იყო, მერე — „მოქალაქეთა კავშირის“, მოგვიანებით „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ იპოვეს ადგილი, ამჯერად კი ახალ ვითარებაში ცდილობენ თავის დამკვიდრებას. ამით რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? გამოდის, რომ ისინი სინამდვილეში არასოდეს „არავინ“ ყოფილან, ყოველთვის იყვნენ და არიან ყვარყვარეები, უიდეოლოგიო ადამიანები. ასეთებისთვის პრიორიტეტულია მოპოვება, მიღება, ფლობა, გაცვლა... ყოველივე ეს, თავისი საბოლოო შედეგებით, არაპროდუქტიულია და მივყავართ როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების ნგრევისკენ, თუ მოცემულ საზოგადოებაში ასეთი სუბიექტები სჭარბობენ.



ყველაფერი ერთბაშად ვერ შეიცვლებოდა. იმედი მინდა ვიქონიო, რომ არსებული მდგომარეობა ნელ-ნელა შეიცვლება და ყოველ დროს მორგებული ადამიანებისთვის ხელისუფლებაში ადგილი აღარ იქნება.

**— პარლამენტშიც ბევრია ასეთი ადამიანი.**

— გეთანხმებით, პარლამენტიც ხომ საზოგადოების წევრებისგან შედგება და საზოგადოებაში არსებული პრობლემები მასზეც აისახება.

ამას წინათ „ნაციონალების“ დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს არ მოსწონს თავისი უმრავლესობა და სურს, მოიშოროს, ოღონდ, სააკაშვილის ხელითო. რამდენად შეესაბამება მისი ნათქვამი სიმართლეს, სხვა საკითხია, მაგრამ გამიკვირდა, რომ ბობოხიძე საკითხს აღმოსავლური აზროვნების კუთხით მიუდგა. ამ აზროვნებაში კი, მოგეხსენებათ, ყველაფერი თავდაყირაა და პარადოქსული.

საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს და შეძლოს გარჩევა, ვის და რას აქვს დესტრუქციული როლი. მედიასაშუალებების უმეტესობა მუდმივად ნეგატიურ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას, ცუდი ახალი ამბავი კი მათთვის კარგი ახალი ამბავია — მუდმივი აქცენტი კეთდება, რომ რაღაც დაინგრა, ვიღაც მოკლეს, გაძარცვეს და ა.შ. გაზეთების ფურცლები სავსეა თაღლითების გამოსახულებებით. ეს საზოგადოების აღზრდას კი არა, ნგრევას ემსახურება.

**— მაგრამ მედია არ არის საზოგადოებისგან განყენებული...**

— საქართველოს საზოგადოება ისტორიული გარდაქმნის პროცესშია და მასში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილების თუ გარდაქმნის საბოლოო მიზანი ერის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება უნდა იყოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შინაგანი დაძაბულობა და ჩამოყალიბებულ ღირებულებათა და ფასეულობათა დეფორმაცია. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ისეთი მარადიული ფასეულობების გადაფასება და ეროზია როგორიცაა სამშობლო, პატრიოტიზმი, ღირსება, მოქალაქეობრივი ვალი, კონსტიტუცია. განსაკუთრებულად კრიზისულია მოქალაქეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა. საზოგადოებაში ფესვგამდგარი სოციალური ხასიათის ისეთი თვისებები, როგორებიცაა პათოლოგიური ნარცისიზმი, მასობრივი ინფანტილურობა და მისგან გამომდინარე დამოუკიდებელი აზროვნების დეფიციტი საზოგადოებაში ქმნის აღმშენებლობისა და შემოქმედებითობისთვის არახელსაყრელ გარემოს.

ეს, ბუნებრივია, მედიაზეც აისახება. ხშირ შემთხვევაში უხეში აღებ-მიცემობაა — იხდი ფულს, რათა „იყიდო“ აგრესია. ინფორმაციის ფლობა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ყველას სურს, ფლობდეს, რაც შეიძლება, მეტ ინფორმაციას, მაგრამ ინფორმირებულობა ადამიანის მთლიანობას ბევრს ვერაფერს მატებს. ჩვეულებრივი გლეხი შეიძლება, უფრო ალმატებული იყოს შინაგანად და უკეთესად მართოს ქვეყანა, ვიდრე, მაგალითად, სააკაშვილმა, რომელმაც იცის ბევრი უცხო ენა და „გაბერილია“ ინფორმაციით.

**— ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, რამ განაპირობა დაბალანსებული, მშვიდი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში. რატომ მოითხოვა ის საზოგადოებამ?**

— გონიერი და ერის გულშემატკივარი ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება არჩევანის მომენტი, როცა სულერთი არ არის, თუ საით მიდის ქვეყანა, სად და როგორ ცხოვრობენ ჩვენი შვილები, როგორ ქვეყანას ვუტოვებთ მათ, სად არის შენი ადგილი. ყველანაირი კეთილდღეობა უფასურდება, როცა ჩვენი წილი პასუხისმგებლობით მართალი არ ვართ საზოგადოების, ერის წინაშე. საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტში ეს განცდა განსაკუთრებით გაუმძაფრდა ბიძინა ივანიშვილს და მისთვის უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო.

**ბიძინა ჩვენს საზოგადოებაში ერთგვარი მოვლენაა — ის გასცემს განუსაზღვრელად და როცა ზოგიერთები ბრალს სდებენ, თითქოს მას რაღაცები გათვლილი ჰქონდა, ეს საფუძველშივე მცდარი მოსაზრებაა. შეუძლებელი იყო, მას ეს ყველაფერი 10-12 წლის წინ გაეთვალა. ფაქტობრივად, მისი უშურველობა, უანგარო გაცემა მზეს ჰგავს — გასცემს და სამაგიეროდ, არაფერს ითხოვს. ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ მუქთად, დაუმსახურებლად მიღებულმა ზოგიერთს შესაძლოა, უბედურება მოუტანოს...**

**მე ახალგაზრდული ასაკიდან ვიცნობ ბიძინა ივანიშვილს, ვიცი მისი ხასიათის თვისებები. თავიდანვე ასეთი იყო — დაუზარლად გასცემდა, რაც ჰქონდა, ჯერ სხვის საქმეს გააკეთებდა, მერე — თავისას. ორიენტირებული იყო სხვებზე და არა საკუთარ თავზე.**

**რატომ შეაჩერა ხალხმა არჩევანი ივანიშვილზე? ხალხმა არა მარტო დაინახა მისი უანგარობა, არამედ იგრძნო რომ ჩვენი საზოგადოების გადარჩენა სწორედ ასეთ უშურველ ადამიანს შეეძლო.**

რა მდგომარეობაშია ჩვენი საზოგადოება ახლა?

საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკით, სიღარიბის ზღვარს მიღწეული მილიონამდე ადამიანია, რომელთა უმეტესობაც დაჟინებით ითხოვს, მისცენ „მათხოვრის მანდატი“. ამაზე იკლავენ თავს, ითვლიან ქულებს და ა.შ. უმეტესობა არ სვამს კითხვას, რატომ არის ასეთ დღეში... სიზარმაცე ხომ ფსიქიკური დაავადებაა. ლატაკის სტატუსის მოთხოვნას უფრო ღრმად თუ შევხედავთ, ეს არის სამედიცინო დიაგნოზი. ადამიანები ითხოვენ



დიაგნოზს, რომ ავად არიან. თუ მოსახლეობის 20 პროცენტი „ავადმყოფია“, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვყოფილვართ.

**— სამოქალაქო საზოგადოება რომ იყოს უფრო მყარი, ბატონო პაატა, ვინმეს ექნებოდა უფლება, მიუთითოს მას, სად და როდის ჰქონდეს საპროტესტო რეაქცია?**

— დღესდღეობით, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია და წესით მის ხელში უნდა იყოს ძალაუფლება. ძალაუფლების ერთი კაცის ხელში მოქცევა დიდი უბედურებაა, რაშიც ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით თუნდაც ბოლო ცხრაწლიანი მმართველობისას.

ხალხზე ზემოქმედება რომ „ეფექტური“ იყოს, იმ ხალხზე ინტელექტუალურად მაღლა უნდა იდგე. სააკაშვილისგან, მერაბიშვილისგან და მათნაირებისგან ძალადობა ვერ მოითმინა ხალხმა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისგან კანონსა და კანონიერებაზე დაფუძნებული სიმკაცრე თუ იქნება, ამას გაგებით მოეკიდებიან. ჩვენს საზოგადოებას სჭირდება დისციპლინა — ეს სჭირდებათ ადამიანებს, ეს სჭირდება ქვეყანას, რომ თავისუფლება თავაშვებულობაში არ გადაიზარდოს.

ერთ ამბავს გავიხსენებ. წლების წინ ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა, განათლებული, კარგი პიროვნება, შესანიშნავი გარეგნობის კაცი მილიციის უფროსად დაინიშნა. ერთხელ, თანამშრომლებმა მოახსენეს, ქურდები დავიჭირეთო. შემოიყვანეთ, მინდა დაველაპარაკოო... ბიჭებო, სამუშაოს გიშოვით, ნორმალურად, წესიერად იცხოვრეთ, დაგეხმარებითო, — უთქვამს ქურდებისთვის.

დამნაშავეებისთვის უჩვეულო იყო მილიციელისგან, მით უმეტეს, მილიციის უფროსისგან მსგავსი დამოკიდებულება. იფიქრეს, მაგარი გამოუცდელი გამოვიჭირეთო და ცოტა ხნის შემდეგ ისე გათამამებულან, ფეხები ლამის მაგიდაზე შემოაწყვეს. სხვა რა დარჩენოდა ჩემს ნაცნობს, თუ არა ის, რომ მათთვის ჭკუა ესწავლებინა და... ეხვეწებოდნენ, თურმე, ქურდები, საერთოდ აღარ მოვიპარავთო...

რისთვის მოვიყვანე ეს ცხოვრებისეული მაგალითი? ალბათ იმის საჩვენებლადაც, რომ არაინტელექტუალების მხრიდან გამოვლენილი ძალადობა ყოველთვის საზოგადოების მასობრივი პროტესტით სრულდება.

**— საქმე ისაა, რომ, მგონი, „ნაციონალები“ ძალიან გაცხარებულნი არიან იმის გამო, რომ ახალი ხელისუფლება მათ რამდენადმე რბილად ექცევა...**

— არც უნდა გვიკვირდეს — იქნებიან გაცხარებული და უკმაყოფილო, რადგან მათ მოლოდინი გაუცრუვდათ.

**როცა იცი, რომ დანაშაული ჩაიდინე და ისიც იცი, რომ პასუხს აუცილებლად მოგთხოვენ და დაგაკავებენ, ამას ელოდები ყოველდღე და ეს არ ხდება, სწორედ ასეთი გაურკვევლობის განცდა ანგრევს ადამიანს, ამ მოლოდინში ძნელია მათი ყოფა.**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი დევიზი სამართლიანობის აღდგენა იყო. ვფიქრობ, სამართლიანობის აღდგენის დრო დადგა, ეს იმედი აქვს საზოგადოებასაც — უნდა გვჯეროდეს, რომ დაუსჯელი არავინ დარჩება.

ჩვენი საუბრისას წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაზე ფიქრის დროს უთუოდ გაგვახსენდება შოთას სიბრძნე: „მას მკურნალმა ვით უკურნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირდეს“. „სულის განკურნების“ პროცესის მოსამზადებლად საფუძვლის ჩაყრა და ფსიქიკის სიღრმეებში „გაძევებული“ თუ „ჩაკეტილი“ პრობლემების გაცნობიერება ქართველობის, ერის გადარჩენის ერთ-ერთი აუცილებელი, გადაუდებელი ამოცანაა. თითოეულმა ქართველმა უნდა გაიცნობიეროს ყველა ის ფარული დაავადება, რაც ხელს გვიშლის გავხდეთ ცივილიზებულნი, აღმშენებელნი და მხოლოდ ჩვენთვის განკუთვნილი ღირსეული ადგილი დავიკავოთ და დავიმკვიდროთ თანამედროვე მსოფლიოში

უნდა ვეცადოთ, შინაგანად გავმთლიანდეთ და გადავიქცეთ პატარ-პატარა მზეებად, რომ აწმყო და მომავალი გავუნათოთ.

**ირანდა კალანდაძე**

5 93 56 11 18

# usi r cxvi l oebi



# „ნაციონალებს“ ამნეზია სჭირთ?

— გახსოვთ, რა კარგი ბიჭები იყავით? ჯერ შევარდნაძეს ედექით ოპოზიციაში, მერე სააკაშვილსაც კი გაჰკარით კბილი ერთი-ორჯერ, სანამ მისი ერთგული მონები გახდებოდით... გაიხსენეთ ის კარგი დრო, გაიხსენეთ, ინდივიდები რომ იყავით და ნუ ჩაჰყვებით ახლა ამ ერთ კაცს საფლავში... მივიღოთ ეს კონსტიტუციური ცვლილებები და თქვენც მშვიდად იქნებით და ჩვენც, — ასე ამუნათებდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები უმცირესობის წარმომადგენლებს, მაგრამ ამაოდ.

— ნუ იქცევით ასე, თორემ, იცოდეთ, თითოეული თქვენთაგანის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ინდივიდუალურად, — ცოტა მუქარაც გაურიეს უმრავლესობის წევრებმა, მაგრამ ამანაც არ გაჭრა, — უმცირესობა მაინც არ გატყდა.

— ჩვენი და თქვენი კი არა, საქართველოს ბედი წყდება, თქვე დალოცვილებო. შეიძლება ამ გიჟმა და გადარეულმა სამოქალაქო დაპირისპირებისთვის გაგვწიროს... საქართველო მაინც შეიცოდეთ, საქართველო, — მესამე ცდაზე წავიდნენ უმრავლესობის წარმომადგენლები, მაგრამ უმცირესობას არც ამჯერად ასჩვილებია გული. ის კი არა, ზოგიერთმა საქართველოს გაგონებაზე ირონიულადაც კი ჩაიცინა — აქაოდა, ვის აბოლებთ თქვენ საქართველოთი და ვის აცდუნებთო.

— არ გინდათ და ნუ გინდათ... მოუსავლეთში მიექანებით თქვენს ბელადთან ერთად და გზაც იქითკენ გქონიათ, — სამტრედიული პირდაპირობით მიახალა ბოლოს ზვიად ძიძიგურმა გაჯიუტებულ უმცირესობას.

**აი, ასე, თქვე კაი ხალხო, — რას ეხვეწებით და რას ემუდარებით ამ სააკაშვილის გლახებს? ვერ ხედავთ, რას დაამსგავსა მამაძაღლმა სეთურმა ეს საბრალოები? ამათ გაადამიანურებას და ამათ მოქცევას რომ ცდილობთ, იმას ვერ ხვდებით, შუბლის ძარღვი რომ აქვთ გაწყვეტილი?**

ადამიანმა, ადამიანური თვისებებიდან, შეიძლება, ბევრი რამ დაკარგოს და მაინც ადამიანად დარჩეს, მაგრამ ადამიანი როცა სირცხვილის გრძნობას ჰკარგავს, ის უკვე არ არის ადამიანი, ის ბიოლოგიური არსებაა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ადამიანს.

**ამათ, ამ „ნაციონალებმა“, სირცხვილის გრძნობა დაკარგეს და ეს არის ყველაზე დიდი უბედურება, რაც მათ სჭირთ.**

**ნახეთ, როგორ უტიფრად გველაპარაკებიან, როგორ უსირცხვილოდ გვიყურებენ თვალებში, თითქოს ის საშინელებები, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა, მათ არ ჩაედინოთ.**

ერთ კრიმინალურ ისტორიას გავიხსენებ...

აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ადამიანი მოკლა.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობას ორი მოწმე შეესწრო, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის იარაღზე მკვლელის თითის ანაბეჭდები იყო აღბეჭდილი, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელის ტანსაცმელი მსხვერპლის სისხლში იყო ამოთხვრილი, ანუ სახეზე იყო უტყუარი მტკიცებულებები, მკვლელი მაინც არ გამოტყდა და დანაშაული არ აღიარა.

მოსამართლეები ბევრს ეცადნენ, დაერწმუნებინათ მკვლელი, რომ ჯიუტობას აზრი არ ჰქონდა და მისთვის სჯობდა, დანაშაული ეღიარებინა, ის მაინც ჯიუტად გაიძახოდა: — რაც არ გამიკეთებია, როგორ ვაღიარო?! მე არავინ მომიკლავს! მე არავინ მომიკლავს! გაიგეთ?

ის ამას ისე გულწრფელად ამბობდა, რომ არა მოწმეთა ჩვენება და უამრავი სამხილი, მოსამართლეებს, შეიძლებოდა, ეჭვიც კი შეჰპარვოდათ მის დანაშაულობაში.

მკვლელი გაასამართლეს და ციხეში ჩასვეს.

დამნაშავე ციხეშიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ არავინ მოუკლავს და ციხეში ტყუილად იჯდა.

ისე მოკვდა ის უბედური, დანაშაული არ უღიარებია.

ერთმა ფსიქოლოგმა ასე ახსნა ამ ადამიანის საქციელი — არსებობს პრეცედენტი, როცა ადამიანის ტვინში თავდაცვის მექანიზმი ამუშავდება და პირწმინდად გადაშლის და ამოფხეკს იმ ინფორმაციას, რომელიც ადამიანს არ სურს, რომ ახსოვდეს.

ამ შემთხვევაში, მკვლელს, როგორც იტყვიან, თავიდან ამოუვარდა მკვლელობის მომენტი. ის არ ტყუოდა — მას ნამდვილად არ ახსოვდა, რაც ჩაიდინა. ეს ინფორმაცია მის ტვინში წაიშალა.

**თქვენც ასე ხომ არ გჭირთ, „ნაციონალებო“?**

**იქნებ მართლა არ გახსოვთ ის დანაშაულებანი, რაც ჩაიდინეთ და კბილაშვილი, წულუკიანი და ღარიბაშვილი ტყუილად გაწვალებთ?**

**შიშით გამოწვეულმა შოკმა იქნებ მართლაც ამოშალა თქვენი ტვინიდან ის საშინელებანი, რის გამოც, იცით, რომ პასუხისმგებლობა არ აგცდებათ?**

აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება, აიხსნას თქვენი უტიფრობა და ცინიზმი?

**ორი კაცის კი არა, მილიონობით ადამიანის თვალწინ, მთელი ქვეყნის თვალწინ გაქვთ ჩადენილი ეს დანაშაულები და მაინც იხტიბარს რომ არ იტეხთ, მართლა ამნეზია ხომ არ გჭირთ, ჩვენ კი, ჩვენ, გულქვები და ულმობლები, რაც არ გახსოვთ, იმის აღიარებას გთხოვთ...**

**პატივცემულო ახალო ხელისუფლებავ, იქნებ პროკურორების და გამომძიებლების პარალელურად გამოცდილი ფსიქიატრები და ფსიქოლოგებიც ჩავრთოთ „ნაციონალების“ სულიერი მდგომარეობის შესასწავლად და გასაანალიზებლად?**

იქნებ ამათი ადგილი ციხეებში კი არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებშია და საბრალო შეურაცხადებს ისე ვექცევით, როგორც საღ გონებაზე მყოფ ადამიანებს?

**გიორგი გამეზარდაშვილი**

საუბრები **ზაზა შათირიშვილთან**

# `nacionalebi~ 21-e saukunis actekebi arian, romlebic qveyanas msxverplSewirvis ritualebiT marTavdnen



dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02 (236)

**— ახლა 9 წლიანი რეჟიმის მთელი სისასტიკე დახატეთ. მაშინ, მით უმეტეს გაუგებარია, თუ ვიცით, რომ ასეთი რეჟიმი იყო, ახალი ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ რატომ მიდის? ქართველ ხალხს საკონსტიტუციო ცვლილებები კი არა მკვლელი რეჟიმის „ფუძის" ხელისუფლებიდან ჩამოშორება უნდა. ხალხს უნდა უსმინონ თუ მაკკეინს?**

— უკვე ვახსენე, რომ არსებობს სერიოზული აცდენა დასავლურ რეალობასა და ჩვენს შორის. აქედან გამომდინარე, დასავლეთი თავისი ენით „გვესაუბრება" და გვეუბნება — კოაბიტირდითო. არადა ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ნიურნბერგია. ანუ დასავლეთი 2013 წელშია, ჩვენ — 1945-ში. ანუ, ჩვენს შორის, განსხვავება 70 წელია. ცხადია, ამას მეტაფორულად ვამბობ. უნდა ვაღიაროთ, რომ დასავლეთი, როგორც დასავლეთს, ისე გვექცევა. როცა დასავლეთი გვეუბნება — კოაბიტირდით, ჩვენ ვამბობთ — არა, მე ამის სისხლი უნდა შევსვა.

**— ანუ ხალხს არ უნდა, რომ რეჟიმს ყველაფერი ეპატიოს?**

— კი, ხალხს არ უნდა, რომ აპატიოს. ესაა განსხვავება. მაგრამ ნახეთ კვლავ სად მივდივართ? — ამ რეჟიმის გასამართლება, როგორც ნიურნბერგის პროცესის, შეუძლებელია. განსხვავებით ნაცისტური რეჟიმისგან ეს არ იყო ის რეჟიმი, რომელიც სიმართლეს ილაპარაკებდა. გერმანელები კარგად ასრულებდნენ ცუდ კანონებს და 12 წელიწადში დასრულდნენ კიდეც. სააკაშვილის რეჟიმის სიტყვა და საქმე აბსოლუტურად განსხვავებული იყო, ამიტომ თუ სამართლებრივად ვიქცევით, მაშინ ყველას ყველაფერს ვერ დაუმტკიცებ. ამ რეჟიმს იდეოლოგიურად ვერ გაასამართლებ. შეიძლება მხოლოდ ფაქტებით გაასამართლო.

**— მერე არ გვაქვს ფაქტები?**

— როგორ არ გვაქვს, სახეზეა ძალადობის მთელი კასკადი, მაგრამ ეს სამართლებრივად უნდა დაასაბუთო. აქედან რა გამომდინარეობს? — ის, რომ ათიდან შეიძლება 4 გაუშვან. იმიტომ, რომ სამართლიან ქვეყნებში ასე ხდება — იცი, რომ კონკრეტული პირი მკვლელია, მაგრამ ვერ ასაბუთებ.

**— ანუ მკვლელ რეჟიმს ეს ყველაფერი ხახვივით უნდა შერჩეს?**

— შეიძლება, იმიტომ, რომ თუ ჩვენ სამართლებრივად ვიქცევით, ასეთ სახელმწიფოში ყველას ყველაფერს ვერ დაუმტკიცებ. ევროპაში იცით როგორ არის? — 30-40% გამამართლებელი განაჩენია, სტალინის დროსაც კი 7% პოლიტიკურზე — გამამართლებელი განაჩენი იყო. სააკაშვილის საქართველოში ასეთი განაჩენი 99,9% იყო. ბრიტანეთში - 40%-ია. ნორმად 30-35% ითვლება, ანუ 10 კაციდან 3 უნდა გაუშვა. თუ ამ სამიდან ერთი ბაჩო ახალაია იქნება, გესმით, ეს საზოგადოებისთვის რას ნიშნავს?! მაგრამ სამართალი და სამართლიანობა სწორედ ესაა. ეს სწორედ ისაა, რაზეც ევროპა 27 საუკუნეა დგას — ბერძნული და მერე რომის სამართალი. ხშირად მომყავს პავლე მოციქულის მაგალითი, რომელიც გადაკარგულ პალესტინაში კეისრის, ანუ კონსტიტუციურ სამართალს ითხოვდა, 3 თვე რომში მიყავდათ და სხვათა შორის, თავიდან გაამართლეს. ესაა რომის სამართალი. მაგრამ იგივე რომის სამართალმა ქრისტე, როგორც არამოქალაქე, სიკვდილით დასაჯა. უფრო მეტიც, პავლეს თავი მოკვეთეს. რატომ? — ის რომის მოქალაქე იყო და მისი ჯვარზე გაკვრა არ შეიძლებოდა. ევროპაში დღემდე ასეა. სასამართლო ყველაზე უფრო ინერციულია. ფრიდრიხ დიდის დროს ასეთი რამ მოხდა — მას მიშასავით გზა გაჰყავდა და მეწისქვილეს წისქვილი დაუნგრია. მეწისქვილემ სასამართლოში უჩივლა და თქვა — კი, ფრიდრიხ II იმპერატორია, მაგრამ პრუსიაში სასამართლოები ხომ მაინც არსებობენო. ფრიდრიხმა იუსტიციის სამინისტროზე წარწერა გააკეთებინა — პრუსიაში სასამართლოები არსებობენ. თუ საზოგადოება ჩაერთვება ამ სამართლებრივ სივრცეში, რისი მოთხოვნაც არის, პირველი მაგალითი იცით რა იქნება? — 10-დან 3 კაცს რომ გამოუშვებენ, აი, ესაა სამართლიანობა. თუმცა, ხალხს, უსამართლობის ყველაზე საშინელი განცდა სწორედ მაშინ ექნება. მაგრამ რეალურად სწორედ მაშინ იქნება სამართლიანობა. ამით მინდა რომაული სამართლის სივრცე იმისგან განვასხვავო, რასაც თანამედროვე დასავლეთს ვეძახით. ეს თავიდან ბოლომდე არ ემთხვევა ერთმანეთს. რომის სამართალი ესაა დიდი დრო. რომის სამართალი დიდ დროშია, ეს ნამდვილი დასავლეთია. ჰააგა ჰააგაა, მაგრამ მის მიმართ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება იმიტომ, რომ ეს პოლიტიკურია. მაგრამ ხომ არსებობს სტრასბურგი? ჰააგასა და სტრასბურგს შორის განსხვავებაა. ესაა განსხვავება დიდ დროში მყოფ დასავლეთსა და თანამედროვე დასავლეთს შორის. ჰააგის მიმართ ბევრი კითხვის ნიშანია იგივე მილოშევიჩზე. ერთი რამ არ მესმის — თუ რადოვან კარაჯიჩს იჭერ, როგორ უშვებ ივიცა ოლიჩს, რომელიც ისეთივე დამნაშავეა, რომელიც არაფრით განსხვავდება კარაჯიჩისგან. ორივე ხომ კაცის მკვლელია?



**— წეღან ახსენეთ, დასავლეთი ისე გვექცევა, როგორც დასავლეთსო. მაშინ რატომ არის ჩვენთან დასაშვები ის, რაც იქ მიუღებელია. თუნდაც, გერმანიის მაგალითი, სადაც პრეზიდენტი იმის გამო გადააყენეს, რომ პირს შეღავათიანი სესხის მიღებაში დაეხმარა? ამ ლოგიკით სად უნდა იყოს მკვლელი რეჟიმის ხელისუფალნი?**

— როცა ისტორიას გადახედავ, მიხვდები, რომ არსებობს რაღაც, რაც დიდ დროში მუშაობს და მოქმედებს. ეს ისაა, რასაც შეიძლება რომაული სამართალი ვუწოდოთ. რომში მოქალაქეს უფლებები ჰქონდა. ვიმეორებ, მისი სიკვდილით დასჯა შეიძლებოდა, მაგრამ წამება — არა. მონის წამება შეიძლებოდა, მოქალაქის — არა. ამიტომ ჩვენ, მართალია, უმუშევრობის პრობლემაც გვაღელვებს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სამართალი და სამართლიანობა გვაწუხებს. ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ ხალხს რევანში სწყურია, ანუ სამართალი. სააკაშვილის მომხრეები კი არაპირდაპირ აღიარებენ, რომ ქვეყანაში სამართლიანობის პრობლემაა. აქამდე პროცედურებით უნდა მიხვიდე. მთავარია არა შინაარსი, არამედ ფორმა. ამას გადაახტა საბჭოთაა კავშირი, ნაციზმი, მიხეილ სააკაშვილი. ოღონდ ნაციზმი უსამართლობის გაფორმებას იურიდიულად შეეცადა და სწორედ აქ შეცდა. აქედან გამომდინარე, ორი მომენტი არსებობს — სასმართლებრივი სფერო და მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურა. დასავლეთი ერთიცაა და მეორეც. ანუ არსებობს ჰააგა და არსებობს სტრასბურგი — რკინის ქალამნებს ჩაიცმევ და მიხვალ სტრასბურგში. ერთმა გირგვლიანმა სააკაშვილის მთელი რეჟიმი დაანგრია, მაგრამ ამავე დროს სააკაშვილი არის კონიუნქტურა. სააკაშვილი უსამართლობის უშველებელი გამოხატულებაა. დასავლეთი ხარ მაშინ, როცა ამ სამართლებრივი სივრცის თანამონაწილე ხარ.

სოკრატე სვამს შეკითხვას — რა არის სამართლიანობა? — როცა მუდმივად მომგებიანია უსამართლო იყო, მაგრამ მაინც სამართლიანი. და რა სჯობს, იყო — მსხვერპლი თუ ჯალათი? — რა თქმა უნდა, მსხვერპლი.

**— მაგრამ თუ სამართლიანობა გვწყურია, როგორც წეღან აღნიშნეთ, მაშინ უშველებელ უსამართლობის გამოხატულება — სააკაშვილთან როგორ უნდა "ვძოვოთ" ბალახი?**

— ჩვენ გვინდა გავარკვიოთ, რა არის სწორი და რა პირიქით. არა, სიკეთე და ბოროტება — ეს პიროვნული ნების მორალური კატეგორიებია, არამედ რა არის სამართლიანი და რა უსამართლო. რაც შეეხება, როგორ გავარკვევთ ამას სააკაშვილთან ერთად? — ეს ჩვენი ბედისწერაა. ახლა ასეთ სიტუაციაში ვართ — ძალაუფლებასთან მიმართებაში სამართლიანობას ვადგენთ. ჭეშმარიტი სასამართლოს ანარეკლი ეცემა მიწიერ სასამართლოს. აქედან გამომდინარე, რადგან ანარეკლია და არა ჭეშმარიტი, მან შეიძლება რაღაცები ვერ დაადგინოს. როდესაც მეგის ქარდავას ბრალს ვერ დაუსაბუთებენ და გაუშვებენ, ესაა სამართალი. ანუ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე კი არა, არამედ მოპოვებული მასალების სასფუძველზე იჭერ და ეს თურმე საკმარისი არ აღმოჩნდა. თორემ, აღიარებითი ჩვენების საფუძველზე მთელი საბჭოთა კავშირი იდგა, ე.წ. სტალინური სამართალი. სჯობს გაუშვა დამნაშავე, ვიდრე უდანაშაულო დაიჭირო. ანუ გვაქვს გონივრული ეჭვი, მაგრამ ვერ ვამტკიცებთ. სააკაშვილზე ერთი რამეც მინდა აღვნიშნო: ევროპა მარტო მიზანი კი არა, საშუალებაცაა. მიზნის მიღწევა საშუალების გარეშე შეუძლებელია. სააკაშვილს ჰქონდა მიზანი. შედეგად მივიღეთ პეტრე I, რომელიც რაც მოესურვებოდა ყველაფერს აკეთებდა და დესპოტიზმი გააძლიერა. მაგრამ პეტრე I-მა ათ წელიწადში პუშკინი მიიღო, სააკაშვილმა კი დავით-დეფი გოგიბედაშვილი. განსხვავება მხოლოდ ესაა.

**— ამ ყველაფრის მერე, მით უმეტეს, გაუგებარია, რატომ ვაძლევთ სააკაშვილს ლეგიტიმაციას — მკვდარს რატომ ვაცოცხლებთ? ჩვენ რომ შევთანხმდით, რომ მან არჩევნები გაგვიყალბა?**

— ნუ, რა თქმა უნდა, ჩვენ მკვდარს ვაცოცხლებთ. ამერიკულ ფილმებში ხშირია ასეთი სიუჟეტი — მთელი ფილმის მიმდინარეობის დასასრულს მთავარი პერსონაჟი იგებს, რომ იგი მკვდარია. დღევანდელმა "ნაციონალურმა მოძრაობამ" არ იცის მთავარი რამ საკუთარი თავის შესახებ — ის, რომ ისინი მკვდრები არიან. რატომ იყო ეს რეჟიმი პროგრესული და ამავე დროს საოცრად არქაული? — იმიტომ, რომ მასში სისხლის დაღვრის აცტეკური მომენტი იყო. მეტაფიზიკურად ეს არის ის ფასი, რაც ჩვენ უნდა გადავიხადოთ. ეს 9 თვე არის ის 9 წელი. ეს 9 თვე ჩვენ აჩრდილთან, გვამთან უნდა ვიცხოვროთ. რაც უფრო დავინახავთ, რომ ეს გვამია, აჩრდილია, მით უფრო მივხვდებით, რომ მისი ხელის ხლება არ შეიძლება. ამიტომ არავითარი შურისძიება. სადაც შურისგებაა, იქ არ არის რომი და სხვათა შორის, ქრისტიანობა. ეს 9 თვე გარკვეულწილად, იმ 9 წელიწადის სარკისებური ასახვაა. ეს შემთხვევითი არაა.

**— მაგრამ ეს „არაშემთხვევითი" 9 თვე ნაცებს ხომ დესტრუქციული მოსაზრებების გამო სჭირდებათ?ეს ხიფათს არ შეიცავს?**

— კი, გეთანხმებით, ეს, რა თქმა უნდა, მუდმივად შეიცავს ხიფათს ლინჩის, იმის, რომ შეიძლება ვიღაცამ ისევ გცემოს და სხვა. ბევრ ხიფათს შეიცავს. მაგრამ ვიმეორებ, სხვა საშუალება არ არსებობს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `Canergilebi~, anu ratom afinansebda `kanonieri qurdi~ `kgb~-s generlis diswuls?

შეგზავნილი აგენტურის, ანუ ჩანერგილების თემა ისევ გაცოცხლდა.

აგენტობაზე საუბარი პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, ოდნავ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს, მაშინვე მიაკერებდნენ ხოლმე აგენტის „სტატუსს“. დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ ასეთი განცხადებები მთლად უსაფუძვლო არ იყო.

მართლაც თუ ხდებოდა პოლიტპარტიებში აგენტურის ჩანერგვა და რა პრინციპით ხდება ეს ყველაფერი, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „საერთო გაზეთს“ ქართული ძალოვანი სტრუქტურების გამოცდილი, პროფესიონალი აწ ყოფილი თანამშრომლები ესაუბრნენ. გასაგები მიზეზების გამო, მათი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებთ.

ჩვენი რესპოდენტების განცხადებით, ეს ძალზე ფაქიზი თემაა და არ შეიძლება საჯარო განცხადებების კეთება, მითუმეტეს არაკომპეტენტური ადამიანების მხრიდან. პოლიტპარტიებში მართლაც ყოფილან ჩანერგილი ე.წ. აგენტები და ეს პროცესი აქტიურად გორბაჩოვის მმართველობის, ანუ „პერესტროიკის“ დროს დაწყებულა, იმ პერიოდში, როცა ეროვნული მოძრაობის უზარმაზარი ტალღა წამოვიდა. პატარ-პატარა ლოკალური რაღაცეები მანამდეც ხდებოდა, მაგრამ ეროვნულმა მოძრაობამ მასშტაბური სახე 1987-88 წლებში მიიღო. ეს ყველამ ე.წ. დათბობას, გორბაჩოვის ჰუმანურ კანონებს, ადამიანის უფლებების დაცვის წინ წამოწევას დააბრალა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილაო. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა (სუკ-ი) 80-იანი წლების დასაწყისიდანვე იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. ეს სამსახური მაღალპროფესიონალი კადრებით იყო დაკომპლექტებული (სუკ-ი აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოზე ძლიერი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ იყოო) და შესანიშნავად აკეთებდა ანალიზს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. საკავშირო სპეცსამსახურის თანამშრომლებს უკვე 1985 წელს ჰქონიათ ნანახი გეგმა, როგორ უნდა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის დემონტაჟი. 1987-88 წლებში ქვეყნის მთელი მასშტაბით გაათავისუფლეს არაფორმალები (დისიდენტები) ციხეებიდან, ასეთი რამ კი შემთხვევით არ ხდება, ე.ი. ისინი სპეციალურად გამოუშვეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ საქმის ინიციატორები, ამ სახით არ გეგმავდნენ საბჭოთა კავშირის დაშლას, რაც შემდგომ მოხდა. სრული დამოუკიდებლობა, მხოლოდ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს (აღმოსავლეთ ევროპა) და სავარაუდოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს უნდა მიეღოთ. დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკები კი ისეთივე დამოუკიდებლობას მიიღებდნენ, რაც მანამდე ხსენებული სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ჰქონდათ, ანუ საგარეო პოლიტიკაში რუსეთს დაუჭერდნენ მხარს, საშინაო პოლიტიკას კი დამოუკიდებლად აწარმოებდნენ. ამას აშშ-იც ეთანახმებოდა და საერთოდაც ეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი გეგმა იყოო. საქართველო მაშინ რადიკალურ



ქმედებებზე რომ არ წასულიყო, ცნობილ კატაკლიზმებს ადვილად გადავიტანდით, რომლის შედეგადაც ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყანა დაზარალდა.

ცხადია, მარტო საქართველოს ფაქტორი ვერ გადაწყვეტდა საბჭოთა კავშირის დანგრევას, გამოდის ამ გეგმის ინიციატორებს სადავეები ხელიდან გაექცათ.

ცხადია, დისიდენტებში ყველა არ იყო პატრიოტიზმისა და სისპეტაკის ეტალონი. ჩვენი წყარო ასეთებად მხოლოდ მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძეს მიიჩნევს, თუმცა იმასაც აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიამ მართალია გააკეთა „აღიარება“, მაგრამ შემდგომში სუკ-თან მაინც არ უთანამშრომლიაო. ეროვნულ ძალებში ბევრი იყო ჩანერგილი, ლავრენტი ბერიას და იური ანდროპოვის გამოზრდილ პროფესიონალ კადრებს ეს არ გაუჭირდებოდათ. ჩვენ როცა ვინმეს ვიჭერდით, მას ან ინფორმაცია უნდა მოეცა




ჩვენთვის და შემდგომშიც უნდა ეთანამშრომლა, ან თავისუფლების სანაცვლოდ ფული უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივი ვადით უნდა წავიდოდა ციხეშიო. რესპოდენტთა მტკიცებით, პიროვნებამ, რომელსაც ხანმოკლე სასჯელი მისცეს, ან სულაც არ გაუშვიათ ციხეში და ფულიც არ გადაუხდია, ითანამშრომლა უშიშროების სამსახურთან (იგივე ხდებოდა სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებთან დაკავშირებითაც), ამაში 100%-ით ვართ დარწმუნებული. ციხეებში ვინც პრივილიგირებულ მდგომარეობაში იყო, ისინიც თანამშრომლობდნენ. ზოგიერთი მათგანი, რომლებმაც ამ თანამშრომლობაზე უარი თქვა და მართლაც ეროვნულ რელსებზე გადმოვიდა, სუკ-მა დაუნდობლად მოიშორა. ნურავის პერსონიფიცირებას ნუ მოგვთხოვთ, საჭირო არ არისო.

ისე მარტო სუკ-ს კი არ ჰყავდა თავისი აგენტურა ჩანერგილი, ეს პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც გრძელდება. წყაროს თქმით, თავად იცნობს რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ჩვენს მეზობელ ქვეყანას (ოღონდ არ დააკონკრეტა რომელს) ჩვენს ერთ-ერთ ძალოვან სტრუქტურაში ჰყავდა ჩანერგილი. ჩვენ მათ მაშინვე ვშიფრავდით, როცა კაცს 100-150 ლარი ჰქონდა ხელფასი, სამსახურში ფულს ვერ აკეთებდა, არც დამხმარე ჰყავდა, მაგრამ განცხრომით ცხოვრობდა, აბა, საიდან ჰქონდა ეს ფულიო.

ე.წ. ჩანერგვაც ძალზე უბრალოდ ხდებოდა, ამას ადრე საბუთების გაფორმება ერქვა. ეს ადამიანი რომ სადღაც ჩანერგე, ამის დამადასტურებელი რაღაც საბუთი რომ დაგრჩეს, მისი ხელმოწერა უნდა იყოს. წყაროს თქმით, 90-იანი წლებიდან ამ ე.წ. საბუთების გაფორმებებმა იკლო, აგენტებადაც თურმე სულ სხვა, ნეიტრალურ პიროვნებებს აფორმებდნენ. ძალზე საიდუმლო ინფორმაციას გიმხელთ, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის ადამიანი, რომელიც აგენტადაა გაფორმებული, შეიძლება სინამდვილეში სულაც არ თანამშრომლობდეს სპეცსამსახურებთანო. ერთი სიტყვით, იყო შემთხვევები, როცა სულ სხვა ადამიანი ფორმდებოდა აგენტად და სულ სხვას ამუშავებდნენ. დაჭერილი პირი, რომელსაც ფული არ ჰქონდა და არც ციხეში უნდოდა წასვლა, ერთჯერადად იმუშავებდა პოლიციასთან, უშიშროების სამსახურთან თუ კონტრდაზვერვასთან, მისცემდა ინფორმაციას, მასზე გაფორმდებოდა საბუთები და მერე სულ სხვა პირი მუშაობდა მის „საფარქვეშ“.

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული შსს-ს ყოველთვის უფრო ძლიერი დაზვერვის სამსახური ჰყოლია, ვიდრე თავად უშიშროების კომიტეტს. სააკაშვილის მმართველობისას კი ყველაფერი კარიკატურის დონეზე იყო დასულიო. ყბადაღებული ე.წ. ოდეერის ინსტიტუტიც კომუნისტების პერიოდიდან იღებს სათავეს. ყველა დიდ საწარმოში, მაშინაც და ახლაც ზის ოდეერი (უშიშროების სამსახურის თანამშრომელი), მათ შორის იმ საწარმოებშიც, რომელზეც ამბობენ, რომ რუსეთისაა. ამ ოდეერს ჰყავს თავისი აგენტები, რომლებსაც ახლა საკუთარი ჯიბიდან უხდის ფულს. ჩვენმა წყარომ ერთი კურიოზული შემთხვევა გაიხსენა. სააკაშვილის უშიშროების სამსახურსაც ჰყოლია ერთი ასეთი ოდეერი, 23 წლის ბიჭი, მივლინებული თბილისის მერიაში. აბა, ამას რა ინფორმაციები უნდა მოეგროვებინა, გასართობად დადიოდა მერიაში, თავისი ნამდვილი სამსახურისკენ გამოხედვაც არ უნდოდა, მითუმეტეს, რომ მერიაში 1300-ლარიანი ხელფასი ჰქონდა. მერე მერიის თანამშრომელ ქალბატონს გადაეკიდა, თუ ჩემი საყვარელი არ გახდები, მაღალ ხელფასს და პრემიას ვერ მიიღებო. ბოლოს „გასკდა“ ეს ამბავი და ეს დონჟუანი ოდეერი სამსახურიდან კინწისკვრით გააგდესო.

ოდეერებთან დაკავშირებით, სხვა ძალზე საინტერესო ინფორმაციაც შევიტყვეთ. სუკ-მა ამ ოდეერების დაფინანსება თავიდან მოიცილა, სამაგიეროდ მათ ყველა ეკონომიკური ბერკეტი ჩაუგდო ხელში, ასე ვთქვათ, თვით-



დაფინანსებაზე გადაიყვანა. ყველა პირს, ვინც ძველ უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობდა, ახლა სერიოზული ეკონომიკური შემოსავალი აქვს, ყველა ბიზნესმენი გახდა. თუ მათ სახელმწიფო არ დაეხმარა, ყველას ერთად როგორ აღმოაჩნდა კომერციული ნიჭი. ანალოგიური სიტუაცია ყოფილა საქართველოშიც, ყველა სერიოზული საწარმო და ბიზნესი ამ ხალხის ხელშიაო. საერთოდ ყველა საწარმოს და ფირმის ხელმძღვანელმა იცის ვინ არის მასთან ოდეერი, რადგან მას ხომ უთხრეს ზემოდან, ეს კაცი შენთან ამუშავეო.

წყაროს განცხადებით, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაც აგენტურის მუშაობის შედეგი იყო. ზვიადს პოლიტიკური ძალაუფლება კი მისცეს, მაგრამ ეკონომიკური ბერკეტები მას არ ჰქონია, ისევ რუსეთის ხელში იყო. ამერიკა როცა მიხვდა, რომ ერთბაშად გაჩენილი ამდენი დამოუკიდებელი ქვეყნა, მისთვის დიდი თავსატეხი იქნებოდა (მათ ყოველთვის ხომ ვერ დაეხმარებოდა), რუსეთთან დაიწყო მოლაპარაკება. ხალხი ნელნელა შეაჩვიეს იმ აზრს, რომ ისევ რუსეთთან უნდა მივსულიყავით.

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში რომ ლომის წვლილი მიუძღვის იოსელიანიკიტოვანი-სიგუას ტრიუმვირატს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. წყაროს განცხადებით, ჯაბა იოსელიანი წმინდა რუსული მოვლენა იყო. 1983 წელს მინვოდში ქურდული კრება, ე.წ. სხადნიაკი (მაშინ საბჭოთა კავშირში სულ 49 „კანონიერი“ ქურდი ყოფილა) მოწყობილა, სადაც თურმე გადაწყდა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის 10% “შავ სამყაროს“ უნდა განეკარგა, ყველა საწარმოს წილში „კანონიერი“ ქურდები ჩაუჯდნენ. 1984 წელს ანალოგიური „სხადნიაკი“ თბილისში მოეწყო, სადაც შოკისმომგვრელი „დადგენილება“ მიიღეს (რა თქმა უნდა სიტყვიერი, აბა ამას ქაღალდზე ვინ დაწერდა), რომ „კანონიერ“ ქურდებს აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ “თავყრილობიდან“ მოკლე ხანში (2-3 თვე) სუკ-ში შეიქმნა „შავი სამყაროს“ ლიდერებთან ბრძოლის სამმართველო. გამოდის, სუკ-ის „ჩაწოდებული“ იყო ეს ყველაფერი, თორემ უშიშროებამ რა არ იცოდა ქურდები რომ იკრიბებოდნენ, მითუმეტეს 49 კაცი. ჯაბა იოსელიანი იყო ამ „სხადნიაკების“ ინიციატორი მითუმეტეს, თბილისში მოწყობილისო.

მიცვალებულზე ცუდი არ უნდა თქვას ადამიანმა, მაგრამ რესპოდენტთა განცხადებით, ჯაბა იოსელიანი უბინძურესი პიროვნება იყო, მთელი საქართველო მაგან „შესვა“ „წამალზე“, თავად აკონტროლებდა ნარკოტიკების მოძრაობას საქართველოს ტერიტორიაზე. „ეს ყოფილი „მხედრიონელები“ კი ახლა გამოდიან და კარგ ბიჭობაზე სდებენ თავს. „ზარალა“ (გიორგი რამიშვილი) საქართველოს პირველი მტერია. ეგ, ნიკა და ჟორიკა რურუები „ვერის საძმოს“ წევრები იყვნენ. არ გაინტერესებთ სად არის პატარა „ზარალა“ (დიმა რა-



მიშვილი), კაზინოს მფლობელი გახლავთ, რომელიც თურმე თურქეთში ფულებს ქაჩავს. აბა, რას იზამს თუ ამის შანსს მისცემენ? სად არის „ტილიკა“, იგივე ლევან კაჭარავა, ისიც ამათი საძმოელი, რომელმაც „თბილისის წყალი“ შეჭამა და მთელ თბილისს ვალები დაგვადო, ყველა მსხვილ ბიზნესში სწორედ „ვერის საძმოს“ წევრები არიან.

გვარდია და „მხედრიონი“, რომლებიც ქვეყანაში სიტუაციას ურევდნენ, ალაგმეს, ნაწილიც გაანადგურეს, მაგრამ ხსენებული „საძმო“ უვნებლად გადარჩა. ე.ი. ესენი ყოფილან ყველაზე ძლიერები. ერთ-ერთ საუბარში მიხეილ სააკაშვილი ანგარიშს აბარებდა ნიკა რურუას, თუ რა გაკეთდა. ვინ

10 gv.

9 gv.

იყო ნიკა რურუა, რომ პრეზიდენტს მისთვის ანგარიში ჩაებარებინა? ნიკა რურუა ამერიკიდან ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ამ პროცესებისთვის „პრესტუპნიკებიც“ საჭირო იყვნენ, მაგრამ მათი ამ დონეზე „გადიდკაცება“ სააკაშვილის დამსახურებაა. ამერიკა და რუსეთი რომ ყოველთვის ერთად იყვნენ, ნიკა რურუა მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

„ზარალების“ მამა საქართველოს ცეკას ინსტრუქტორი იყო, იმ პერიოდში საქართველოს კომუნისტურ პარტიას სულ ოთხი ინსტრუქტორი ჰყავდა. ამ ადამიანის „ზეობისას“ (1987-88 წწ) ჩამოყალიბდა „ვერის საძმო“, ე.ი. რუსებმა ჩამოაყალიბეს ხომ, მაშინ რა უნდოდა ნიკა რურუას ამერიკაში? ე.ი. რუსეთ-ამერიკას შორის მაშინვე იყო ალიანსი“, აცხადებენ რესპოდენტები.

ჩვენი წყარო „მხედრიონის“ ალაგმვას სულაც არ თვლის ქართული შსს-ს დამსახურებად. „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრი უნდა წავიდეს“, ეს პრინციპი მოქმედებდა „მხედრიონთან“ და სხვათა შორის მიშა სააკაშვილთან დაკავშირებითაცო. სააკაშვილმაც, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის გარემოცვაში ჩანერგეს, შეასრულა თავისი ფუნქცია და უნდა წავიდეს. ისიც ჟვანიამ ჩამოიყვანა

## „ჩანერგილები“, ანუ რატომ აფინანსებდა „კანონიერი ქურდი“ „კგბ“-ს გენერლის დისწულს?

ამერიკიდან და გააცნო შევარდნაძეს. ქართულ სპეცსამსახურებს დიდი ხნის წინ გვქონდა ინფორმაცია, რომ სწორედ 1984 წლის „სხადნიაკზე“ გადაწყდა (ამის შესახებ „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა), აერჩიათ ახალგაზრდები, რომლებსაც დააფინანსებდნენ და საზღვარგარეთ გაუშვებდნენ სასწავლებლად, რომლებსაც დაბრუნების შემდეგ მთავრობებში შეაგზავნიდნენ (აქ ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა იგულისხმება). თემურ შაშიაშვილმაც თქვა რამდენიმე წლის წინ, სააკაშვილს საზღვარგარეთული სასწავლო „ვოიაჟი“ ჯაბა იოსელიანმა დაუფინანსაო. „კაგებეშნიკის“ დისწული „კანონიერ“ ქურდს რატომ უნდა დაეფინანსებინა, ე.ი. ესეც ხომ რაღაცაზე მეტყველებს, კერძოდ, კი სუკისა და „შავი სამყაროს“ ალიანსზე? სააკაშვილის შემთხვევა კი გაიშიფრა, მაგრამ რამდენი მისნაირი დაფინანსებულ-შეგზავნილია თუნდაც ახალ მთავრობაში, არავინ იცის, რადგან არანაირი დოსიე ამ საქმესთან დაკავშირებით არ არსებობსო.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**(თემის გაგრძელებას მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ)**

# manana kobaxiZe:

# saakaSvili qameleonia _ mSvidobis mtredis rols TamaSobs da am dros despotia...



*ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასა და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის დეტალებზე „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე და პარლამენტის ვიცე-სპიკერი* ***მანანა კობახიძე*** *ესაუბრა.*

**—ქალბატონო მანანა, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარ ფაქტს საპარლამენტო ოპოზიცია სამოქალაქო დაპირისპირებისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს და აცხადებენ, რომ ყოფილი პოლიტპატიმრები ხელისუფლებამ ოპონენტების წინააღმდეგ გამოიყენა. თქვენ როგორ შეაფასებთ რვა თებერვალს ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტს და იზიარებთ თუ არა ოპონენტების არგუმენტებს?**

— საპარლამენტო ოპოზიციის მოსაზრება, რომ ხელისუფლებამ ყოფილი პოლიტპატიმრები ოპოზიციის წინააღმდეგ გამოიყენება მტკნარი სიცრუეა. უმჯობესია, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხალხს პასუხი გასცეს თუ რატომ აქვთ მათ მიმართ ამხელა აგრესია. ის, რომ სააკაშვილის გუნდის მიმართ ხალხს ჰქონდა პროტესტი და პროტესტი დღესაც გრძელდება, ცხადია და ამაში გასაკვირი არაფერია. თუმცა მისაღები არაა ძალისმიერი მეთოდებით პროტესტის გამოხატვა, რის გამოც ადამიანების ნაწილმა პასუხი უკვე აგო, მათ ნაწილს ბრალი წაუყენეს, ნაწილს ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრეს, გამოძიება მიმდინარეობს და მომხდართან დაკავშირებით ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს. თუმცა, ცხადია, რომ „ნაცმოძრაობას“ ეს პროვოკაცია აწყობდა. მსგავსი ინციდენტი აწყობდა სწორედ სააკაშვილის გუნდს, რომ ახლა ჩაგრულის მანტია მოისხან და თქვან, როგორი დაჩაგრულები არიან და ხელისუფლება როგორ ებრძვის. მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცოდა, საჯარო ბიბლიოთეკასთან ეგზალტირებული ხალხი კორდონს მოაწყობდა და ამ ფორმით ის ტანჯულის მანტიას მოისხამდა. ჯობს, სააკაშვილი ქართველ ხალხს დაელაპარაკოს და პასუხი გასცეს მთელი ცხრა წლის განმავლობაში კონსტიტუცია თავის ტანზე რატომ მოირგო და რატომ გაიხანგრძლივა საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა.

**— ამბობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პროვოკაციაზე შეგნებულად მოდის, რადგან მათ ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია სურთ. ამ ფონზე საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლის გადადებით უმცირესობას ერთგვარად საბაბი ხომ არ მისცა, რომ გააგრძელოს ის რიტორიკა, რომელსაც სააკაშვილის გუნდი დღემდე მიმართავს?**

— ჩვენ, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კონკრეტული შეკითხვა გვაქვს, რაზეც პასუხის გაცემას თავს არიდებენ.

პარლამენტში გამართულ დებატებისას საპარლამენტო უმცირესობამ სააკაშვილის ენით დააფიქსირა და თქვა, რომ ისინი მხარს არ უჭერენ საკონსტიტუციო ცვლილებებსა და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას. თუ საკანონმდებლო ორგანო, მთავრობა, მუდმივად დათხოვნის საფრთხის ქვეშ უნდა იყოს და ჩვენ მიერ ინიცირებულ ცვლილებებს მხარს არ უჭერენ, მაშინ ამ პარლამენტში რა საქმე აქვს, რატომ უნდა მოვიდეს მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ ვამბობთ, სანამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებს არ გადავწყვეტთ, თუნდაც ორი კვირის მანძილზე სააკაშვილს მოეთმინა საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლა, რადგან იქამდე მას არანაირი მორალური უფლება არა აქვს პარლამენტში მივიდეს და დეპუტატებს ელაპარაკოს.

პრეზიდენტი, „ნაციონალური მოძრაობა“ კარგად დაფიქრდეს იმაზე თუ რატომ აქვს ხალხს მათ წინააღმდეგ ამხელა აგრესია. ჯერ კიდევ გვიანი არაა და საზოგადოებას აუხსნას, რატომ უნდა იყოს მიხეილ სააკაშვილი უკიდეგანო უფლებებით აღჭურვილი. არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ასეთი ნორმა არ არსებობს და ჩვენს კონსტიტუციაში რატომ უნდა იყოს?

**— პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს დიალოგის დასაწყებად რეზიდენციაში ეპატიჟება. ვახტანგ ხმალაძეს სააკაშვილის ამ განცხადების გულწრფელობაში ეჭვი ეპარება. თქვენ რას ფიქრობთ სააკაშვილის შემოთავაზებაზე და მზად არის თუ არა პრემიერ-მინისტრის გუნდი დაიწყოს მოლაპარაკება პრეზიდენტთან?**

— ჩვენ, მიხეილ სააკაშვილთან ფარულად სათქმელი არაფერი არ გვაქვს, ღიად ვესაუბრებით და საზოგადოების წინაშე ვამბობთ, რა მოთხოვნები გვაქვს და რისთვისაა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, ამიტომ მანაც ღიად გვიპასუხოს. დდიალოგი და მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, ურთიერთობის ცივილური ფორმაა, მაგრამ რთულია სააკაშვილისგან რაიმე დაიჯერო. სააკაშვილი თან დიალოგზე გვიწვევს, თან კოჰაბიტაცია უნდა, თან ევროსაბჭოში უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღავს. ადამიანს, რომელსაც დიალოგი სურს ისე არ მოიქცევა, როგორც სააკაშვილი ევროსაბჭოში მოიქცა, საკუთარი ქვეყნის მთავრობა გალანძღა და პრემიერს შეურაცხყოფა მიაყენა. მას შეუძლია ქამელეონივით გადასხვაფერდეს, უცბათ მშვიდობის მტრედი გახდეს და იქვე გავეშებული დესპოტი იყოს. მთავრობამ სააკაშვილისგან შეთავაზება მიიღო და ბიძინა ივანიშვილი თავად განსაზღვრავს, რა არის ქვეყნისთვის უკეთესი და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.



**— „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობის შესახებ მინდა გკითხოთ. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის ყრილობა თებერვლის შუა რიცხვებში იგეგმება, თუ გადაწყდა კონკრეტული თარიღი როდის შედგება ყრილობა?**

— რამდენიმე რაიონში პარტიული კონფერენციები მიმდინარეობს და საბოლოოდ ამ კვირაში გადაწყდება როდის გაიმართება ყრილობა.

**— პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე, ის, შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ პარტიის საპატიო თავმჯდომარე იყოს. ამ კუთხით კორექტირება ხომ არ იგეგმება?**

— ბიძინა ივანიშვილი რადგან არ არის საქართველოს მოქალაქე, კანონიდან გამომდინარე, მას, როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელსა და ლიდერს, შესაძლებელია მხოლოდ პარტიის საპატიო თავმჯდომარის პოზიცია ჰქონდეს.

**— პარტიის თავმჯდომარის კანდიდატურას რაც შეეხება ისევ თქვენ დარჩებით ამ თანამდებობაზე თუ ამ პოსტზე სხვა კანდიდატურები განიხილება?**

— არა მგონია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ დავრჩე და ჩემი პოზიცია ასეთია, მაგრამ ბატონმა ბიძინამ თავად უნდა გადაწყვიტოს, საერთოდ, ეყოლება თუ არა პარტიას თავმჯდომარე, თუ დაერქმევა მის ხელმძღვანელს სხვა სახელი, ეს საკითხი ბატონი ბიძინას გადასაწყვეტია და როგორც საჭიროდ ჩათვლის, ისე იქნება.

**— რეგიონებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რამდენიმე რაიონში ყრილობა ჩაიშალა და პარტიის თავმჯდომარე ვერ აირჩიეს. ამ საკითხის დარეგულირებას როგორ გეგმავს „ქართული ოცნება“?**

— სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში პროვოკაციები იყო. პარტიის არაკეთილმოსურნეებს, როგორც ჩანს, არ აწყობდათ კონფერენციების ჩატარება და თავმჯდომარეების არჩევა და მოახერხეს ის, რომ ყრილობები ჩაშალეს. თუმცა ეს პრობლემაა არაა. შემდგომშიც შეგვიძლია ანალოგიური კონფერენციების ჩატარება და თავმჯდომარეების არჩევა, მაგრამ მანამდე რაიონული ორგანიზაციებიდან, პარტიის წევრებიდან პოლიტსაბჭოს შეუძლია ზოგიერთი მათგანი დელეგატების სახით აირჩიოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე წარმოსადგენად.

**მირანდა ნაბახტეველი**
**598 19 39 14**

# politikaSi mosvliT ivaniSvilma gadaarCina saakaSvili, CauSeskus bedi romar gaeziarebina

***ვესაუბრებით „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს, ბატონ პეტრე მამრაძეს***

**— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში ბოლო დღეებში შექმნილ ვითარებას, შეიძლებოდა თუ არა კონფლიქტის თავიდან აცილება?**

— დავიწყებ იმით, რომ ჩემი აზრით, საპარლამენტო უმრავლესობამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ბოლო მომენტში გააუქმა პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა: დაებრუნებინათ პარლამენტისათვის ის უფლებები, რაც ადრე წაართვეს, სწორი და სამართლიანი იყო. ვიმეორებ, მოთხოვნა სწორი იყო, მაგრამ დაგვიანებული და მას შემდეგ მიღებული, რაც გამოცხადდა პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის თარიღი.

ხაზი მინდა გავუსვა, თავიდანვე რომ გამოეცხადებინა უმრავლესობას, რომ ვადაგასული პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი დასრულებულია, ეს იქნებოდა დასაბუთებული. ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება 2013 წლის ოქტომბერში, ვერ ფარავს იმ მუხლს, რაც ითვაისწინებს:პრეზიდენტი არჩეულია ხალხის მიერ 5 წლის ვადით. თავის დროზევე რომ ჩაეწერათ კონსტიტუციაში; მოქმედი პრეზიდენტი შეასრულებს თავის მოვალეობას 21 იანვრიდან 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლითო, პრობლემა არ იქნებოდა. სამწუხაროდ, ასეთი რამ თავის დროზე არ მოხდა, დღეს კი სახეზეა ვადაგასული პრეზიდენტი, რომელსაც კარგა ხანია, მორალური თვალსაზრისითაც, არავინ აღიარებს პრეზიდენტად, თანამზრახველების გარდა.



მას შემდეგ, რაც შევიტყე, რომ პრეზიდენტი ჯერ ქუთაისში ჩავიდოდა და მერე ეროვნულ ბიბლიოთეკაში გააკეთებდა მოხსენებას, მივხვდი, რომ სააკაშვილი თავის თანამზრახველებთან ერთად ამზადებდა სერიოზულ პროვოკაციას. თუმცა, ის რაც მოხდა, ყოველივე ამან ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. ვინც კი ბიბლიოთეკის სიახლოვეს იმყოფებოდა, ყველა დარწმუნებულია, თუ როგორ მოემზადა ყოველივეს თავიდან ასაცილებლად ქართული პოლიცია. საზოგადოებამ აჩვენა, რომ, როდესაც ხდება მასობრივი სახალხო პროტესტი, პოლიციას შეუძლია მხოლოდ დერეფნის გაკეთება, მაგრამ არ შეუძლიათ იმ ხალხის დაცვა, ვის მიმართაც საზოგადოების მხრიდან არსებობს აგრესია და ზიზღი ყველგან და ყოველთვის. ამის მიუხედავად, სააკაშვილის მომხრეებმა იმოქმედეს მაინც აშკარად შემუშავებული გეგმით, შეიჭრნენ ხალხში და ისეთი პირები წაიმძღვარეს წინ, ვინც ყველაზე უფრო დიდ აგრესიას გამოიწვევდა.

**მინდა გავაკეთო მნიშვნელოვანი განცხადება, ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც შარშანწინ გამოაცხადა პოლიტიკაში თავისი მოსვლის შესახებ, სააკაშვილის ხელისუფლებისგან იგემა ძალადობის, ტყუილისა და სიძულვილის დიდი დოზა. სოზარ სუბარმა მაშინ აღნიშნა, რომ სააკაშვილი მოვიდა ქვების სროლით და წავა ქვების სროლითო. საბედნიეროდ, ივანიშვილის გამარჯვებამ ოქტომბერში გადაარჩინა სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ჩაუშესკუს სცენარს! რომ არა ივანიშვილი, ნაციონალები კვლავ გაიმარჯვებდნენ, პარლამენტში შეიყვანდნენ კვლავ „ახალ მემარჯვენეებსა“ თუ „ქრისტიან-დემოკრატებს“, ოპოზიციური პარტიები ვერ გადალახავდნენ საბარიერო ბარიერს და ამის შემდეგ ხალხის საპროტესტო ტალღა აგორდებოდა. ვიმეორებ, ივანიშვილმა გადაარჩინა საქართველო არა მარტო სააკაშვილის რეჟიმს, არამედ თვით სააკაშვილი ჩაუშესკუს ბედს!**

**— უგულავას პროვოკაცია ხომ არ იყო გამოწვეული იმითაც, რომ ის დაკითხვებზეა დაბარებული, სადაც არ ცხადდება შიშის გამო და მას აწყობს ქვეყანაში არეულობის მოწყობა?**

— გეთანხმებით, ეს მომენტიც იყო, მე მაქვს ფრიად დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ სააკაშვილს, მერაბიშვილს, უგულავას, ადეიშვილს და რამდენიმე მათგანს რომ დაუმტკიცდეს თუნდაც ნაწილი ჩადენილი დანაშაულებებისა, მათ უვადო პატიმრობა არ ასცდებათ! ამიტომ ისინი ცდილობენ, შექმნან ისეთი ვითარება, თითქოს პოლიტიკურად დევნილები და დაჩაგრულები არიან. ეს გააკეთეს ამჯერადაც, საჯარო ბიბლიოთეკის წინ. სურთ დაამტკიცონ, რომ მათ დევნიან და მათ მიმართ ძალადობას ახორციელებენ. თუმცა ყველაფერი ძვირად დაუჯდებათ, თუ ვერ მოზომეს და არ გაითვალისწინეს, როგორ არის ხალხი მათ მიმართ განწყობილი. დღეს ხალხის განწყობა მძიმეა, ისინი თვლიან, რომ თუ ხელისუფლება დროზე არ ჩასვამს მათ ციხეში ჩადენილი დანაშაულების გამო, ხალხი გამოუტანს განაჩენს და ისინი ჩასვამენ. ეს ხალხის აზრია, მოთმინების ფიალა იწურება. ნაციონალები არათუ ბოდიშს არ იხდიან, არამედ აგრესიას ხალხის მიმართ ჩვეული რიტორიკით აგრძელებენ. ამან, შეიძლება, მძიმე შედეგები მოუტანოს მათ.

**— რატომ აქვს პანიკური შიში სააკაშვილს პარლამენტის თბილისში გადმოტანაზე, ის ხომ წლების განმავლობაში ამ რეჟიმში ცხოვრობდა?**

— პარლამენტის თბილისის შენობა დღეს განადგურებულია სააკაშვილის სერვილითა და დავით ბაქრაძის ზეპირი მითითებით. თბილისი არის ფლაგმანი სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმთან ბრძოლაში, ამიტომაც სურდა პარლამენტის გადატანა ქუთაისში, სურდა გასცლოდა დედაქალაქს, მოეგო დრო. ამის შემდეგ კი თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც გამართავდა ხანგრძლივ საპროტესტო აქციებს. ჩანს, მისი ეს გეგმები იშლება, რაც მას საშინლად აღელვებს.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი ფინანსური, ეკონომიკური დანაშაული იკვეთება ხელისუფლების მხრიდან. საქმეში ჩახედული ადამიანებისგან ვიცი, რომ

**უკვე დათვლილია, რომ ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის სხვადასხვა არხებით, ჯამში გადარიცხული იყო 1 მილიარდზე მეტი თანხა. დოკუმენტაციით კი ათვისებულია მხოლოდ 360 მილიონი. რა ეკუთვნით ასეთი დანაშაულისთვის ადამიანებს?**

ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ 100-ლარიანი დანაშაულისთვის ხალხი წლებს ატარებდა ციხეებში.

მე მაინც ვფიქრობ, რომ საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტიდან ჩანს, რომ ნაციონალები ხალხმა მაინც დაინდო, თუმცა მათ მოთმინებასაც საზღვარი აქვს.

ყველამ თავის თავს დაუსვას კითხვა, ეგულებათ მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი მსოფლიოს თვალწინ სამარცხვინოდ გაიქცევა ბრძოლის ველიდან, მუხლებზე იხოხებს და მაინც დარჩება პრეზიდენტად? თანაც ვადაგასულ პრეზიდენტად!

ციხის კადრებმა ხომ აჩვენა, რომ ქვეყანაში შექმნილი იყო სადისტური სისტემა?

**— ხშირად უკიჟინებენ ახალ ხელისუფლებას საგარეო კურსის შეცვლას და ამით პანიკას გამოხატავენ უმცირესობის წარმომადგენლები, გარეგნულად ეს ასე არ ჩანს, ამაზე რას იტყვით?**

— აქ უფრო კურიოზული რამ ხდება, წლების განმავლობაში, კერძოდ, 2004 წლის მაისიდან, სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად ატარებდა მკვეთრ ანტიქართულ და ანტიდასავლურ კურსს, რაც დასავლეთმა ძალიან მალე ამოიცნო. თუმცა სააკაშვილი სიტყვით აცხადებდა, რომ ის დასავლეთის კურსის გამტარებელი იყო, საქმით კი საპირისპიროს აკეთებდა. დე ვაალი წერდა, რომ ეს კაცი ისეთი გამტარებელია დასავლეთის კურსისა, რომ მას მტერი სჯობიაო. ხშირად „ოცნების“ წარმომადგენლებსაც ეშლებათ, როცა ამბობენ, რომ კურსს არ შევცვლითო, სწორედაც რომ ეს კურსია შესაცვლელი, სააკაშვილის ანტიდასავლური კურსი, რომელიც ყველა სურვილს უსრულებდა პუტინის ჩეკისტურ რეჟიმს

ეს ყველაფერი უნდა შეიცვალოს პროქართული კურსით, რომელიც მოიცავს იმას, რომ ვისწრაფვოდეთ დასავლეთისკენ, ევროპისკენ, მივაღწიოთ მათ სტანდარტებს ყველა დარგში.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 11 02 00**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




## xalxis azriT

პეტრე ცისკარიშვილმა თავის კოლეგას დავით საგანელიძეს თვალში კასტეტი, რომ ჩაარტყა ეს შეიძლებოდა! დროშის ტარებით ჯემალ გოგიტიძეს და ვახტანგ რჩეულიშვილს თავები, რომ გაუხეთქეს ნაციონალებმა ეს შეიძლებოდა! ვალერი გელაშვილი კინაღამ რომ მოკლეს, ეს შეიძლებოდა! მარტო ჩიორას ცემა ისჯება თუ როგორაა საქმე? გივი თარგამაძე რომ ყვიროდა სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო, როგორ იყო, აღარ გახსოვთ? აღარ გახსოვთ ზაზა ბეგაშვილმა მიშისტების აღლუმი რომ ჩაატარა, 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ რუსთაველზე. ეხლა მოიცათ, მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი დააკავეს და გიგი უგულავა არც დაკითხეს?

ვანო მერაბიშვილს უბრძანებია — პოლიცია პოლიტიზირებული არისო. მომიტევეთ ბ-ნო ვანო და 2009 წლის 6 მაისს არ იყო პოლიტიზირებული? გიორგობა დღეს ხალხს თავები რომ დაუხეთქეს და შენს სახელს სკანდირებდნენ?

ბიძინა, ვალდებული ვარ გაგაფრთხილო, რომ, თუ ვაჩნაძის და მესხის წინაალმდეგ პროკურატურა თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს და უგულავას კი არ დააპატიმრებენ, იცოდე, რომ შენი რეიტინგი განახევრდება!...

ნამდვილად საფიქრალია, მსხვერპლი არ მოჰყვეს ამ ამბებს, თორემ უგულავას ერთი-ორი კარგი შემოლაწუნება არ აწყენს - იქნებ გამოფხიზლდეს და ნამუსი გაეღვიძოს.

ქალის ცემა მიუღებელია. თუ ეს ქალი სამშობლოს ჩინელებზე გიყიდის, შენს სარწმუნოებას ებრძვის, საარსებო წყაროს გიკეტავს, საქართველოს სინგაპურად გადაკეთება უნდა, საჯიშე ბიჭებს ახოცვინებს და სახურევებზე ყრის, მოდის და პირველად ის გირტყამს, მაინც არ უნდა დაარტყა, არა?.... გვერდიდან განსჯა ადვილია, რა იცი, როგორი გამწარებულები ჰყავთ ის ადამიანები, ვინც ეს გააკეთა.

არა, მაინც დამრჩა გუშინდელის შემდეგ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა... გივია ვერ ვნახე, თარგამაძე! ახლაც ჩამესმის მისი სიტყვები 7 ნოემბერს ნათქვამი, სულს ამოგხდითო!!! აუუუუ, რა მოხვდებოდა! ნასარიძე მოგონილი იქნებოდა! თითო-თითო შემომალაწუნებიეთ ჩიორა-თუთბერიძე-ნასარიძე-უგულავა——————————-აუუუუუუუუუუუ............რა ჩამოთვლის.... და არ მინდა თქვენი გირაო.... ვიჯდები ცოტა ხნით

თქვა იმ კაცმა, ჩიორასთვის დარტყმა არ მინდოდა, უბრალოდ, ავუქშიე და არ აფრინდაო.

არ უნდა მორჩეს პროვოკატორების ფარფაში საქართველოში? ჩვენმა ვადაგასულმა ვერ მოითმინა და ბრბო უწოდა თავის თანამემამულეებს. დაავიწყდა, ალბათ: ხალხს ბრბოდ გარემო აქცევს. რით ვერ დაიჯერეს, რომ საქართველოს უმეტესი ნაწილი ვერ იტანს მაგათ თვითკმაყოფილ, მობეზრებულ სახეებს, ლამაზ სიტყვებში შეფუთულ ტყუილებს და დემაგოგიას, მიმართულს სხვის ხელის შესაშლელად. ვერ ეგუებიან ძალაუფლების დაკარგვას, ძნელია, მაგრამ გარდაუვალი. გუშინდელი დღე ნამდვილად არ არის საამაყო, მაგრამ ხომ გაგიგიათ: რასაც დათესავ - იმას მოიმკი.

# raxdeboda erovnul biblioTekasTan 8 Tebervals?

## რეპორტაჟი შემთხვევის ადგილიდან

8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსთან 12 საათიდან გამოჩნდნენ ყოფილი პოლიტპატიმრები, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი 12 საათზე, გელათის მონახულების შემდეგ დათქმული 6 საათის ნაცვლად 2 საათისთვის მოულოდნელად შევიდოდა რომელიმე სათადარიგო შესასვლელიდან ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში, წაიკითხავდა თავის სიტყვას და სასწრაფოდ გაეცლებოდა იქაურობას. პირველი საათისთვის უკვე ცლიდნენ პატარა სატვირთო ავტომანქანიდან რაღაცის ასაწყობ ნაწილებს.

რა შეაქვთ? — ვიკითხე უმისამართოდ. „სააკაშვილის ასაწყობი კუბო, ჩაწვენით, ჩვენ ჩავაწვენთ“, — მიპასუხეს მამაკაცების ერთი ჯგუფიდან. „არა, ჯერ 2-ჯერ გავატარებთ მე-8 საპყრობილის „ფუქსებში“, „გოჭი“ იქაა ისევ, ჩიჩუა, სუპს რომ თქვლეფდა და მერე შევხედავთ, რამდენი ხნით დავტოვოთ იქ,“ — გამომეპასუხა ულვაშიანი მამაკაცი მეორე ჯგუფიდან და სიცილით, მაგრამ ჩუმად გაიხსენეს რაღაც ეპიზოდი ციხის ცხოვრებიდან. როგორც ჩანს, სასაცილო ამბებიც ხდებოდა. სხვა არავინ ჩანდა და მათ მივეკედლე. „არა, ქალბატონო, სასაცილო რა იყო, გვიხარია, ცოცხლები რომ გადავრჩით...“



ცოტა ხანში კაბელებიანი კოჭების გადმოზიდვაც დაიწყეს მომდევნო მანქანიდან, ხოლო პოლიტპატიმრებმა ეროვნული ბიბლიოთეკის ფასადისა და შესასვლელის „გალამაზება“ დაიწყეს ცოცხებითა და 26 მაისის სისხლიანი დარბევის ამსახველი გადიდებული სურათებით.

რას აპირებთ? — ვკითხე ახლოს მდგომებს.

ზაურ მაკარაძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცერი (ყოფილი პოლიტპატიმარი "ქართული ოცნება"): — „2012 წლის 26 მარტს მომიტაცეს თბილისში, მატარეს აქეთ-იქით და მერე მითხრეს, შენ „ლიმონკა“ გქონდაო. ჩემი მეგობარია ირაკლი სესიაშვილი და მის გამო მომიტაცეს, უნდოდათ, რომ რაღაც სიბინძურე დამეწერა, მაგრამ რომ ვერ დამითანხმეს, მთელი კოშმარი მქონდა. ორჯერ ერაყი მოვიარე, ბოლოს ავღანეთში ვიყავი, სადაც გენერალ კალანდაძეს დავუპირისპირდი და წამოვედი შეიარაღებული ძალებიდან. შეაერთეს ინტერესები და ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მომისაჯეს 5 წელი და 3 თვე. დღეს აქ მოვედით იმიტომ, რომ ვთვლით, ამ კაცთმოძულეს, მოქალაქე სააკაშვილს, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ოჯახების მტერს, არ აქვს არანაირი მორალური და ზნეობრივი უფლება ხალხს მიმართოს. ყოფილი სამხედრო პირები, რომლებიც პოლიტპატიმრებად გვაქცია სააკაშვილმა, არ დავუშვებთ, რომ ამ შენობაში შევიდეს — ვერ შევა!“

**მერაბ გორგაძე (ყოფილი პოლიტპატიმარი):** — „2009 წლის ივნისში დამაკავეს, მომისაჯეს 11 წელი. 3 წელი და 6 თვე იმ ჯოჯოხეთში გავატარე მხოლოდ იმიტომ, რომ ვმუშაობდი სასაზღვრო უწყებაში ბატონ ბადრი ბიწაძესთან, მაგრამ საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ჰეროინის შეძენა-შენახვისთვის დამაპატიმრეს. ვიყავი სამმართველოს უფროსის თანაშემწე და ახლა აქ არ არის, თორემ ანალოგიური ბრალდებით დააპატიმრეს და ჩემთან ერთად გამოვიდა ჩვენი სამმართველოს უფროსის მოადგილე. სამმართველოს უფროსს ზეწოლით დააწერინეს განცხადება და წავიდა, მაგრამ ვინც არ დავწერეთ, მოვყევით ასეთ ამბავში. ბადრი ბიწაძეზე კომპრომატების მიწოდებას მთხოვდნენ — ასეთი რამ, ჯერ ერთი, რომ ჩემთვის არ არსებობს, თუმცა, რომც რამე მქონოდა, როგორც კაცი, მაინც არ ვითანამშრომლებდი ამ არაკაცებთან... ჯერ მარტო რვა ადამიანი ჩემს თვალწინ გარდაიცვალა ციხეში...

გვიპასუხოს სააკაშვილმა, რატომ დაგვიჭირა, რატომ დახოცა უდანაშაულო ხალხი და ვინც დავუძვერით სიკვდილს, რატომ გაგვხადა ინვალიდები!“

**ზურაბ ნეფარიძე („ეროვნული ფორუმის“ ისნის რაიონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ყოფილი პოლიტპატიმარი):** — „2011 წლის 20 ოქტომბერს დამაკავეს და 5 წელი მომისაჯეს. რა დღეები გამოვიარე, რა იტყვის — შვილებზეც გადავიდნენ... ოფიციალური ბრალდება ასეთია, „გამოძალვის თაღლითური მცდელობა“ — ასეთი მუხლი არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში, თუმცა მათი რეალური ინტერესი არარსებული დანაშაულის გამოძიების დროს მათივე მოთხოვნებით გამოჩნდა — მათ აინტერესებდათ ნოდარ ჯავახიშვილი, რომელიც „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.“

იქვე ორ ახალგაზრდას მოვკარი თვალი: — თქვენც ყოფილი პოლიტპატიმრები ხართ?

**ბექა გრიგალაშვილი („მუხროვანის“ ამბოხის გამო ბრალდებული):** — „დამაკავეს 2009 წლის 5 მაისს — ამბოხში მონაწილეობდიო. „მუხროვანში“ საერთოდ არ ვყოფილვარ, მეგობრებთან ფოცხვერაშვილთან და ბეგოიანთან ერთად მივდიოდი, გზაში დამაკავეს, დამიჭირეს. აღიარეო. რა უნდა მეღიარებინა.?! მომისაჯეს 15 წელი იარაღის შენახვის მცდელობის მუხლით, თუმცა, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. საქმეში იარაღი არ დევს, ანაბეჭდები არ არის, არანაირი მტკიცებულება არ არის. რა ამბოხება, რა საქმე მქონდა სამხედრო ნაწილში, საერთოდ არ ვარ ნამსახურევი არანაირ ჯარში. დილის 11 საათიდან ღამის 1 საათამდე მცემდნენ მოდულის შენობაში, მთლად გაშავებული ვიყავი, ჰემატომა განმივითარდა, ღვიძლი დამიზიანდა, ხერხემალი... 3 წელი და 8 თვე გლდანში ვიყავი ჩაკეტილ კამერაში და იქ ცალკე იყო ზეწოლა — სტარსბურგში მაქვს გაგზავნილი საქმე და ველოდები პასუხს. ყოველმხრივ ბინძური კაცია სააკაშვილი და კიდევ ის აპირებს სადმე მოსვლას და ხმის ამოღებას?“

მაგისტრალებზე გასული ეკიპაჟების გაფრთხილება, რომ შეძლებისდაგვარად მოხსნილიყვნენ და გადანაცვლებულიყვნენ გუდიაშვილის ქუჩაზე, მკაფიოდ გაისმა პოლიციელის რაციიდან. აღსანიშნავია, რომ პოლიციელები ყოველგვარი აგრესიის გარეშე ინტერესით უსმენდნენ ჩემი რესპონდენტების საუბარს და ერთმანეთს, იქვე მდგომებს გადასცემდნენ, ხოლო პოლიტპატიმრებს აბსოლუტურად არ ენაღვლებოდათ, ვინ უსმენდა მათ საუბარს.

**ალექსანდრე ბეგოიანი („მუხროვანის“ ამბოხის გამო ბრალდებული):** — „2009 წლის 5 მაისს გზაზე მივდიოდით მეგობრები, დაგვაკავეს, მიგვიყვანეს მოდულის შენობაში და გინდათ თუ არა, აღიარეთ, რომ მონაწილეობდით ამბოხშიო. რა ამბოხი, წარმოდგენა არ გვქონდა, სამხედრო ნაწილთან ჩავიარეთ, რადგან თელავში მივდიოდით მეგობართან. გზა დაგვხვდა გადაკეტილი, დაგვაკავეს და რა იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ახალაია რომ შემოდიოდა და გვცემდა. განცხადებას ვაკეთებ, პირადად მცემდა ბაჩო ახალაია რომ მეღიარებინა დანაშაული. არ ვაღიარე და არც ვაღიარებ იმას, რაც არ ყოფილა. 10 წელი მომისაჯეს — „დახმარება დაუმორჩილებლობაში“, ანუ ჯარმა გამოაცხადა პროტესტი და პროტესტში ვეხმარებოდით თელავისკენ გზადმიმავლები. „მუხროვანი“ კი არა, ჯარი საერთოდ არ მინახავს, არ ვარ ნამსახური, მანქანების სამრეცხაოში ვმუშაობდი — 3 წელი და 8 თვე. ასე ტყუილუბრალოდ ვიჯექით გლდანის ციხეში. დღეს ველოდები იმ უნამუსო კაცის მოსვლას, ერთ-ორ სიტყვასთან ერთად მინდა უპირველესად ის ვკითხო — რატომ დაგვიჭირა?“

ნელ-ნელა ყოფილ პოლიტპატიმრებთან ერთად პოლიციელებმაც იწყეს შემომატება, აქა-იქ ერთი-ორი ტელეჟურნალისტიც გამოჩნდა და პირველი ჩართვაც გააკეთეს. ძალზე მცირე დროში საგრძნობლად იმატა მომსვლელმა ხალხმა და ევაკუატორიც გამოჩნდა მოლაშვილის მანქანის ასაღებად. მამაკაცების ნაწილი სათადარიგო გასასვლელის დასაცავად გაემართა: „ჩვენ ვინმეს კი არ ვუშლით შიგნით შესვლას, ვისაც უნდა, ის შევიდეს, მაგრამ სააკაშვილთან შეკითხვები გვაქვს და არ შევუშვებთ თუ არ გვიპასუხებს!“ — ასეთი იყო პოლიტპატიმრების ჩამოყალიბებული პოზიცია. ამ დროისთვის მხოლოდ საპატრულო პოლიციის მცირე ნაწილი იყო მობილიზებული შენობასთან.

**ზურაბ ჩიტირეკაშვილი („ყინწვისის საქმე“):** — „2011 წლის 26 მაისს დამაკავეს, დილის 9 საათზე. 4 წელი მქონდა მოსჯილი და 5 წელი პირობითი, ვიჯექი 20 თვე. საბრალდებო დასკვნაში წერია „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“ მუხლი №315. არანაირი შეიარაღება და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა არ ყოფილა და ასე ერთი ხელის მოსმით გამომაცალეს ჯანმრთელობა, გამინადგურეს ოჯახი... როგორ უნდა მეღიარებინა, რომ 2000 ათასი ქართულად მოლაპარაკე და ქართული წერა-კითხვის მცოდნე რუსი უნდა შემომეყვანა, რომელი რუსის ჯარის შტაბის უფროსი ან „კამბატი“ ვიყავი, მითუმეტეს, რომ არც სამხედრო პირი ვარ, რომ რამენაირი კავშირი მქონოდა სამხედრო პირებთან, სალოცავად ვიყავი მეუფე იობთან და თავი ამოვყავი ციხეში...“

**პავლე ბლიაძე (რუსეთის ჯარების პოლკოვნიკი):** — „2009 წლის 27 მაისს შვებულებით ჩამოვედი ცოლ-შვილის სანახავად და როგორც კი საზღვარზე გადმოვედი, დამაკავეს. მომთხოვეს თანამშრომლობა, ანუ უნდა მეღიარებინა, რომ ვარ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და ვთანამშრომლობდი ე.წ „მუხროვანის ამბოხებულებთან“, ვითომ მათთან რუსეთიდან ჩამომქონდა ინსტრუქციები და ისინი იმართებოდნენ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. მითხრეს, ახლა გაგიშვებთ, მაგრამ მოიფიქრე, თორემ გაგაფუჭებთო. როცა არაფერი გაქვს დაშავებული არც კანონისა და არც ქვეყნის წინაშე, არ ფიქრობ არაფერს ცუდს, ამიტომ, სახლთან რომ იდგნენ და მყარაულობდნენ, არ შემშინებია. 2009 წლის 20 ივნისს მე და ჩემი ბიჭი საბურავის გამოსაცვლელად მივდიოდით ვულკანიზაციაში, გამოგვყვნენ უკან და რადგან „ვერ მოვიფიქრე“, ვითომ მე მქონდა იარაღი, მომისაჯეს 5 წელი“.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ილია დალაქიშვილი (ყოფილი პოლიტპატიმარი, „აღორძინების“ სიის №19 დეპუტატობის კანდიდატი):** – „პირველად მამაჩემთან ერთად დამაკავეს 2007 წელს. მას შემდეგ, რაც „ვერ მოხერხდა“ ჩვენს შორის შეთანხმება, დაიწყო დევნა, ითხოვდნენ ბიზნესის წილებს და ქონებას. ეკონომიური მუხლებით მისჯილი მქონდა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, ფაქტიურად, ზურაბ ნოღაიდელის პირადი პატიმარი გახლდით.“

ჩემთან ახლოს მდგომი პოლიციელის რაციიდან ისმის მიმართვა: „სრული მობილიზება!“ ამასობაში ნანა კაკაბაძეც მოდის და ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლეში უჩინარდება.

**ზვიად ჯაჭვაძე (ყოფილი პოლიტპატიმარი, ყოფილი პოლიციელი, მაიორი, „მუხროვანის ამბოხი“):** – „დამაკავეს 2009 წლის 5 მაისს. ჩემთვის გაუგებარი იყო, რატომ დამაკავეს. ისეთ რამეებს მეუბნებოდნენ, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა. „მუხროვანის ამბოხთან“ დაკავშირებით დამიჭირეს, ვითომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე. ტერიტორიულად სრულიად სხვაგან დამიჭირეს და ჩემი დანაშაული ყოფილა ის, რომ ახლობელი მყოლია „მუხროვანში“ და მის მობილურში ჩემი ზარი აღმოჩნდა. ჩემგან მოითხოვდნენ იმ ისტორის აღიარებას, რაც თვითონ შეთხზეს“.

ცოტა ხანში კრიმინალური სამსახურის პოლიციელებმა ხალხის განცალკევება წამოიწყეს. ამასობაში შიგნით რაღაც მოხდა და გარეთ აბორგდა ხალხი, არ გამოდიოდა ინფორმაცია და დაირღვა კორდონი, ყველანი შიგნით მივაწყდით – გავიჭყლიტე, დამაგლიჯეს თმები, ხან მაღლა ამაქანეს კიბეზე, ხან უცნობ კაცს ჩამოვეკიდე კისერზე. შეკრული პოლიტჯაჭვი გაიხსნა და ვიღაცა გამოვარდა ბურთივით, რომელსაც უკან მოჰყვა სააკაშვილის „მგოსანი“ ფანი, ისიც იქ ყოფილა შემძვრალი, ამჯერად ადამიანურად ჩაცმული. ამ დგანდგარში კიბიდან ტალღამ გადამისროლა და პირდაპირ ქალბატონ ნორა კვიციანს ჩამახუტა, რომელიც ჩემსავით ხალხის




ტალღას იყო გამოყოლილი, ოღონდ უფრო ზემოდან. ვკითხე, რა ხდებოდა კარსმიღმა. აღმოჩნდა, რომ პოლიტპატიმრებში გარეული იყო მათთვის უცნობი პირი, რომელსაც დამალული იარაღი გამოუჩნდა, ხალხი აღელდა და გამოაძევეს „პროვოკატოროს“ ყვირილით.

ეს გნიასი არ იყო ჩათავებული და ზედ შესასვლელის კიბეებთან საიდანღაც ამოიწვერა ცვილისფერი თენგიზ გუნავა. (საინტერესოა, ბუნებრივად აქვს ასეთი ფერი თუ იქ დაედო?) „ეს გუნავა არ არის? სად მოდიხარ შე ბოზო!“ „ახალაიას შლუხა!“ და ისეთი ფრაზები, რასაც ნამდვილად ვერ ვაკადრებ მკითხველს – მსგავსი შინაარსის უხამსობა, არსად მომისმენია. სამჯერ მიიტანა შესასვლელზე იერიში გუნავამ, მოხვდა ცოცხი (თავში), წყლის ცარიელი ბოთლები, 26 მაისის სისხლიანი კადრები სახეში, წიხლები, ხელები, მაგრამ გაუძლო – ყოჩაღ, მის ამტანობას... ასაკოვანი ქალის მოკრძალებულ პროტესტს: „აქ რა უნდა გუნავას?!“ „რუსთავი-2-ის“ ტანმორჩილი ჟურნალისტი გოგონას გაღიზიანება მოჰყვა: „თქვენ რაღა გინდათ აქ?!“ „მე აქ უნდა ვიყო, სადაც ჩემი ვალია, გუნავა თუ სამეგრელოს გუბერნატორია, დაეტიოს სამეგრელოში!“ აშკარად გაასწრო გოგონამ ხალხის რისხვას.



დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ წლების მანძილზე ციხეში ნაწამები ადამიანების ნერვები ნაცების დანახვას ვერ გაუძლებდნენ, რომლებმაც მათი ადამიანური თუ მამაკაცური პატივი და ღირსება საბოლოოდ მაშინ გათელეს, როცა პოლიტპატიმრების არსებობა უარჰყვეს, ჯაშუშებად და საქართველოს მოღალატეებად გამოაცხადეს... ხსენებულმა ინფორმაციამ პოლიცია გამოაცოცხლა, დაირაზმნენ და მჭიდროდ შემოგვერტყნენ. „ჩვენ რომ გვიჭერთ, ისინი დაიჭირეთ!“ „ვინც იმათ უფრთხილდებით, სახლში წაიყვანეთ!“ „მოსტაცეთ ქალი ბაჩოს!“ – გაისმა მსგავსი შინაარსის რეპლიკები. „ჩვენ რა ჯანდაბად გვინდა!“ – ისეთი ტონით გამოთქვა პროტესტი საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა, თითქოს ვინმე იძულებულს ხდიდა, თუთბერიძე სახლში წაეყვანა – რა ვქნა, პოლიციელებზე „მიხუტებულმა“ ვერაფრით შევიკავე თავი და გულიანად გადავიკისკისე, მე კი არა, გვერდზე მდგომ მის კოლეგებსაც გაეცინათ...

გუდიაშვილის ქუჩა ნელ-ნელა ივსებოდა. ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი შესასვლელი პოლიტპატიმრებს ჰქონდათ გამაგრებული, თუ ჩვენგან 10 პოლიტპატიმარს არ შეუშვებენ რომ კითხვები დაუსვან სააკაშვილს, მაშინ, არც სააკაშვილს არ შევუშვებთო. „ის ისეთი კურდღელია, აი, ნახეთ, თუ მოვა“, „მიშა რისი მომსვლელია, მაგრამ მაინც არ მოვიცვლით ფეხს“, „ერთი, მოვიდეს, უნდა შევაფურთხო“, „უზრდელობა არ იყოს!“ – ამგვარი რეპლიკები ისმოდა და ამასობაში სააკაშვილის მოსვლის „მაცნე“ მანანა მანჯგალაძე გამოემართა მთავარი შესასვლელისკენ. „გაატარეთ, გაატარეთ!“

ცალ-ცალად და მცირე ინტერვალებით მოდიოდნენ დიპკორპუსის წარმომადგენლები და მომენტალურად იხსნებოდა ცოცხლად გადაკეტილი შესასვლელი. აშშ-ის ელჩიც გამოჩნდა კეთილისმყოფელი თუ დიპლომატიური ღიმილით და ისიც დანარჩენების.

**ნიკა სამხარაძე (ყოფილი პოლიტპატიმარი):** – „20 წლის ვიყავი 26 მაისს რომ დამაკავეს პოლიციისთვის ბოროტი დაუმორჩილებლობის გაწევის გამო. სიმართლე გითხრათ, „ბოროტად დაუმორჩილებლობა “ რას ნიშნავს, ახლაც ვერ ვხვდები. მანამდე რუსთავში დამიჭირეს 7 მაისს და ჯარიმით გამოვედი, მერე 26-ში დამიჭირეს და წამების შემდეგ 30-დღიანი მომცეს. დილომში რომ დამიწყეს სამმართველოს კიბეებზე ცემა, გააგრძელეს და მირტყამდნენ ერთი დღე, აღიარე, საიდან მოდიოდა ფული, რა კავშირი გაქვთ რუსეთთანო, ისე მცემეს ხუთი დღე გათიშული ვიყავი. ის ხალხი გვეძახდა მოღალატეებს, 2008-ში ჩემი თვალით რომ ვნახე, როგორ გარბოდნენ ტრუსიკიანები ფრონეს ხეობიდან. ნიღბები ეკეთათ, ცემის მომენტში რას გავარჩევდი, ვინ იყვნენ, მაგრამ მათგანვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ერთი იყო რუსთავის „კუდის“ თანამშრომელი, ბესელაშვილი, მეორე – ვალერი დულაშვილი, პოლიციის I განყოფილების უფროსი. „დულაშვილი ჯალათი!“ – ასეთი აქცია ჩატარდა მანამდე მის წინააღმდეგ და ეს ბოლმა ჰქონდა ალბათ, ჩარჩენილი. მერე დაიჭირეს დულაშვილი რაღაც დანაშაულის დაფარვაზე და გირაოთი გამოუშვეს...“

**ლევან ბერიშვილი (ყოფილი პოლიტპატიმარი):** – „26 მაისს დამაკავეს იგივე ბრალდებით, მომისაჯეს 3 წელი და 5 წელი პირობითი. მოითხოვდნენ, რომ ხელი დამედო და მეღიარებინა, რომ სპეცნაზის თანამშრომელს, რომლის ცხედარიც იქ საიდანღაც გამოჩნდა, ვითომ ჩვენებმა გადაუარეს – ჩვენებს არ გადაუვლიათ და არ ვაღიარე. ბევრ რამეს მეუბნებოდნენ და თვითონ დაწერეს მერე როგორც უნდოდათ – ხომ იცით, როგორ ხდება ეს...“

**ირაკლი გრძელიშვანიშვილი (ყოფილი პოლიტპატიმარი, პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, „სახალხო კრების“ ხელმძღვანელი ახმეტაში):** – „უშუალოდ ძმების, გიორგი (მერაბიშვილის მოადგილე) და დავით (უშიშროების სამხარეოს უფროსის მოადგილე) ლორთქიფანიძეების მითითებით დამიჭირეს 23 მაისს თბილისში. ბავშვობიდან ვიცნობ, ახმეტელები არიან და უშუალოდ მათთან დაპირისპირების გამო მოვხვდი ციხეში, მათთან რომ არ ვთანამშრომლობდი, იმიტომ.“

ეროვნული ბიბლიოთეკის მოპირდაპირე მხარეს მდებარე საცხოვრებელ სახლზე პლაკატი გაიკრა „ვადაგასულო მიშა, შენ მხოლოდ შენი „გნაცმოძრაობა გისმენს!“ და „სააკაშვილი №1 ნაციკანათი ისტორიის პოლიტიკურ სანაგვეზე!“

შევხედე და ახალგაზრდა ბიჭს მარჯვენა თვალი ჰქონდა დაშავებული. როგორც გაირკვა, უგულავას დაცვამ შუბლი გაუტეხა ბიჭს.

ერთ მომენტში ითქვა, რომ თუ სააკაშვილი პოლიტპატიმრების რამდენიმე წარმომადგენლის შეშვებაზე არ დათანხმდებოდა, არც ჟურნალისტებს შეუშვებდნენ. ტელეკამერები მხოლოდ აქტიური ყოფილი პოლიტპატიმრების კომენტარებით ინტერესდებოდნენ.

**ალექსანდრე ბერაძე (ყოფილი პოლიტპატიმარი):** – „უჩავას გატაცებაზე დამიჭირეს, მაგრამ მე 22 მაისის შემდეგ სახლში არ წავსულვარ, ვიცოდი, რომ დამიჭერდნენ. როგორც ყველა, 26 მაისს დამიჭირეს, მაგრამ გამომიშვეს. არ დავიმალე, იმიტომ, რომ შვილით მაშინებდნენ. დაჭერამდე ორჯერ დამკითხეს, კადრები ამომიღეს, თითქოს აქციაზე იმ დროს ვიყავი, როცა უჩავას იტაცებდნენ და მერე რა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ ჩანს, ეგ არ არის გადაღებული, თორემ წინააღმდეგობას უწევდი, მოგიყვანთ მოწმეებსო, ორი ცრუ მოწმე მოიყვანეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით დამიჭირეს, მომისაჯეს 3 წელი...“

ამასობაში გაირკვა, რომ 10 კი არა, 4 ყოფილ პოლიტპატიმარსაც არ შეუშვებდნენ დარბაზში, არ მოუსმენდა მათ მიხეილ სააკაშვილი. ამ დროისთვის უკვე თვლა არ იყო საპატრულო, კრიმინალური და პოლიციის სამმართველოს პოლიციელებისა, (უფროსები სამოქალაქო ფორმაში, მათზე დაქვემდებარებულები – ფორმებში) ფურცელაძის ქუჩაზე კი სასწრაფო დახმარების მანქანები იდგა. ბავშვობისდროინდელი ნაცნობი დავინახე, პოლიციის მაღალჩინოსანი და ხვევნა-კოცნით მივეჭერი: „დამაწყდა ფეხები, ის თქვენი პრეზიდენტი არ მოდის“-მეთქი? „არ მოვა,“ – მიპასუხა კატეგორიულად. „მართლა გეკითხები!“ – ვუთხარი მე. „მართლა გეუბნები!“ „როდის მომიტყუებიხარ?“ – შემომიბრუნა კითხვა. დავიჯერე.

უეცრად პოლიციის ჩოჩქოლი ატყდა და ელვისებურად დამწკრივდნენ ქაშვეთის მხრიდან ხალხისგან აბსოლუტურად ცარიელ შემოსასვლელთან. „მიშას უთავისუფლებენ გზას!“ – იხუვლეს პოლიტპატიმრებმა.

მაგრამ მისული მიხელ სააკაშვილი არ აღმოჩნდა – პირველად ვნახე ჩემს ცხოვრებაში, რომ პატიმრები ტაშს უკრავდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს...

ავტომობილიდან გადმოსული შსს მინისტრი მეორე მხარეს მდგომებმაც რომ დაინახეს და კიდევ მათ იქით მდგომებმა, რომ გაიგეს, ირაკლი ღარიბაშვილი ხალხის შუაგულში დგასო, ისეთი ტაში და ყვირილი ატყდა „ი-რა-კლი!“ შეუძლებელი იყო რამის გაგება.“

„ახლა ღარიბაშვილის ნაცვლად მერაბიშვილი რომ იყოს შს მინისტრი – უკვე ნაცემები ვეგდებოდით მოდულში, ჩვენი ნათესავები, პარალელურ რეჟიმში, დაპატიმრებული,“ – ყურში ლამის ჩამყვირა უშიშროების იმ ყოფილმა ოფიცერმა.

ზურგსუკნიდან მომესმა: „გადმოსცეს, რომ მიშა არ მოვა“. მივიხედე და სააკაშვილის ხელისუფლების დახვრეტილი ბუტა რობაქიძის დედა იყო. შევეკითხე – საიდან იცი-მეთქი? ბაქომ გადმოსცაო. გულში გავიფიქრე, ბაქომ თბილისზე ადრე როგორ გაიგო და გაავრცელა, რომ სააკაშვილი არ მოვა?

სანამ კონკრეტულად აშშ-ის ელჩმა არ დატოვა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა, რაც იმის უდავო დასტური იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად აღარ მოვიდოდა, მანამდე უძრავად იდგნენ სააკაშვილის მომლოდინე პოლიტპატიმრები.

„გელათში ვერ მივიდა, აქ ვერ მოვიდა – სადაც სააკაშვილი ხალხისთვის მიმართვას დააპირებს, ყველგან დავხვდებით ჩვენი განაჩენებით და შეკითხვით, რატომ დაგვაპატიმრა!“

„სადაც „ნაციონალები“ გამოჩნდებიან, ყველგან დავხვდებით!“

„მიშა, გამოვედით!“ – ამგვარად დაემშვიდობნენ კონკრეტულად ეროვნულ ბიბლიოთეკაში არმისულ სტუმარს, საქართველოს მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს პოლიტპატიმრები.

**მაია ჭელიძე**
593 32 49 71

# vinc 8 Tebervlis provokacia dagegma, yvela cixeSi unda ijdes

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე* **ნანა კაკაბაძე:**

**— ქალბატონო ნანა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტ. პატიმრებმა სტატუსი იყიდეს. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— ამ ადამიანებს ბინძური კამპანიის საშუალება ეძლევათ, რადგან მათთვის ტელეეთერი ღიაა, ასევე, უამრავი სხვა შესაძლებლობა აქვთ, ფული, ლობისტები და ა.შ. პოლიტპატიმრები კი ღვთის ანაბარა არიან, უსახლკაროები, უმუშევრები. ამ ბინძური კამპანიის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო გვიწევს. ამ ამბავს სასამართლო ვერ უშველის, მაგრამ ერთ-ერთი ნაბიჯი, რაც შეგვიძლია გადავდგათ, ჩივილია. 190-მა პატიმარმა და ოჯახის წევრებმა ხომ იციან, რა და როგორ არის. აქ მარტო ნანა კაკაბაძის და ეკა ბესელიას დისკრედიტაცია კი არ ხდება, რომ თითქოს ფული ავიღეთ, არამედ ეს იმ პროცესს ურტყამს, რასაც პოლიტ.პატიმრების გათავისუფლება ჰქვია. მეორე მხრივ, რა გამოდის, რომ ეს ადამიანები ვიღაც ვიგინდარები, კრიმინალები იყვნენ, რომელთაც სუპერმარკეტში პოლიტპატიმრის სტატუსი იყიდეს?! ეს ხომ ამ ხალხისთვის მორიგი შეურაცხყოფა, სულში ჩაფურთხებაა, რომელთაც ამ ცხრა წლის მანძილზე ეს ხელისუფლება სასტიკად ექცეოდა. ჩემი აზრით, აუცილებელია ახალმა ხელისუფლებამ ამ ყველაფრის წინააღმდეგ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. როცა სახელმწიფო, ხელისუფლება გქვია და შენს ქვეყანაში მოქალაქეებს ასე ექცევიან, დაუშვებელია, მათი დაცვა ვერ მოახერხო. თუკი დღეს კანონი მხოლოდ იმით გვიცავს, რომ სასამართლოში ბოდიშს მოგვიხდიან და ამით უნდა დავკმაყოფილდეთ, გამოდის, ძალიან არათანაბარ პოზიციაში ვართ. მარტო კაკაბაძე და ბესელია კი არა, ამ საქმეში ასევე ის 190 პოლიტპატიმარია დაზარალებული. ერთადერთი, ახალი ხელისუფლების გონიერების იმედი მაქვს, თორემ მოსამართლეები რა გადაწყვეტილებებსაც იღებენ, თავადაც ხედავთ — თურმე გურამ დონაძე გარეთ უნდა იყოს, მამალაძე კი — ციხეში. აი, ასეთია დღეს ქართული სამართალი.



**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის მიუხედავად, ქვეყანაში უსამართლობა ისევ გრძელდება. ინტერვიუს დაწყებამდე აქ პოლიტპატიმრებმა ციხეებში გამეფებული შემზარავი ფაქტების შესახებ ისაუბრეს...**

— რა პასუხი უნდა გაგცეთ, როცა დანარჩენი პატიმრები ჭაობში და წყალში დგანან, ხოლო ბაჩო ახალაიას საკანში ევრორემონტი აქვს. რამდენად მისაღებია დღევანდელი ხელისუფლების ასეთი საქციელი, არის თუ არა ეს გამაღიზიანებელი იმ ნაწამები პატიმრებისთვის?! ციხეში, ევრორემონტში მჯდომი ახალაიას გვერდით ჭაობში ხომ მის მიერვე ნაწამები პატიმრები სხედან და იციან, რომ ეს ჯალათი საუკეთესო პირობებშია. კი, ბატონო, მადლობა, რომ ახალაია გისოსებს მიღმაა, მაგრამ მეტი არაფერია შესაცვლელი? ახალაიამ, საკნიდან ლამის პრესკონფერენციები გამართოს. ამ დროს გვერდზე საკნებში პატიმრებს ტარაკნებთან ერთად სძინავთ. ამაში ლოგიკას, პროგრესს ვერ ვხედავ. ბაჩო ახალაიას დაჭერა დიდს არაფერს ნიშნავს. იგი ცოტა ხანში შეიძლება სააკაშვილსაც დაეჭირა. ახალაია ზღვარს გადასული ნაძირალა იყო და ისეთ რამეებს აკეთებდა, მისი საქმე ისედაც დამთავრებული იყო. სამართლიანობის აღდგენა ამით ამოიწურება?

**— თქვენ ახსენეთ, რომ უსამართლობაა დონაძის გამოშვება მაშინ, როცა მამალაძე ციხეშია.**

— ამ უსამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთაც დღეს სასამართლოებში აქვს ადგილი, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. არ არის ლამაზი, სამართალს ქვეყანაში ხალხი ამყარებდეს. ამას არ ჰქვია დემოკრატია, მმართველობა, სახელმწიფო. სამართალი სახელმწიფომ უნდა დაამყაროს და ნუ დატოვებენ ამას ხალხის იმედად. თუ ხალხი სამართალს დაამყარებს, ეს ძალიან ცუდი იქნება, მაგრამ ეს გარდაუვალი პროცესია. სამართალი სასამართლომ უნდა დაამყაროს, ან მერე უკვე ხალხმა.

**— საჯარო ბიბლიოთეკასთან გამართული აქციის პროვოცირებაში ირმა ნადირაშვილმა დაგდოთ ბრალი, მან თქვენი დაკითხვა და დაჭერაც კი მოითხოვა.**

— ნადირაშვილის ბოდვაზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ. იმ დღეს რეალურად ეს ადამიანები ბიბლიოთეკასთან საკუთარმა ტკივილმა მოიყვანა. ეს ხალხი ერთადერთ რამეს ითხოვს — ჩატარდეს სამართლიანი სასამართლო, მოეხსნას გრიფი "საიდუმლო" რიგ საქმეებს და საზოგადოებამ დაინახოს, ვინ იყვნენ რეალურად კრიმინალები — ეს ხელისუფლება, რომელმაც ხალხი ციხეში ჩასვა, თუ ადამიანები, რომელთაც დღეს პოლიტპატიმრის სტატუსი აქვთ. ვინაიდან ამ საქმეში მთავარი დამნაშავე ქვეყნის პირველი პირი სააკაშვილია, ამიტომ პოლიტ. პატიმრები თავიანთი განაჩენებით საჯარო ბიბლიოთეკასთან მივიდნენ, რათა პრეზიდენტისთვის კითხვები დაესვათ, თუ რატომ აღმოჩნდნენ ამ განაჩენებით ციხეში. სააკაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს ხალხი უნდა შეეშვა. ჩვენ ხელთ გვაქვს უნივერსიტეტის და სხვა სიები, როგორ რეგისტრირდებოდნენ პრეზიდენტის მოხსენებაზე დასასწრებად ჩვეულებრივი ადამიანები და ბიბლიოთეკაში შედიოდნენ, ანუ ეს ნაც.მოძრაობის აქტივისტები იყვნენ. ამ ხალხსაც ჰქონდა კითხვის დასმის უფლება. ამ ცხრა წლის მანძილზე ერთხელ მაინც ხომ უნდა შეძლებოდა სააკაშვილს განსხვავებული აზრის მოსმენა. იქ იყვნენ როგორც პოლიტპატიმრები, ასევე რიგითი მოქალაქეები, ეს არცაა გასაკვირი, განა, ცოტა ადამიანი ჰყავს ამ ხელისუფლებას გაუბედურებული? პრეზიდენტს 9-კაციანი სია გადავეცით, რომლებიც პოლიტპატიმრების უზარმაზარ არმიას წარმოადგენდნენ და ამ ხალხის შეშვებას ვითხოვდით. მან ეს შეხვედრა ჩაშალა და ხალხს ძალადობა აქეთ გადმოაბრალა. ყველამ მშვენივრად იცის, ვინც იყვნენ პროვოკაციის ნამდვილი ორგანიზატორები. უგულავამ კოლმეურნეობის მოედნიდან რომ მოდიოდა, უკვე იქედან იკრებდა ხალხს, ჯერ კიდევ კოლმეურნეობის მოედნიდან ჭიდაობდა.

**— ახლა რომ გაიძახიან, პროვოკაცია მოგვიწყვესო, როგორ შეიძლება ეს აქციის მონაწილეებს მოეხერხებინათ — მათ ხომ ღიად დააფიქსირეს აქციის მოწყობის სურვილი. სიტყვის თავისუფლებას, პოზიციის გამოხატვას პროვოკაცია ჰქვია? ეს ხომ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებია?**

—მაგათ ჰგონიათ, რომ ეს უფლებები მხოლოდ ნაც.მოძრაობისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, დანარჩენები თურმე მუნჯები, მონები უნდა ვიყოთ. სახეზეა პროვოკატორები, რაც კადრებშიც კარგად ჩანს. ამიტომ გაოცებული ვარ, რომ მხოლოდ ერთი მხარის დაპატიმრება, დაჯარიმება მოხდა, მთავარი დამნაშავეები კი თბილისის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობენ. ეს უნდა აილაგმოს. სწორედ თქვა ნადირაშვილმა, დიახ, მე აუცილებლად უნდა დავიკითხო, იმიტომ, რომ ამ პროცესების ერთ-ერთი მონაწილე და თვითმხილველი ვარ, დამნაშავეები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. მოცემულ მომენტში ზოგის პასუხისმგებლობა მეტია, ზოგის — ნაკლები. მაგალითად, ყველამ კარგად ვიცით, ვინ არის ბარამიძე, მაგრამ პროვოკაციის წამოწყება ვერ გარისკა და იმ შესასვლელიდან შევიდა, სადაც დარბაზში უსაფრთხოდ მოხვდა. სამაგიეროდ, პროვოკაცია საკუთარ თავზე გიგი უგულავამ აიღო, ამიტომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ვინც 8 თებერვლის პროვოკაცია დაგეგმა, ყველა ციხეში უნდა იჯდეს. როდესაც დანაშაულს იწვევ, მის წაქეზებას ახდენ, სწორედ ეს არის დასჯადი ქმედება. ადამიანი გამოიწვიე, დედა აგინე და კიდევ მას სჯი?!

**— ამ მოვლენებთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილმა აღშფოთება გამოხატა — ეს რა მოხდა ქალაქის ცენტრშიო. კი, მაგრამ ნაც.მოძრაობას რატომ აღარ ახსოვს იმავე ქალაქის ცენტრში 7 ნოემბერი, 26 მაისი რომ მოგვიწყვეს?**

— როცა ვანო მერაბიშვილი აფასებს, რა მოხდა 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან, ეს ცინიზმია. დღეს გალაწუნება სწორედ ვანო მერაბიშვილს სჭირდება, რათაა მსგავსი რამეები ვეღარ ილაპარაკოს. მას უნდა მკაფიოდ ვუთხრათ — შე ნაძირალა, იმ ყველაფრის მერე, რაც ჩაიდინე, ვინ მოგცა 8 თებერვლის მოვლენებზე ლაპარაკისა და შეფასების უფლება. საზოგადოება თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს. იმ დღეს საინტერესო რამ მოხდა — ნაციონალურმა მოძრაობამ დაინახა, რომ, როგორც კი ხელისუფლებაში აღარ იქნებიან, ქუჩაშიც ვეღარ ივლიან. მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს მხოლოდ საქართველოს ქუჩებს არ ეხება. მსოფლიოში, სადაც არ უნდა წავიდნენ, თავიანთი უზნეობა ყველგან თან გაჰყვებათ და ყველგან წააწყდებიან იმ ადამიანებს, რომლებიც გააუბედურეს. ცხრა წლის მანძილზე იმდენი უბედურება დაატრიალეს, სადაც უნდა წავიდნენ, ეს ჩრდილები ყველგან თან გაჰყვებათ.

**— რას იტყვით, სააკაშვილის რეჟიმი ჯერ არ დასრულებულა?**

— რა თქმა უნდა, არა! როგორ, საიდან არის რეჟიმი დასრულებული, როცა ვხედავთ, სასამართლოებში რაც ხდება. პროკურატურაში უამრავი ძველი კადრია — სწორედ ესენი საუბრობენ, პოლიტ.პატიმრებში ფულები გაკეთდაო. შსს-შიც არიან ასეთი ბინძური კადრები და ა.შ. ერთადერთი პარლამენტის შემადგენლობა შეიცვალა, დანარჩენი აბსოლუტურად ყველაფერი — საკადრო პოლიტიკა და ა.შ., იგივე დარჩა და შესაცვლელია. ვფიქრობ, ამაში ძალიან აქტიურად უნდა ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენი ორგანიზაცია ვაპირებთ, შევისწავლოთ ეს საკადრო პოლიტიკა. პროკურატურიდან, შსს-დან თანამშრომელთა სიებს გამოვითხოვთ — ვინ არიან ეს ადამიანები, რა თანამდებობა აქვთ, როდიდან მუშაობენ ამ ორგანოებში და შედეგად ვნახავთ — ის ჯალათები მართლაც არიან თანამდებობებზე, თუ ეს ჭორია.



**— სააკაშვილმა თავის მოხსენებაში იქით დაგვამადლა, ოქტომბრის აქციების მერე თანამდებობიდან გადავდექი და ერთი ნახეთ, სხვა ქვეყნის რომელი პრეზიდენტი მოიქცა ასეო?**

— ჯერ ერთი არაერთი შემთხვევა ვიცით, როცა პრეზიდენტები გადამდგარან და თავიანთ თანამდებობაზე უარი უთქვამთ, იგი თვითონვე ამბობს — ვის ჰყავს ქვეყანაში 190 პოლიტპატიმარიო. მართლაც, ვის ჰყავს ქვეყანაში 190 პოლიტპატიმარი და რომელი ქვეყანა იყო ევროპაში საერთაშორისო კვლევებით, პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილზე? ეს საქართველო არ იყო? პატიმრების სიკვდილიანობით განა პირველ ადგილზე არ ვიყავით? რომელ ნაძირლობაში არ ვიყავით ამ 9 წლის მანძილზე საქართველო პირველ ადგილზე?! ჩვენ არაფერი დაგვვიწყებია, ეს ყველაფერი კარგად გვახსოვს. თუ პირადი ცხოვრებით, უზნეობით, უმსგავსოებით არ იყო პირველი?! რომელი პრეზიდენტი იქცეოდა ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი, რომელ ქვეყანაში ხდებოდა მსგავსი რამ, რაც ჩვენთან?! აშშ-ს პრეზიდენტს გვერდზე გახედვის გამო რა უქნეს, ხომ არ დავიწყებია სააკაშვილს? ჩვენზე უკეთ თავად არ იცის, რა ზნეობითაც იცხოვრა, რა სინდისით საუბრობს საერთოდ?!

**— ნაც.მოძრაობამ და პრეზიდენტმა საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების შემდეგ მხედრიონის დროსთან დაბრუნებაზე დაიწყეს საუბარი, თითქოს ხელისუფლება მათ ბნელ წარსულში აბრუნებს.**

— მხედრიონის დრო სააკაშვილმა მოაბრუნა. მე დღეს არც ერთ მხედრიონელს არ ვიცნობ, რომელიც სააკაშვილს ხელისუფლებაში თანამდებობაზე არ ჰყავს. მხედრიონთან უახლოესი ურთიერთობა მქონდა — ჯაბა იოსელიანთან, მის ოჯახთან. დღეს მხედრიონელები სააკაშვილს ძალიან სერიოზულ თანამდებობებზე ჰყავს დანიშნული. ვინ მოაბრუნა დრო? — ვინ და სააკაშვილმა. მხედრიონელები ჩემთან კი არა, სწორედ მაგასთან მეგობრობენ. მაგის მინისტრები, მშენებლები, სილქნეტის დირექტორები, ბიზნესმენები არიან. ვინც ცოცხალია და საქართველოში ცხოვრობს, ყველა სააკაშვილთანაა. სხვა მხედრიონელები მე არ ვიცი, თუ ასეთები არიან, ერთი გვარი მაინც თქვას, ვინც დღეს მაგასთან არ არის. მეტი რაღა მხედრიონის დრო უნდა დაბრუნდეს — ხელისუფლებაში ეგ და მხედრიონია ერთად. მხედრიონი კი არ ბრუნდება, პირიქით, წავა ხელისუფლებიდან, მიშას გაჰყვება თან.

**— ბოლოს კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა გკითხოთ. კერძოდ, დღევანდელ მედიაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტელევიზიების ძირითადი ნაწილი ნაცმოძრაობაზე მუშაობს. კი ვამბობთ, რომ პრეზიდენტი ვადაგასულია, კრიმინალური ხელისუფლება გვყავდა, მაგრამ მან მათი პროპაგანდა მიდის. ამ მხრივ საფრთხეს ხედავთ?**

— დიახ, გეთანხმებით. 8 თებერვლის მერე ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ფაქტსაც კი, რომ რომელიმე ტელევიზიას თოქშოუში თუნდაც ერთი პოლიტ.პატიმარი მაინც ჰყოლოდა მიწვეული და მათგან გაეგოთ ინფორმაცია, რა ხდებოდა რეალურად იმ დღეს? სხვა ვისგან უნდა მიეღოთ ინფორმაცია, თუ არა პოლიტპატიმრებისგან, რომლებიც აქციაში მონაწილეობდნენ. მითხარით, რომელი ტელევიზია დაინტერესდა ამით. მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაციები ვრცელდებოდა. ერთადერთი, ვისაც ვერ ბლოკავდნენ, მინისტრები და ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მათი აზრი რა შუაშია, პოლიტპატიმრებს არ უნდა ჰკითხონ, იქ რატომ იდექითო? რომელიმე თოქშოუ დაინტერესდა, ეკითხა ამ ხალხისთვის, ვინ დაგეგმა აქცია ან რას ითხოვდნენ? ერთი არხი მითხარით, რომელიც ამ საკითხით დაინტერესდა. ესაა ტელევიზიების უვარგისობის საუკეთესო მაგალითი. აი, ესაა რეალობა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




**დავით საგანელიძე:** ...ძალიან ვწუხვარ, რომ მიხეილ ვადაგასულს წარმოდგენა არ აქვს, სადაა მიზეზები. რაც შეეხება კონსტიტუციურ დარღვევას, აქ ადგილი საერთოდ არ ჰქონია, როცა მას უარი ეთქვა პარლამენტის მოსვლაზე. მე ვუსმენდი გიგა ბოკერიას დემაგოგიას, რომ თურმე მას შსს მინისტრთან საუბარი ჰქონდა კო-



რიდორებზე, საიდან უნდა შესულიყვნენ დარბაზში მიხეილ სააკაშვილი თუ სხვა პირები, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს მას, რატომ მოვიდნენ სხვა გზით გიგი უგულავა და მისი მეგობრები, უმცირესობის წევრები.

**გიგი უგულავა ქალაქის მერია და თბილისის ქუჩები არ იცის? გიგა ბოკერიამ გააგებინა ვინმეს, რა გზით უნდა შესულიყვნენ?**

თუ ისაუბრეს, რატომ შევიდა უგულავა სხვა გზით და ხელების ქნევით, აბა, დავდგათ სპექტაკლიო?! ძალიან კარგად ჩანდა, ვინ გამოიწვია ეს ექსცესები და სად იყო პროვოკაცია. მეორეს მხრივ, მე ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემს კოლეგებს, დარჩიაშვილს და სხვებს, მოუწიათ ხელებისა და ფეხების ქნევა, რაც დაუშვებელია, ეს არ უნდა მომხდარიყო. ძალიან ვწუხვარ, რომ ქალბატონს მიაყენეს შეურაცხყოფა და კატეგორიულად მოვითხოვ ამ საკითხის გამოძიებას. უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, მაგრამ უნდა დაისაჯოს ის ხალხიც, ვინ ამის პროვოცირება გააკეთა. პროვოკატორები კი კარგად ჩანდნენ ამ კადრებში. რაც შეხება აღშფოთებას, რომელსაც გამოხატავს ზოგიერთი ჩვენი კოლეგა,

**თურმე როგორ შეიძლება პარლამენტარების ცემა აზრის გამოთქმის გამო, თქვენ ის ადამიანები არა ხართ, ამ წლების განამვლობაში ყველანაირ სისაძაგლეს რომ აკეთებდით?! მე ისევ ვამბობ, რომ ძალიან ვწუხვარ, რაც მოხდა, და ყველას დავიცავ, მაგრამ თქვენ რა მორალით და ზნეობით მესაუბრებით, მე ხომ ის დათო საგანელიძე ვარ ხელის და თვალის ტრამვით, ზურგში რეზინის ტყვიით, გაზით გაგუდულმა რომ გავიარე ცხოვრება ჩემი ოპოზიციური განწყობის გამო?! ამის მერე რა ზნეობრივი უფლება გაქვთ?!**

**რაც შეეხება პოლიტიკურ კლიმატს, პოლიტიკური კლიმატი კი არა ამ პარტიას, ნაცმოძრაობას პოლიტიკური კლიმაქსი აქვს, გავიდა მაგათი ვადა, ვეღარ მიხვდნენ საერთოდ სად არიან. რომელ კორექტულობაზე საუბრობთ, როცა ამხელა პროვოკაცია მოაწყეს ქვეყანაში.**

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ის ხალხი, რომელიც ასე ძალადობდა მთელი ცხრა წლის განმავლობაში,

**ვინც პირადად მე მესხმოდა თავს, ჩემი დასაცავი გახდით. ჩვენ გიცავთ, თორემ თქვენი ადგილი სად იქნებოდა, კარგად იცით.**

იმ ხალხისგან გიცავთ, რომლის სახელითაც ამდენი წელი საუბრობდით. და კიდევ ერთი რამ,

**მიხეილ სააკაშვლს იგივე მიხეილ ვადაგასულს, ვურჩევ ერთ რამეს: შენობიდან ნუ გამოდის, ყოველი მისი გამოსვლა იწვევს ქვეყანაში არეულობას. მივაწვდით იქ საკვებს და წყალს, რაც სჭირდება და ნუ გამოვა იმ შენობიდან. ეს იქნება ქვეყნისთვის ყველაზე კარგი, როგორმე ჩაათავოს ეს მიტაცებული ვადა.**

**ეკა ბესელია:** თავი დაანებეთ ბატონი ივანიშვილისაკენ ხელის გაშვრას, ყველა კარგად ხედავს, რომ ბატონი ივანიშვილი არის დღეს მთავარი გარანტი იმისა, რომ თქვენ (ნაცმოძრაობას) არაფერი დაგენართოთ გამ-



ძვინვარებული ხალხის მხრიდან, რომელიც თქვენ გააგიჟეთ, გაამწარეთ, ჩახოცეთ და შეურაცხყავით.

**ჩვენ არ ვართ რევანშისტები, არ დავუშვებთ, რომ ლინჩის წესით გაგასამართლოთ ხალხმა, მაგრამ თქვენ თუ შეგიძლიათ, რომ საკუთარ ხალხს დაელაპარაკოთ და ჩახედოთ თვალებში?!**

**თინა ხიდაშელი:** ძალიან სამწუხაროა, რაც ხდება. ამას შეუძლებელია განსხვავებული შეფასება მიეცეს. ჩვენ ვთხოვდით საზოგადებას, რომ ამ კაცისთვის ბოლო ჯერზე ერთი ჩვეულებრივი გამოსვლის უფლება მიეცათ. ვფიქრობ, რომ შესაძლებლობიდან გამოდინარე, პოლიციამ მაინც მოახერხა, რომ განსაკუთრებული მძიმე შედეგი არ ყოფილიყო. სამწუხაროა, რომ ცხრაწლიანი მმართველობის გამო, აღშფოთებულმა და გაბრაზებულმა მოსახლეობამ, ამ ადამიანებისკენ ფიზიკურად გაიწია.

**განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იქ მისვლისთვის შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. როცა ხელისუფლებისა და სპეცრაზმის წარმომადგენლები ჩვენ გვ-**



**ცემდნენ, არ მახსენდება შემთხვევა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს პროტესტი გამოეთქვა, პირიქით, მისი დავალების ფარგლებში გვცემდნენ. ამიტომ, უპრეცედენტო იყო ის, რომ სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრი პირადად მივიდა.**

**გიორგი მარგველაშვილი:** ძალიან მძიმე დღე იყო და მძიმეა ახლაც საყურებლად. ეს ჯგუფები ხომ ნაცმოძრაობამ შექმნა ციხეში ნაწამები ხალხისაგან, ესენი არ არიან კრიმინალები, ესენი პოლიტპატიმრები არიან. პრეზიდენტიც კი ემორჩილება დაცვის მიერ გაცემულ მითითებებს, და ამ ხალხისთვის ხომ იყო შექმნილი ალტერნატიული გზა, რომელიც თურმე რატომღაც არ მოეწონათ. ჩვენ რა თქმა უნდა არ უნდა დაგვეშვა შეტაკება ხალხსა და ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს შორის.



**თურმე შუკა-შუკა არ უნდა იარონ, აბა, როგორ უნდა იაროთ, როცა ნაწამები პოლიტპატიმრები გელოდებიან და შენ ხელების ქნევით მიემართები მათკენ?!**

როდესაც არის მიტინგი, კეთილი უნდა ინებო და გაიარო პოლიციის მიერ შექმნილ კორიდორში.

**ზურაბ ბიგვავა:** ერთი რამ ცხადია, ადამიანები, რომლებიც იქ შეიკრიბნენ, რომლებიც არ იყვნენ დაპატიჟებული მოსმენაზე, აგრესიულობა იგრძნობოდა მათ მიმიკაშიც, პანტომიმიკაშიც და გადაადგილებაშიც კი. იქ შეიკრიბნენ არა ჩვენნაირი ადამიანები, რომლებიც ამას აფასებენ კოგნიტურად, არამედ შეიკრიბნენ ადამია-



ნები რომელთაც ციხე და ტანჯვა-წამება გამოიარეს, რომლებიც თვლიან რომ უსამართლოდ დაიჭირეს. და ეს ხალხი გამოვიდა თავიანთი პროტესტის გამოსახატავად იმ პერსონის მიმართ, რომელსაც თვლიას მთელი თავისი უბედურების ავტორად. მე ვერაფრით ვერ გავამართლებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერების საქციელს, როცა შენ მიდიხარ ისეთ ადგილას სადაც პროტესტს გამოხატავს შენგან ნატანჯი ხალხი. ესენი ხომ მეტად განათლებული, კრეატიული ხალხია, ხომ შეიძლებოდა პროგნოზი გაეკეთებიანთ, რა მოხდებოდა იქ, როცა ესენი მივიდოდენ. ამათ სახეებს რომ დაინახავდნენ, ეს თავისთავად პროვოკაციას რომ გამოიწვევდა, ამას რად უნდა ბევრი კითხვის ნიშნის დასმა?!

**ძალიან ვწუხვარ ჩიორას სახეზე სისხლი რომ დავინახე, მაგრამ 26 მაისს ხალხი სველ ასფალტზე დასისხლიანებული რომ ეყარა, ის ხალხი არ იყო?!**

**დემურ გიორხელიძე:** ....პარლამენტის ხელმძღვანელობამ და უმრავლესობამ არასწორად გათვალა პოლიტიკური პროცესები, შედეგები, მას პარლამენტში უნდა ჩაეკეტა ეს კრიზისი, იქ გადაეწყვიტა ეს პრობლემა და დაესვა პრეზიდენტის დელეგიტიმაციის საკითხი. რადგან პოლიტიკურმა ლიდერებმა, რომელთაც თავის ნებაზე შეცვალეს კონსტიტუცია და უბრალო ქაღალდად აქციეს იგი რევოლუციის შემდეგ, უნდა იცოდნენ, რომ ეს საქციელი დასჯადია. მაშ, ჩვენ რისთვის ვართ პოლიტიკაში; რისთვის ვართ სამართალდამცავები, რისთვის ვართ პასუხისმგებელი ადამიანები,

**თუ ჩვენ ხალხის ემოციას გავაღვიძებთ. ეს საშინელებაა. ესაა ათიათასობით ადამიანი, რომელმაც უმძიმესი დამცირება გადაიტანა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში და ამათმა ემოციამ თუ იფეთქა, აქ ისეთი ცოდვა-მადლის გაკითხვა დატრიალდება, წარმოსადგენადაც კი საშინელია.**

ამით ჩვენ დავაყენებთ საფრთხის ქვეშ სახელმწიფოს მომავალს, დისკრედიტაციას გავუკეთებთ სახელმწიფოს, ვაჩვენებთ მსოფლიოს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს არის უმწიფარი პოლტიკური ძალები, რომელსაც არ შეუძლია კრიზისული სიტუაციების დაბლოკვა. პოლიტიკოსი მაშინ ხარ, როცა დარტმას იღებ საკუთარ თავზე და საფრთხს აცილებ ამით ხალხს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს ვინმემ მოიგო ხელისუფლებაში ამ სიტუაციით, ძალიან ცდება. ქართველმა ხალხმა განაჩენი გამოუტანა ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს 1 ოქტომბერს, ახლა ვის აწყობს ამ ძალების რეანიმაცია? დააკვირდით პრეზიდენტის გამოსვლას, მართალია იგი შინაგანად ძალიან დაძაბული იყო, მაგრამ შეიცვალა ლექსიკა, არანაირი უხეში გამონათქვამები, დაალაგა სათქმელი და ძალიან რბილად საუბრობდა. და მან მშვენივრად იცის, რომ სანამ შეძლებს, იგი ამ ფაქტს მთელ მსოფლიოს მოსდებს.

ხალხი, იცი, როდის შეიკავებს თავს, როცა დაინახავს რომ ხელისუფლება თავის ქმედბებში არის ხისტი, სამართლის მიმართ უკომპრომისო და განურჩევლად გვარისა და სახელისა მოქმედებს.

საკონსტიტუციო ცვლილება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეკვეცის შესახებ არ არის



საკმარისი. მოქალაქეები უნდა გაერკვნენ, როგორი სახლემწიფო გვექნება. ეს განუკითხაობა და პოლიტიკური ბარდაკი, რაც ქვეყანაში 22 წელია მიმდინარეობს, უპასუხისმგებლობა პოლიტიკოსთა მხრიდან, რომლებიც წლიდან წლამდე იმეორებენ ერთიდაიგივე შეცდომას, ეს უნდა დამთავრდეს.

**...პრეზიდენტის ვადა ამოიწურა, თვითნებურად გადაკეთებული კონსტიტუცია არ შეიძლება იყოს ლეგიტიმური.**

ეს კონსტიტუცია მიიღო იმ უმრავლესობამ, რომელსაც ხალხმა უარი უთხრა, მიიღო ისეთი კანონდარღვევით, რომელსაც თავმოყვარე პოლტიკოსი არ იკადრებდა. მაგრამ ჩვენ ვართ ფაქტს წინაშე.




# xalxis azriT

დღეს მათ განიცადეს ის მომენტი, რაც ქართველმა ხალხმა 26 მაისს და 7 ნოემბერს მიიღო “ნაციონალური მოძრაობისგან” და ეს იყო კარგი მაგალითი მათთვის. მათ უნდა ეშინოდეთ ჩვენი, ქართველი ხალხის, უნდა ეშინოდეს ყველა პარტიას, არ აქვს მნიშვნელობა ნაციონალური მოძრაობა იქნება ეს თუ ,,ქართული ოცნება“, ეს ქვეყანა ჩვენია და ჩვენ უნდა ვმართოთ და რაც არ მოგვეწონება ხმამაღლა უნდა ვთქვათ!!!

სასწრაფოდ დააკავეთ უგულავა.. საწრაფოდ სანამ დროა, ნუ გეშინიათ ამერიკის აღშფოთება შეშფოთების, ხალხი თქვენს გვერდითაა.უგულავა ხელებს რომ იქნევდა ხალხში და ისედაც გამწარებულებს და შეურაცხყოფილებს რომ აღიზიანებდა, ეგეც მმართველი კოალიციის ორგანიზებული ხომ არ იყო?! ნაცების მიერ 9 წლის განმავლობაში დაღვრილ სისხლზე რატომ არაფერი თქვა გიგიმ? უტიფრობასაც ხომ აქვს საზღვარი?!

მოდით რა, ნუ მოვიტყუებთ თავს და პირდაპირ ვთქვთ რომ მადლობა ღმერთს, რომ კიდევ დარჩა საზოგადოებაში ისეთი ხალხი, ვინც სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად პასუხს სცემს და სცემდა ნაცმოძრაობის კრიმინალურ რეჟიმს და ზუსტად მაგათით მოხდა იმ რეჟიმის წელში გადამტვრევა!! გელა მამალაძე ერთ-ერთი მათგანია და ზემდეტ მორალისტობას და პოზიორობას ჯობს რეალობას შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ გელა და მისნაირი შეუპოვრები რომ არა, ისევ თავლაფდასხმული ვიქნებოდით.

ასე რამ დააქლიავა ეს ხალხი, მე არ მესმის!!!! უკვირთ, რატო სცემეს ნაციონალებიო და ეგ ცხოველებიო და რაღაცეებს იძახიან კიდე! შიგ ხო არა გაქვთ, ოეეეეე, აბა, თქვენთვის შეეტენათ დუბინკა ტრაკში, სცემდით კი არა, შეიძლება, ლიმონკით შევარდნილიყავით ნაციონალებში.

ნაციონალები აქოთქოთდნენ ღარიბაშვილს ფერი ჰქონდა დაკარგულიო. მაგ ბიჭს სულ ეგეთი ფერი აქვს. სამაგიეროდ, ზურაბ ტყემალაძეს გადმოსდის ლოყებიდან გემოგლობინი. გასკდით გულზე....

მიშა მაჭავარიანი იგესლება — მეოცნებეების დემოკრატიით გაოცებული ვარო. მეოცნებე ძმა სახლში გიზის მიშა და კიდევ, ბარამიძის დემოკრატიამ არ გაგაოცა აფრასიძეები რომ ამოწყვიტა? ან 26 მაისს რატომ არ გაოცდი? ან მაშინ ბიძინა ივანიშვილი, ხელფასს რომ გიხდიდა?

ზუსტად ვიცი, რომ გამალებით ემზადებიან რაღაც მისტიური აპრილისთვის.... მინდა შევახსენო ამ უტვინო მასას, ამ მართლა ბრბოს, რომ ეგ თქვენი მისტიური თვე პირველი აპრილით იწყება... ჰოოოოოდა, იმ დღეს მიშა გრძელ ენას გამოგიყოფთ და ნერწყვის ყლაპვით გეტყვით: დღეს 1 აპრილია, მოტყუება ადვილია.

წკნელივით რო ხმარობს ამ ფრაზას “მხედრიონი და მხედრიონელებიო”, ეს ჩვენი დიდად პატივცემული ,,გიგი მერი“...... ნიკა რურუა, ტილიკა და ზარალა ვერ გავიგე... ნამხედრიონალნი არ არიან თუუუ.. ,,მენელსაცხებლე წმინდა დედათა“ სახელობის კოლეჯიდან გამოვიდნენ?

თუ ქუჩაში გამომწვევად მოქცევისა და ისედაც “დაჩაგრული” ხალხის პროვოცირებისთვის გიგი უგულავას და სხვა პროვოკატორებს არ დაკითხავენ და თუნდაც ერთი დღით საგამოძიებო იზოლატორში არ მოათავსებენ (როგორც ეს მელორ ვაჩნაძის შემთხვევაში მოხდა), ყოველგვარი საუბარი სამართლიანობაზე მხოლოდ სიტყვების რახარუხი იქნება... დაგვანახეთ, ბატონებო, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია... მე არ დავბრმავებულვარ და ჯერ ამდაგვარს ვერაფერს ვხედავ :((

# rogor aqcies `nacionalebma~ sporti `zonderebis~ da `nacgladiatorebis~ samWedlod






ქართულ სპორტში, ბოლო 8-9 წელია, უამრავი პრობლემა დაგროვდა. სამწუხაროდ, ხარვეზებზე არავინ საუბრობს — არც სპეციალისტები, არც თავად სპორტსმენები და არც პრესა.

შეიძლება, ვინმე შემოგვედავოს, საერთაშორისო არენაზე კარგი შედეგები ხომ გვაქვსო, — გვითხრას. მაგალითად, პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშები გაგვახსენოს. პეკინის თამაშებზე რა გითხრათ, მაგრამ ინგლისში ქართველ სპორტსმენებს უკეთესად რომ შეეძლოთ ასპარეზობა, ამის თაობაზე ნამდვილად შეიძლება კამათი. თუმცა, ცალკეულ შეჯიბრებებზე მოპოვებული მედლების რაოდენობით ყოველთვის არ განისაზღვრება ქვეყანაში არსებული სპორტის დონე და ხარისხი. სპორტულ შედეგებს ვინ დაგიდევთ, წინა ხელისუფლებამ დარგი მთლიანად პოლიტიზებული გახადა. პოლიტიზება ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო. ჯერ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, როდესაც ათენის ოლიმპიადაზე მიღწეული შედეგები საკუთარ თავს მიაწერა, სხვისი გარჯა-დამსახურება უბოდიშოდ მიითვისა — სამწუხაროდ, მაშინ განსაკუთრებული ყურადღება ამ გარემოებისთვის არავის მიუქცევია... სპორტსმენებთან ერთ-ერთი პირველი დაპირისპირება საპროტესტო აქციაში გადაიზარდა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ორი ძიუდოისტი ალექსი დავითაშვილი და გიორგი რევაზიშვილი დააპატიმრეს. თუმცა, ყოფილმა პრეზიდენტმა თავის სასარგებლოდ დაასრულა კონფლიქტი. საქართველოს ძიუდოს ფედერაციას მისი მხარდამჭერი ხელმძღვანელობდა. ალბათ, ამ გარემოებამ გადააწყვეტინა მმართველ პარტიას, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა სპორტულ ფედერაციას მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ჩაუყენეს სათავეში. დიახ, არჩევნები ფიქტიურად ტარდებოდა. თუ ,,ნაციონალებს“ არ სურდათ ფედერაციის ხელმძღვანელად ვერავინ გავიდოდა. ასე მოხვდა თბილისის სპორტის სათავეში გია უდესიანი, რომელიც ქალაქის საკრებულოში შეიჭრა და კარგა გვარიანი ცემა-ტყეპა გამართა.

,,ზონდერების“ თემა ერთობ მტკივნეულად შემოიჭრა ჩვენს საზოგადოებაში. ქართველი ხალხი ყოველთვის სათანადოდ აფასებდა თავის ღირსეულ შვილებს, მათ შორის, სპორტსმენებს. ყველა ვეტერანი სპორტსმენი, ვისთანაც მისაუბრია, მადლიერია ჩვენი ხალხის არამარტო მხარდაჭერისთვის, არამედ იმ დიდი პატივისცემისა და სიყვარულისთვის, რასაც ყოველთვის გრძნობდნენ. თანამედროვე ახალგაზრდებს რა უბიძგებთ, ხელი აღმართონ საკუთარ ხალხზე. აქ ყველას უძნელდება ამაზე პასუხი. ან როგორ ,,ავერბოვკებდნენ“ ახალგაზრდა სპორტსმენებს, მართლაც საინტერესოა. განა, რა უნდა ჰქონდეს ადამიანს გაკეთებული ქვეყნისთვის, რომ საკუთარ ხალხზე ხელი აღმართოს? მერე, არ იტყვით, რისთვის? მხოლოდ იმიტომ, რომ მის ,,ბატონს“ რაღაც არ მოსწონს? მაგრამ 30 ვერცხლის სინდრომი მოქმედებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხოდ ,,ზონდერების“ დასახელებას ერიდებიან, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს სია, სადაც 100-მდე ,,ზონდერი“ იღებდა ყოველთვიურ ანაზღაურებას 1500 ლარიდან ზევით. ამ სიაში არიან მორაგბეები, მოჭიდავეები, მოკრივეები...

საჯარო ბიბლიოთეკასთან ამ ,,ზონდერების“ თანხლებით მივიდა თბილისის მერი გიგი უგულავა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, ოფიციალური დაცვა აღელვებული ხალხის ,,მასაში“ არ გაუშვებდა დასაცავ ობიექტს, მეორეც, ერთ-ერთმა დაზარალებულმა, რომელსაც შუბლი ჰქონდა გატეხილი, განაცხადა, რაღაც ბლაგვი საგანი ჩამარტყესო და, რაც მთავარია, მათ არ უცდიათ, უგულავას მოვლენების ეპიცენტრიდან გაყვანა. გასაკვირი, ალბათ, არ უნდა იყოს, რადგან შარშან, ლონდონის ოლიმპიადაზე დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯებით 200 ადამიანი, როგორც გულშემატკივრები (ძირითადად, ზონდერები) ისე გაამგზავრეს. ისიც კარგად გვახსოვს, რომ არ ეყოჩაღა ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანს, როგორ გაუსწორდებოდნენ ყველას გია უდესიანის მეთაურობით, ძნელი წარმოსადგენი არ არის. ძალოვან სტრუქტურებში ბევრ სპორტსმენს უმსახურია და, ალბათ, მუშაობენ კიდეც, მაგრამ ადრეულ წლებში არ მახსოვს, ხალხის წინააღმდეგ ვინმეს აღემართა ხელი! შუკვანს რომ არ მოეთხრო, ალბათ, ინგლისური პერიპეტიებიც საიდუმლოდ დარჩებოდა. თუმცა, იქ იყვნენ საქართველ;ოს ოლიმპიური კომიტეტის იმდროინდელი პრეზიდენტი, სამინისტროს მაღალჩინოსნები, მაგრამ, სამწუხაროდ, ხმა არავის ამოუღია, არავის გაუპროტესტებია უდესიანის საქციელი, როდესაც სროლის ფედერაციის პრეზიდენტი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ძიუდოისტებზე. ხმას როგორ გაიღებდნენ, უდესიანი მთავარი ოფიციალური ზონდერი იყო და არც ის მაღალჩინოსნები ჩამორჩებოდნენ მას! მართლაც პირველი შემთხვევა იყო, დელეგაციის არც ერთ წევრს საკუთარი ქვეყნის სპორტსმენის გამარჯვება არ უნდოდა!

აქამდე მიიყვანა ქართული სპორტი პოლიტიზება-,,ნაციონალიზებამ“!

საიდან უნდა მიიღოს ქართულმა სპორტმა კვალიფიციური მწვრთნელები, როდესაც ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააუქმა სპორტის აკადემია? სასწავლებელი, სადაც უამრავ ადამიანს უსწავლია და სპეციალისტები იზრდებოდნენ. ამასთან, ჰქონდა სასწავლო-საწვრთნელი ბაზები, იქვე იყო თავმოყრილი სხვადასხვა სპორტული დარბაზები. ახლა ზოგი განადგურებულია, ზოგიც განადგურების პირასაა მისული. სპორტული ბაზები ცალკე თემაა, მაგრამ აქვე სათქმელია, რომ ,,ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა მათ გასანადგურებლად. მარტო ,,დინამოს“ კორტების განადგურებისთვის აქვს პასუხი მოსათხოვი ყველა იმ ჩინოვნიკს, რომლებმაც ასეთ ვანდალიზმს დაუჭირეს მხარი!

**გია ბურდული**
551 71 27 07

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# saqarTvelos prezidentis politikuri daisi da saqarTvelos samomavlo arCevani

### დასავლელ პოლიტიკოსებს სააკაშვილის მხარდაჭერა ძვირად დაუჯდებათ

პოლიტიკიდან მიხეილ სააკაშვილის თანდათანობით წასვლასთან ერთად რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა ბუნებრივად გაუმჯობესდება, ოღონდ უახლოეს მომავალში პოლიტიკური თვალსაზრისით მკვეთრ ცვლილებებს ან განსაკუთრებულ პარტნიორულ ან სამოკავშირეო ურთიერთობებს არ უნდა ველოდოთ. პრაქტიკული თვალსაზრისით კი არსებობს ნორმალური ურთიერთობის პერსპექტივები – ეკონომიკურით დაწყებული და დადებითი პოლიტიკური ურთიერთობით დამთავრებული.

სააკაშვილის ბედს პრაქტიკულად ყოველთვის (და ეს დღესაც გრძელდება) განსაზღვრავდნენ სხვა ქვეყნები, რომლებიც მას მხარში ედგნენ და მის მოქმედებაზე სრულად არიან პასუხისმგებელი. აშკარა და გარდაუვალია, რომ როგორც კი ისინი საბოლოოდ უარს იტყვიან სააკაშვილის მხარდაჭერაზე, ქართულ პოლიტიკაში მისი ნებისმიერი პერსპექტივა განულდება. ყველასათვის ცხადია, რომ ზოგიერთი ქვეყანა, ამა თუ იმ ფორმით, სააკაშვილს კვლავაც ეხმარება და ამას თავიანთი პოლიტიკის ინერტულობის გამო აგრძელებენ. როგორც კი სააკაშვილს ეს თანადგომა აღარ ექნება, მხარდამჭერი ქვეყნების მოქალაქეებს ბუნებრივად გაუჩნდებათ შეკითხვები თავიანთი ქვეყნების ხელმძღვანელობის მიმართ – რატომ ედექით მხარში სააკაშვილს, რატომ უჭერდით მხარს იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევდა, ბიზნესს ატერორებდა, ხალხს აწამებდა, ანტიდემოკრატიულ ვითარებას ახანგრძლივებდა, პოლიტიკურ ოპონენტებს სასტიკად უსწორდებოდა...

ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი უკვე შეფიქრიანებულია იმით, რომ მათი ამომრჩევლები, მათი ქვეყნების მოსახლეობა ამ შეკითხვებს პირადად დაუსვამს. ჯერჯერობით კი, ისინი დაფარულად განაგრძობენ სააკაშვილის თანადგომას და მხოლოდ ეს არის იმის მიზეზი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ნელ-ნელა უჩინარდება პოლიტიკური ასპარეზიდან. როგორც კი ეს მხარდაჭერა გაქრება, სააკაშვილიც სრულად გაქრება ქართული პოლიტიკური არენიდან, მიაჩნია დემოკრატიის პრობლემების კვლევის ფონდის პრეზიდენტ მაქსიმ გრიგორიევს.



### „უკრაინული მოდელი" საქართველოსთვის – ურთიერთობა რამდენიმე პარტნიორთან

ის შეზღუდვები, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტი და მთავრობა უწესებს, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად შეფასდეს. გასათვალისწინებელია, რომ „ქართულ ოცნებასა" და პრეზიდენტს არცთუ სახარბიელო ურთიერთობა გააჩნიათ. ოპოზიციამ სააკაშვილთან და მის პარტიასთან უსასტიკეს კონფრონტაციასა და ბრძოლაში გაიმარჯვა. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. პარლამენტი და მთავრობა ყოველმხრივ შეეცდება, სააკაშვილის უფლებამოსილებანი შეზღუდოს.

ამერიკულ-ქართულ ურთიერთობებში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ამერიკელები ითვალისწინებენ ქართველი საზოგადოების შეცვლილ განწყობილებებს და შესანიშნავად ესმით, რომ ასეთ ვითარებაში სააკაშვილზე ფსონის დადება მეტისმეტად უხერხულია. ამგვარ კონტექსტში, გამარჯვებული ოპოზიცია უფრო კონსტრუქციული პარტნიორია.

ეს აშკარად გამოჩნდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როცა ზოგიერთმა ამერიკულმა ორგანიზაციამ სწორედ კოალიციას დაუჭირა მხარი. ამერიკელებმა საკმაოდ პრაგმატულად შეაფასეს საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ბალანსი და გარკვეულ ეტაპზე ერთდროულად ორ მოთამაშეზე დადეს ფსონი..

თუმცა ივანიშვილის გამარჯვება განაპირობა ვაშინგტონის პრიორიტეტულმა ორიენტაციამ – მან კოალიცია „ქართული ოცნება" აირჩია. ამერიკელებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, როგორ განვითარდება კონფრონტაცია ორ ძალას შორის – ოპოზიციასა და კონკრეტულად ივანიშვილს, სააკაშვილსა და მის პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" შორის. ამიტომაც ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება, რასაც ვაშინგტონი საქართველოს უწევდა, სააკაშვილის პოლიტიკური ბედის მიუხედავად, გაგრძელდება.

თუკი საქართველო შეინარჩუნებს ევროკავშირის ორიენტაციას და თუ მას სურს, ევროპის ნაწილად მოიხსენიებდნენ, ვაშინგტონის მოსაზრებებს ანგარიში უნდა გაუწიოს. ამიტომაც სააკაშვილის წასვლის შემდეგ „ქართული ოცნება" და ივანიშვილი ამ თვალსაზრისით მკვეთრ ცვლილებებს არ უნდა გეგმავდნენ.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას. გაუმჯობესება დაიწყო ეკონომიკური პარტნიორობით: ქართული პროდუქცია გაჩნდება რუსეთის ბაზარზე. ივანიშვილის აზრით, აუცილებელია მოსკოვთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყება, თუმცა გასათვალისწინებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი. ივანიშვილი დაინტერესებულია, პოლიტიკური დიალოგი რამდენიმე პარტნიორთან წარმართოს. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის მემკვიდრეობა, რასაც სააკაშვილი ტოვებს – ვაშინგტონთან მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც საქართველოს კონკრეტულ დახმარებას (ხშირად სამხედრო ტექნიკურს) უწევს.

„სავარაუდოდ, საქართველო შეეცდება მოირგოს „უკრაინული მოდელი" – შეეცდება ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან და შეინარჩუნოს დასავლური კურსიც", – ასეთ დასკვნას გვთავაზობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ფონდის ექსპერტი მაქსიმ მინაევი.

### კონსტიტუციასთან თამაში სააკაშვილმა დაიწყო და პასუხიც მანვე უნდა აგოს

„არ ვიზიარებ ისტერიკულ დასკვნებს იმის შესახებ, რომ ივანიშვილმა საქართველოს სულ სხვა მიმართულებით „გადააბრუნებინა". არ ჩანს ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც ამ ეჭვებს განამტკიცებდა. პრინციპულ საკითხებში – დასავლური ორიენტაცია, ნატო-ში შესვლა, ევროინტეგრაცია – პოლიტიკური მემკვიდრეობითობა შენარჩუნებულია", – აღნიშნავს ცნობილი რუსი მიმომხილველი, ჟურნალისტი პაველ შერემეტი.

შიდაპოლიტიკური ასპექტები – სააკაშვილის უფლებამოსილებების შეზღუდვა, მის უახლოეს გარემოცვასთან ბრძოლა – ეს არის ვოლუნტარიზმისა და ბოლშევიზმის ბუნებრივი შედეგები, რაც მოიმკეს ახალგაზრდა რეფორმატორებმა თავიანთი ცოდვების პასუხად. სააკაშვილიცა და მისი გარემოცვაც კორუფციულ საქმეებში მონაწილეობდნენ, ხალხს ფარულად უსმენდნენ, დევნიდნენ და ა.შ. მათ პასუხი უნდა აგონ ამ დანაშაულობებზე.




დარწმუნებული ვარ, ახლა სხვაგვარად იქნება. ივანიშვილს მოუწევს იმის დამტკიცება, რომ ყველაფერს კანონიერად აკეთებს. საქართველოში ძალთა განლაგება ისეთია, რომ საყოველთაო მოწონებით გამარჯვებული კოალიციაც არ სარგებლობს და ასეთი ვითარება ქვეყნისთვის ყოველთვის კარგია.

რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვას, ნუ დაგვავიწყდება, რომ კონსტიტუციასთან თამაში სააკაშვილის წამოწყებულია და პასუხიც მანვე უნდა აგოს.

როგორი ოპოზიციონერია სააკაშვილი და ჩაესვენება თუ არა მისი პოლიტიკური მზე? ეს ჯერჯერობით მთლად ნათელი არ არის – ყველაფერი დამოკიდებულია მისსავე მოქმედებებზე. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ჰყავს თავისი გუნდი (რომელთა შორის გივი თარგამაძისნაირი ნაძირალა და ავანტიურისტი ცოტაა) და თუ ამ გუნდს შეინარჩუნებს, სააკაშვილზე, როგორც პოლიტიკოსზე მომავალშიც მოგვიწევს ლაპარაკი. არ იქნება პრეზიდენტი, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების ლიდერის პოზიციაზე პრეტენზიის გაცხადება შეუძლია.

საქართველო ბევრს ეცადა, საბჭოურ მემკვიდრეობას გამიჯნოდა. ასეთი მემკვიდრეობის გამოხატულებაა სტერეოტიპი – თუ ადამიანი ხელისუფლებიდან მიდის, მისი პოლიტიკური კარიერა სრულდება. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს აბსოლუტურად სხვაგვარად არის. თუ სააკაშვილი ძალაუფლების დაკარგვის გამო ტრაგედიას არ შექმნის, შეინარჩუნებს ადეკვატურობას, მაშინ იგი პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას შეძლებს.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას. საეჭვოა, ივანიშვილის ხელისუფლებამ მისი მკვეთრად გაუმჯობესება შეძლოს. გავიხსენოთ რუსი და ქართველი მიმომხილველ-ჟურნალისტების სამარცხვინო ქცევა, როცა სააკაშვილის მიმართ შეუწყნარებლობის გამო ისტერიკა იქმნებოდა.

კარდინალური ცვლილებები არ იქნება, დაბრუნდება რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო და სხვა პროდუქცია – ეს ბევრად ადრეც უნდა მომხდარიყო; მაგრამ პრინციპული საკითხები – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი – გადაუჭრელი დარჩება. სააკაშვილის დროს ბევრი ისტერიკა იყო, ახლა ამას ბოლო მოეღება. ურთიერთობა იქნება თანაბარი, მაგრამ ნელ-თბილი.

**მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რა ხდება მესტიაში?

## ღია წერილი

### საქართველოს კულტურის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

უცხოეთში, აშშ-ში, გამოიცა წიგნი მსოფლიოს ხალხთა ხუროთმოძღვრული შედევრების შესახებ, მისი სახელწოდებაა: "არქიტექტურა არქიტექტორების გარეშე", სადაც მსოფლიო ხალხური არქიტექტურის შედევრთა შორის შესულია უშგულის ორი ფოტო, თავისი ანოტაციებითურთ. ფოტოები გადაღებულია 1929 წელს და მათზე აღბეჭდილია ე.წ. "თამარის კოშკები". იმ დროს უშგულის გორაზე იდგა სამი კოშკი. ამჟამად ერთიღაა შემორჩენილი. ის ორი, რომლებიც მსოფლიო გამორჩეულ არქიტექტურულ ქმნილებად იქნა აღიარებული უცხოელების მიერ, 30-იან წლებში



ბილშევიკებმა დაანგრიეს და გადარჩენილი მასალებით, იქვე უშგულში, საბჭოური დაწესებულებები ააშენეს.

მესტიის ცენტრში – სეტში (სეტი – მესტიის ძველი სახელწოდებაა) ოდითგანვე იმართებოდა საერთო-სათემო და რელიგიური დღესასწაულები. აქ იმართებოდა, როგორც წინარექრისტიანული ასევე ქრისტიანული დღეობები. აქა დგას ძველთაძველი ეკლესია – სეტის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც შუასაუკუნეებში საეპისკოპოსო იყო. აქ იმავე შუასაუკუნეებში იყო მონასტერი, რომელსაც იგივე ეპისკოპოსი განაგებდა. სეტია გაზაფხულზე არაჩვეულებრივი ჰულიშობის დღეობის (იმართება ცხენებით ჯირითი) ჩატარების ისტორიული და რელიეფით შესაფერისი ადგილი. ეს დღეობა ნაზავია წარმართული კულტურისა და ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელთა თანაარსებობაც სვანეთისათვის ისტორიული თავისებურებითაა განპირობებული და მას განსაკუთრებული გაფრთხილებაც სჭირდება, რამდენადაც ასეთი შერწყმული ელემენტების არსებობას და რეალიზაციას ადგილობრივი სამღდელოება ზღუდავს. არადა, იგი სვანეთის ისტორიის ნიშანდობლივი ტრადიციაა, რომლითაც არაფერი შავდება.

სხვათა შორის, ადრეული შუასაუკუნეების მართლმადიდებლობა სასტიკად ებრძოდა წარმართულ კულტურებს, მაგრამ დავით აღმაშენებლისა და მისი სულიერი მოძღვარის გიორგი ჭყონდიდელის ლოიალური პოლიტიკის შედეგად, წინარე ქრისტიანული რელიგიურ წარმოდგენებზე ზეწოლა შეჩერდა, პირიქით, მაშინდელ სამღვდელოებას მითითებაც კი მიეცა ქრისტიანებისათვის მისაღები წინარე დღეობები თუ საკულტო მისტერიები გარკვეულად შეერწყათ მართლმადიდებლობასთან.

ასეთივე განუყოფელია მესტიის ისტორიისათვის სეტის მოედანი. ასეთ ეროვნულ საუნჯეებს თითქოს და კულტურული მემკვიდრეობის კანონი იცავდა, მაგრამ იგი, "კანონდამცავებმა" საკუთარი ბიზნესინტერესების სარეალიზაციო არენად აქციეს. განახორციელეს უშუალოდ სეტის მოედნის მოშენება ე.წ. სასტუმროს ტიპის 2-3 სართულიანი გაუგებარი არქიტექტურული სემანტიკის ტრივიალური შენობებით, რომლითაც სეტი მოწყვიტეს როგორც თავის წარსულს, ასევე არსებულ გარემოს, გადააქციეს ჩაკეტილ სივრცედ, რითაც მოუსპეს ულამაზესი გარემოს აღქმის შესაძლებლობა. აი, სად იყოფა ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მავანთა ბიზნესინტერესების გზები. ისტორიულ ღირებულებებს უგულებელყოფენ (სვანეთს, სიძველეთა გამო ეტანება დაინტერესებული ტურისტი) და სიტყვიერ დონეზე მესტიას აცხადებენ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტად. ასე რომ, სიტყვიერ სტატუსს და ფორმით იერსახესაც კი უცვლიან, თანაც – უნიჭოდ. ხალხს ნაცარს აყრიან თვალებში დღისით და ისიც მზისით. დიახ, ეს არის მეტად მწარე რეალობა.

იქვე, სეტის ტერიტორიაზე, რეკონსტრუქცია ჩაუტარეს და ერთი სართული დაუმატეს ადგილობრივ ადმინისტრაციულ შენობას. გვერდებზე მიუდგეს პოლიციის 4-5 სართულიანი და იუსტიციის ე.წ. დეკონსტრუქციული სტილის შენობები. ასე და ამრიგად "საექსპერიმენტო პოლიგონად" გადააქციეს მესტიის განუმეორებელი ისტორიული უბანი – სეტი.

ახალი შენობების ეკლექტური და აქტიურად დამთრგუნველი ფორმები იმდენად უცხოა მესტიის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსათვის, რომ მომხდარით გაოგნებულია ნებისმიერი კატეგორიის ადამიანი – ადგილობრივი თუ სტუმარი. თითქოს იდეით შუა საუკუნეებისა და XXI საუკუნის "არქიტექტურული ანსამბლის" თანაარსებობის ნაზავი შექმნეს და სამარცხვინოდ ტრაბახობენ კიდევაც თავიანთი "გემოვნებით"– ასეთ უგემოვნებას წერტილი უნდა დაესვას!

სეტის მოედანი უნდა აღდგეს, მას უნდა დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახე და ფუნქცია! –ამბობენ, მესტიის გონივრულად მოაზროვნე მკვიდრთ, ამ ტრადიციულ, ისტორიულ მემკვიდრეებს ამის მორალური უფლება აქვთ. მათ სურთ აღადგინონ ისტორიული სამართლიანობა!

მესტიის, როგორც ზემო-სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრის მიმართ საბჭოთა ჩინოვნიკებსაც ლომის წილი ცოდვები აქვთ ჩადენილი. მათი აცილებაც თავისუფლად იყო შესაძლებელი. აქვე ავღნიშნავ, რომ 1929-30 წლებში გადაღებულ ფოტოებზე და კინოფირებზე კარგად ჩანს იმდროინდელი ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელი მესტია. მაგრამ სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა თავისი კვალი დაამჩნია ძველ მესტიასაც, რამდენადაც ბოლშევიკების ინტერესებში ნაკლებად შედიოდა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება. თუმცა დაშვებულ შეცდომათა ნაწილობრივი გამოსწორება 2-3 წლის წინაც შესაძლებელი იყო.

მოვიყვან ზოგიერთ კონკრეტულ კურიოზულ ფაქტს და შეძლებისდაგვარად ვეცდები გადმოვცე თუ რა ხდებოდა მესტიაში - თუნდაც გასული საუკუნის 60-იან წლებიდან, რაც, ჩემის აზრით,



არ უნდა მომხდარიყო და ზოგიერთი რამ ჩვენს დროშიც შეიძლება გამოსწორდეს.

მესტიაში იყო სტადიონი, რომ იტყვიან ბუნებისგან ბოძებული, რამდენადაც მას ასევე ბუნებრივი სწორი ზედაპირი და წყალგამწოვი გრუნტი ჰქონდა, რომელზედაც იზრდებოდა საფეხბურთო მოედნისთვის "გამოწერილი" დაბალი ბალახი. ეს სტადიონი იყო ზემოსვანეთის სპორტულ-სასპარეზო ცენტრი. აქ წელიწადში ორჯერ ეწყობოდა სარაიონო პირველობები სპორტის მრავალ სახეობაში. სტადიონი მთელი წლის განმავლობაში ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობის ადგილი იყო. მაგრამ რაა – ჯერ იყო და ამ ბუნებით ნაბოძებ (ისიც მთაში) ტერიტორიას აღმოსავლეთი მხრიდან საშუალო სკოლის შენობა მიუშენეს (60-იან წლებში), შემდგომ 70-იან წლებში ჩრდილოეთის მხრიდან სპორტული დარბაზი, რის შედეგადაც შემცირდა სტადიონის სტანდარტული გაბარიტები და ამდენად სარბენი ბილიკები და საფეხბურთო მოედანი. 2011-12 წლებში კი მისი არსებობა და პერსპექტივა დაასამარა მასზედ ე.წ. შემოვლითი გზის გაყვანამ – სვანეთის ზედა სოფლებისკენ. თითქოს სხვა გამოსავალი ან გზა არ არსებულიყო ამ მიზნისათვის. (კურიოზული ქალაქმშენებლობითი კაზუსი). ფაქტია – სატრანსპორტო გზის სეტის მოედანზე არიდება ხელსაყრელია კომერსანტებისათვის და ამიტომაც (ვაჭრის ფსიქიკით) არსებული სეტის სატრანსპორტო მოედანზე გააშენეს ზემოთ აღნიშნული სასტუმროსმაგვარი შენობები. ანუ სეტი მთლიანად აქციეს კომერციულ ცენტრად (რატომაც არა, ვინ ჰყავთ დამშლელი!) და ზედა სოფლებისკენ მიმავალი საავტომობილო გზა არსებულ ერთადერთ სტადიონზე გადაატარეს. ეს ძალადობა ხდება დღისით მზისით, ყველაასა და ყველაფრის იგნორირებით, ყოველგვარი ქალაქგეგმარებითი წესებისა და ნორმების უგულებლყოფით და პარალელურად მუქარის ფონზე, მაგრამ როდემდე? ეს პირველყოვლისა ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია რამოდენიმე პიროვნების მიერ ე.წ. მთავარ „ქურუმთან" ერთად. მათი ვინაობა არ წარმოადგენს ამოუცნობ განტოლებას, ხოლო მათი საჯარო და სახალხო ლუსტრირება სასიკეთოდ წაადგება ჩვენს მომავალს.

მესტიაში იყო ღია საზაფხულო საცურაო აუზი, რომელიც ივსებოდა გვალდირის კრიალა, მზით გამთბარი გამდინარე წყლით. აქ სწავლობდნენ მესტიის მოზარდები ცურვას და იგი ჭეშმარიტად სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერა იყო. ეს ადგილი 70-იან წლებში საცხოვრებელ სახლებს შეწირეს და ამის შემდეგ მესტიაში დაბადებულმა ბავშვებმა ცურვა აღარ იციან.

სეტის მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 90-იან წლებამდე იდგა ე.წ. კულტურის სახლი, სადაც იმართებოდა კინოფილმების დემონსტრირება, თეატრალური წარმოდგენების დადგმა, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების გამართვა, სპორტული ასპარეზობანი და, რაც მთავარია სვანური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის რეპეტიციები და კონცერტები. იგი 80-იანი წლების დასასრულისკენ დაანგრიეს ვითომდა ახლის აშენების მიზნით, მაგრამ, როგორც ზემოთ ავღნიშნე, მის ადგილზეც სასტუმროს ტიპის შენობები ააშენეს. ასე და ამრიგად, მოსპეს მესტიის მოსახლეობის კულტურისა და გართობის კერა და მისი აღდგენა აღარავის მონდომებია, რამდენადაც საზოგადოებრივი სახლი, კომერციული თვალსაზრისით, არამიმზიდველია მავანთათვის.

მესტიის ახალგაზრდობის ფრიად მიმზიდველი და კულტურული გართობის ადგილი იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში აშენებული ტურისტული ბაზის ორსართულიანი თეთრი ოთკუთხა შენობა, რომელიც მესტიის სამხრეთით არსებულ გორაკზე არის განთავსებული და გადაჰყურებს მესტიის არაჩვეულებრივ პანორამას, რომ იტყვიან, უკეთეს გადმოსახედს ვერ ინატრებ. ესეც ბუნებისგანა ბოძებული. ეს შენობა ამჟამად ადგილობრივი საეპისკოპოსოს მფლობელობაშია და ამ ტერიტორიაზე მოხვედრას სპეციალური ნებართვა სჭირდება. ასე გაუქმდა ეს ახაგაზრდობისათვის ფრიად მიმზიდველი, სახალისო და მე ვიტყოდი, საინტეგრაციო ტურისტული კერა.

ასე და ამრიგად, აღიგავა მესტიაში არსებული კულტურულ-გართობითი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერები და ამჟამად მათ ადგილზე, აღდგენის ნაცვლად, მომეტებულად მოამრავლეს ლუდხანები და რესტორნები, სადაც ახალგაზრდობა ალკოჰოლით "ირთობს" თავს, რათა უმუშევრობით გამოწვეული "დაღლილობა" შეემსუბუქებინა.

საპროექტო-სამშენებლო დარგში მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე საკუთარი რესურსებით დავამუშავე და შესაბამის სამთავრობო ინსტანციებს სახელმძღვანელოდ შევთავაზე მესტიის პერსპექტიული განვითარების ქალაქმშენებლობითი კონცეპტუალური პროექტები, რომლებიც გულისხმობს არსებული განაშენიანების მაქსიმალურ შენარჩუნებას და კონსერვაციას კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსით, ხოლო მესტიის სამხრეთ-აღმოსავლეთ (კახურის) თავისუფალ ტერიტორიაზე – ტურისტული "სოფელის" გაშენებას. ამ ადგილიდან მეტიის ისტორიული ნაწილის და კავკასიონის ულამაზესი მწვერვალების შესანიშნავი პანორამა იშლება. ამასთან ერთად ეს ტერიტორია მოცილებულია მესტიის ისტორიულ დასახლებას და ამავე დროს უსაფრთხოა ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან (ზვავებისაგან, წყალდიდობებისაგან, მეწყერისაგან და სხვ).

ვერდიქტი საქმის სპეციალისტებმა უნდა გამოიტანონ და საჯაროდ გააცნონ, როგორც ადგილობრივ მკვიდრთ, ასევე ფართო საზოგადოებას. იმედია, ახალი ხელისუფლება, კერძოდ, კულტურის სამინისტრო დაინტერესდება წერილში წამოჭრილი პრობლემური საკითხებით.

**ნუგზარ ჩართოლანი**

არქიტექტორი

## ჯემალ დავლიანიძე

### „ავადმოსაგონარი, მითიური“ კოდექსი და ხიფათი, რომელიც ახლოა

103. თუ სადმე ეწყობა შეთქმულება, მის სათავეში აუცილებლად იქნება ჩვენი ერთგული მსახური.

104. ჩვენ ვიცით ჩვენი მოძრაობის საბოლოო მიზანი და მხოლოდ ჩვენვე წარვმართავთ მას. ხალხი ვერაფერს მიხვდება, რადგან კმაყოფილდებიან წუთიერი თავმოყვარეობის დაცხრომით. ვერ შეამჩნევენ, რომ მომხდარის იდეა მათი ინიციატივა არ იყო. ისინი ჩვენსკენ მოიწევენ კეთილდღეობისათვის, ცნობისმოყვარეობისათვის, ზოგი კი იმისათვის, რომ პუბლიკის წინაშე განაცხადონ თავიანთი აუხდენელი და უნიადაგო ოცნებები. მათ სწყურიათ წარმატებები და ტაშისკვრა, რაშიც ჩვენ გულუხვები ვართ.

105. ჩვენ ხალხს ჩავაგონეთ კოლექტივიზმის იდეა და ვერ ხვდებიან, რომ ეს ღვთის მიერ შექმნილი გონების კანონთა საწინააღმდეგო მოვლენაა.

106. ჩვენი წინაპრები გვასწავლიდნენ, რომ სერიოზული მიზნის მისაღწევად არ უნდა შეუშინდე წინააღმდეგობებს და არ უნდა დათვალო მსხვერპლთა რიცხვი. შედარებით მცირერიცხოვანი მსხვერპლის გაღებით ჩვენი ტომი გადავარჩინეთ დაღუპვას.

107. სიკვდილი ყოველი ადამიანის ბოლოა. უმჯობესია ეს ბოლო დავუჩქაროთ იმ ხალხს, რომელიც ხელს გვიშლის გეგმების შესრულებაში.

108. კანონთა პრესტიჟის დაცემა მოვახდინეთ ჩვენს მიერ შერჩეული ლიბერალური განმარტებების წყალობით.

109. ჩვენი კანონი იქნება მოკლე, ცოცხალი, მყარი — ყოველგვარი განმარტებების გარეშე. იგი უნდა იცოდეს ყველამ. მისი მთავარი მოთხოვნა იქნება უფროსისადმი მორჩილება.

110. ჩვენს მოსამართლეებს ეცოდინებათ, რომ სულიერი გულმოწყალებით ისინი დაარღვევენ მართლმსაჯულებას, რომელიც შექმნილია დამნაშავეთა დასასჯელად და არა მოსამართლეთა სულიერი ღირსებების სადემონსტრაციოდ.

111. მოსამსახურეთა ადგილიდან ადგილზე ხშირად გადაყვანა ხელს შეუშლის თანამშრომელთა კოლექტიურ სოლიდარობას.

112. ჩვენ ვაუქმებთ კასაციის უფლებას, ხალხმა არ უნდა გაბედოს ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი მოსამართლეები შეიძლება ოდესმე შეცდნენ.

113. ჩვენს დესპოტიზმს ვაფუძნებთ სამართალზე და მოვალეობაზე.

114. მაშინ, როდესაც ჩვენი მეფე წმინდა თავზე დაიდგამს ევროპის მიერ მოწოდებულ გვირგვინს, ის გახდება მსოფლიოს პატრიარქი და მისი მსხვერპლთა რიცხვი ვერასოდეს გაუთანაბრდება საუკუნეების მანძილზე კაცობრიობის მმართველებს შორის ომებში დაღუპულთა რიცხვს.

115. ყოველგვარი კოლექტიური ძალების განადგურების მიზნით გავანადგურებთ კოლექტივიზმის პირველ საფეხურს — უნივერსიტეტს. გარდავქმნით ახალი მიმართულებით. პროფესორები თავიანთი საქმიანობისათვის მომზადდებიან საიდუმლო პროგრამებით.

116. სწავლებიდან ამოვიღებთ სამართალს, ყველა არასაჭირო საგანს და ახალგაზრდობას ვაქცევთ ხელისუფლების მორჩილებად, რომელთაც ეყვარებათ თავიანთი მმართველი.

117. მომავლის პროგრამით შეცვლით კლასიციზმსა და ყოველგვარ ისტორიას. ადამიანთა ხსოვნიდან ამოვშლით გასული საუკუნეების ყველა ფაქტს. მოვსპობთ ყოველგვარ თავისუფალ სწავლებას.

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

118. ადვოკატურა აყალიბებს ცივ, მკაცრ, ჯიუტ, უპრინციპო ადამიანებს, რომლებიც სრულიად ლეგალურ ნიადაგზე დგანან. ისინი საქმეს აკეთებენ გამორჩენის მიზნით, უარს არ ამბობენ ნებისმიერ დაცვაზე, რითაც ისინი სასამართლოს ამორალურს ხდიან. ამიტომ, ამ სპეციალობას მოვათავსებთ ვიწრო ჩარჩოებში. ადვოკატები მოკლებულნი იქნებიან ჩანაწერებსა და დოკუმენტებს, თავიანთ კლიენტებს დაიცავენ მხოლოდ სასამართლოზე, დაკითხვის შედეგად მოკვლეული ფაქტების მიხედვით. ისინი მიიღებენ ჰონორარს დაცვის ხარისხის მიუხედავად და იქნებიან უბრალო მომხსენებლები ბრალდების სასარგებლოდ.

119. სამღვდელოების დისკრედიტაცია უკვე დავიწყეთ და ამით გავაბითურეთ მათი მისია. ხალხში მათი გავლენა უფრო ეცემა. — ყველგან გამოცხადებულია სინდისის თავისუფლება! ისე, რომ მხოლოდ წლები გვაშორებს ქრისტიანული რელიგიის სრულ გაცამტვერებამდე. სხვა რელიგიებს გაცილებით ადვილად გავუსწორდებით, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

120. როდესაც დადგება პაპის სასახლის საბოლოო დამხობის დრო, უჩინარი ხელი ხალხს მიუთითებს



მისკენ. როცა ხალხი მივა მასთან, ჩვენ გამოვალთ მის დამცველად, რათა ავლაგმოთ დიდი სისხლისღვრა. ამ დივერსიით შევაღწევთ მის წიაღში და არ გამოვალთ იქიდან, სანამ ყველაფერს არ გავანადგურებთ.

121. სანამ ახალგაზრდობას არ გადავიყვანთ ახალ, გარდამავალ სარწმუნოებაზე, შემდეგ კი ჩვენზე, ეკლესიას აშკარად ხელს არ ვახლებთ. ვიბრძოლებთ მხოლოდ კრიტიკით, რომელიც წარმოშობს სასაკლაოს.

122. სახელმწიფო სამსახურის პრინციპებიდან გამომდინარე, სამარცხვინო სულაც არ იქნება ჯაშუშობა და დასმენა, პირიქით — იგი იქცევა საქებარ საქმედ.

123. სამართალში მიეცემიან ის პირები, რომლებიც დაფარავენ ნანახს თუ მოსმენილს პოლიტიკის სფეროში.

124. ჩვენი მმართველი ყოველთვის გარშემორტყმული იქნება ვითომ ცნობისმოყვარე ქალებით და კაცებით. ისინი პირველ რიგებს დაიკავებენ და სხვა რიგებს შეაკავებენ წესრიგის დაცვის მიზეზით. თუ ხალხში აღმოჩნდება მთხოვნელი, პირველმა რიგებმა უნდა გამოართვან მას თხოვნა და მთხოვნელის თვალწინ გადასცენ მმართველს, რათა ყველამ დაინახოს — თხოვნა დანიშნულებისამებრაა გადაცემული და კონტროლზეა აყვანილი თვით მმართველის მიერ.

125. ჩვენს ხელთაა უდიდესი ძალა — ოქრო. ორ დღეში შეგვიძლია ამოვიღოთ სამალავებიდან განუსაზღვრელი რაოდენობის განძი. ნუთუ კიდევ დიდხანს უნდა ვამტკიცოთ, რომ ჩვენი მმართველობა ღვთით დადგენილია? ნუთუ ასეთი სიმდიდრე არ მეტყველებს იმაზე, რომ ბოროტება, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ჩავდიოდით სიკეთისათვის, წესრიგის დასამყარებლად გვინდოდა?“

ჩემო მკითხველებო, ხომ არ გენიშნათ რამე? აბა, კარგად დააკვირდით, ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. ბრძენთა აზრებში სიტყვა „ტელევიზია“ არსად არ იხსენიება! ეს მიგვანიშნებს, რომ ხსენებული ქადაგება თუ ჯანდაბა და დოზანა, ტელევიზიის დაარსებამდეა ჩატარებული. მხოლოდ პრესაზეა საუბარი და ამგვარი რამ, რამდენიმე ათეული წლის წინ, ალბათ ზღაპრადაც შეიძლება მოგჩვენებოდათ, მაგრამ თუ გადავხედავთ ამ ბოლო წლებში მსოფლიოში განვითარებულ ამბებს, მრავალი ჩანაფიქრი უკვე აღსრულებულია. შორს წასვლა არც გვჭირდება — რაც შევარდნაძე-სააკაშვილის მმართველობისას მოხდა და ხდება, ამ ბნელი კოდექსის მეოხებითაა.

გეკითხებით ბატონებო, რა არის ამ ჩამონათვალში ისეთი, რასაც შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმები არ თესავენ? ეს ხომ ისეთი ჭეშმარიტებაა, კომენტარიც არ სჭირდება. თურმე სულაც არ ყოფილა „მითი“, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს... სამწუხაროდ, წელან ჩამოთვლილ საშინელებათა ნუსხას — ოქმები ეწოდება და ისინი ე.წ. ბრძენთა კრებებზეა მიღებული. ვიმეორებ, წლების წინ ამ ყველაფერს ზღაპრებად ნათლავდნენ, მაგრამ მსოფლიოში, უკვე მრავალზე მრავალი აღსრულებულია და ველარავის მოატყუებენ.

აქ, არ შეიძლება არ გაოცდე: ჩვენი ხალხი თითქოს მორწმუნეა, თითქოს კითხულობს სახარებას, მაგრამ იქიდან მაგალითს არ ღებულობს! სახარება თითქოს მათთვის კი არ შექმნილა, არამედ სხვებისთვის! მსოფლიოს კატასტროფა უახლოვდება ისევ და ისევ ადამიანთა არასწორი ცხოვრების, მრუდე საქმიანობის გამო და ჭკუას მაინც არავინ სწავლობს.

მართლაც, ადამიანთა რა რაოდენობა ფიქრობს, რომ სადღეისოდ „საიდუმლო ურჯულოებისა უკვე მოქმედებს“? რამდენს ანაღვლებს პავლე მოციქულის სიტყვები: „ნუ თანაეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ ამხილებდითცა...“?

წიგნის დასაწყისში მე სამაგალითოდ მოგიყვანეთ და წაგაკითხეთ ალენ დალესის ომის შემდგომი დოქტრინა, რომლის ერთი ნაწყვეტი ახლავე, ამ წუთში, ამ წამს ისევ უნდა გიჩვენოთ და ამასთან გთხოვთ თქვენსავე თავს გამოუტყდეთ — ამდენი ფაქტების და ჩემი საუბრის შემდეგ მიგავიწყდათ თუ... უფრო გაითავისეთ?

„მხოლოდ ერთეულები თუ მიხვდებიან, რა ხდება ირგვლივ, მაგრამ ასეთ ადამიანებს და ქვეყნებსაც ჩავაყენებთ უკიდურესად უმწეო მდგომარეობაში. მათ გავაკრავთ სამარცხვინო ბოძზე! თითით საჩვენებლად ვაქცევთ! ცილს დავწამებთ და საზოგადოების ნაგვად გამოვაცხადებთ“ (ანუ, სააკაშვილების სიტყვები რომ ვთქვათ — „ჩავრეცხავთ“ ჯ.დ.)

ზუსტად არ ვიცი, რა ხასიათზე დადექით, მაგრამ ვგრძნობ, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდით.

ხომ ნათელია — როგორც ტყუპები, ისე ჰგვანან ერთმანეთს ე.წ. „ბრძენთა ოქმები“ და ალენ დალესის ნააზრევი.

ხიფათი უფრო ახლოა, ვიდრე ჩვენ გვგონია!

მიძლიერდება ეჭვი, რომ კვლავ ცოცხალია და ცხოვრებაში გატარებას ექვემდებარება უინსტონ ჩერჩილის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დაბეჯითებითი მოწოდება და საიდუმლო განზრახვა, ატომური დარტყმა მიეყენებინათ საბჭოთა კავშირისთვის, რათა მომავალი (ანუ დღევანდელი) გეგმებისათვის ხელის შემშლელი არ ყოფილიყო.

დღევანდელი სიტუაცია, როცა ევროპაში იგივე საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანება ჩამოყალიბდა, მთლად მოსამზადებელი სამუშაოების დამთავრებას წააგავს. — ევროპაში საზღვრები მოშალეს, ერთი ვალუტაა, ამ დღეებში უკვე ევროპის პრეზიდენტს აირჩევენ (თან ინგლისელს!) კონსტიტუცია მიიღეს, ევროპის პარლამენტი მუშაობს... უჰ, მაპატიეთ, თავი ისევ საბჭოთა კავშირში წარმოვიდგინე, როცა ამ დიდ სივრცეში ერთი, ძირითადი მთავრობა, ერთი ვალუტა, ერთი პროკურატურა, სასამართლო არსებობდა, ოღონდ, ჩანს, რომ საბჭოთა კავშირში რესპუბლიკებს და ავტონომიებს გაცილებით მეტი თავისუფლება გააჩნდათ, ვიდრე დღევანდელ ევროპის კავშირშია. თანაც, ყოველივე ხომ წინაა... იქ გაერთიანებულ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ უწვნევიათ ერთი მტკიცე ხელის დარტყმა და ყოველგვარი სუვერენიტეტის შეზღუდვა.

რა თქმა უნდა, მერე წუწუნი გვიანი იქნება, მაგრამ ყოველივე, რაც მათ შეემთხვათ საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა და კიდეც გაებნენ მახეში. სულაც არ მსურს ვთქვა, რომ ევროპის კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოთა მოქალაქეების უმრავლესობას სწადდა ამგვარი კავშირი! მაგრამ... ევროკავშირის საიდუმლო მმართველებმა ყოველივე ზემოდან ანუ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებაში მათი დასაყრდენი ადამიანების მეოხებით შეძლეს... პატარ-პატარა შევარდნაძეები, როგორც ჩანს, თითოეულ განწირულ ქვეყანასაც ჰყავდა და ამჟამად გაისმის მათი ერთობლივი შეძახილი. დასრულდა ევროპის კავშირის შექმნა. ამიერიდან ისინი გადავლენ ძირითად შეტევაზე, რაც აღმოსავლეთისკენ ე.წ. ლაშქრობაში მდგომარეობს.

სწორედ ამიტომ ატყდა 2009 წლის ნოემბერში, გერმანიაში, ბერლინის კედლის ნგრევის უშველებელი ზეიმი. დღე და ღამ ევროამერიკული ყველა საინფორმაციო უწყება ეწევა აგიტაციას ამ კედლის აშენების და დანგრევის თაობაზე. ზუსტად იმეორებენ — რამდენი კაცი შეეწირა ბერლინის კედელს. მათი რიცხვი ვგონებ 126 თუ 136-ია. მეც ვწუხვარ ყოველი ადამიანის უდროო სიკვდილის გამო, მაგრამ მსოფლიოს მოსახლეობა ჩემსავით დარდობს თუ არა ნაგასაკში და ხიროსიმაში დაღუპული ასი ათასობით ადამიანის სიკვდილს და გენოციდს, რომელიც დღესაც გრძელდება, ვერ გეტყვით. მაინტერესებს, რატომ არ აღნიშნავენ პროტესტის ნიშნად ამ საშინელ თარიღსაც? სად არის ამ დროს ევროამერიკელთა, ევროპის კონვენცია და ადამიანების უფლებათა დაცვის ათასობით ორგანიზაცია? როგორ, 126 კაცის დაღუპვის გამო ამხელა, მსოფლიოს მომცველი აგიტაცია-პროპაგანდა რომ არის გამართული, რაო, იაპონელები ვინმეზე ნაკლები ხალხია? იქნებ ევროპული სიკვდილი სხვაა და იაპონური კი — სხვა? საერთოდ, მსოფლიო რას ფიქრობს — ამ საშინელების ჩამდენი, აღმასრულებელი ადამიანები შეჩვენებული უნდა იყვნენ თუ არა?

ვიმეორებ, რომ მსოფლიო შეგნებულად მიჰყავთ მესამე მსოფლიო ომისკენ და საამისოდ ცოფიანებივით იღვწიან ბნელეთიდან დაფინანსებული ჟურნალისტები, პუბლიცისტები, მეცნიერები, ე.წ. არასამთავრობო უწყებები, ფონდები და თითქმის მუდამ ბეცი და ბრიყვი პოლიტიკოსები.

ვიღაცა უხილავს (და უკვე ვიცით ეს უხილავი ბრძენკაცები ვინც არიან) უკავია მსოფლიო მექანიზმი და პირდაპირ ჯოჯოხეთში მიერეკება კაცობრიობას!

ახლა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალენ დალესის დოქტრინა გამალებით მუშაობს — შეტევაა ქრისტიანულ მართლმადიდებელ და მუსულმანურ ქვეყნებზე. მიზეზები მათ მუდამ მოეძებნებათ: იქით ტერორიზმი, აქეთ დემოკრატიის დეფიციტი და ადამიანთა უფლებების შელახვა — ჩემი, როგორც ადამიანის უდიდესი საწუხარი ის გახლავთ, რომ ჩემი პატარა მამული, ჩემი ქვეყანა, ამ შობელძაღლმა, ვირისთავმა, სისხლისმსმელმა დემონებმა თუ ვამპირებმა მსოფლიო ბრძოლის შუაგულში მოაქციეს და უსასრულოდ წეწავენ.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბოჭორმის ციხეს ვარ... უუძველესი ალაგია. ეთნარქ ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ მის მეუღლეს აუგია აქ პირველი ბასტიონი — დედაციხე. მართალია, იმდროინდელი აქ აღარაფერია, მაგრამ, რაც არის, ისიც ძალიან ძველია. მათ შორისაა მრავალჯერ შეკეთებული X საუკუნის ექვსაბსიდიანი უნიკალური ტაძარი — ერთ-ერთი უძლიერესი „წმინდა გიორგი" ჩვენში. გადაღებას რომ ვასრულებ, მორღვეულ კოშკზე ავდივარ, მსურს ხეობას გადავხედო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ქვევით ისეთი ნისლის ზღვა დგას, რომ ხმელეთი არ ჩანს.

ნისლი ფიქრია მთებისა...

„მატიანე ქართლისაის" ერთი ცნობა ამოტივტივდა გონებაში:

956 წლის ზამთარია, აფხაზეთის (დას. საქართველოს) მეფეს გიორგი მეორეს მთელი კახეთი დაულაშქრავს და მისი ქორიკოზი (ერისმთავარი) კვირიკე მეორეც ხელში ჩაუგდია. კვირიკე გიორგის თხოვს, რომ ზამთრის გატეხვამდე ბოჭორმა არ ჩამოართვას, იქ დააბრუნოს, „შემდგომად ალვსებისა" (ე.ი. მთვარის გავსებისა) კი თავად ეახლება და კახეთსაც ჩააბარებს. გგიორგი მძევლად კვირიკეს ვაჟს — დავითს იტოვებს, ხოლო კვირიკეს თხოვნას უსრულებს და „დღესა ლამპრობასა" ბოჭორმაში გაუშვებს.

რა ისეთი ღირსშესანიშნავი დღე იყო ეს ლამპრობა, რომ მას კახეთის ხელისუფალიც და აფხაზეთის მეფეც ერთნაირად სცემდნენ პატივს?

ამის გასარკვევად ბოჭორმიდან თბილისში დაბრუნებულმა სათანადო ცნობების შეგროვება დავიწყე.



## ტრადიცია

# lamproba

ალმოჩნდა, რომ უძველეს დროში ამ დღეს მთელი საქართველო აღნიშნავდა. მას სვანეთში **„ლიმპიარი"** ერქვა, მთიულეთში — **„ლამპორიობა"**, გუდამაყარში — **„ლამპირობა"**, ფშავში — **„ლომპორია"**, ხევში — **„ამპარიობა"**, ხევსურეთში — **„ლამპრობა"**. მსგავს დღეს ზეიმობდნენ სამეგრელოსა და გურიაშიც და ა.შ. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, დღესასწაულის დვრიტა დაიკარგა და უმეტეს მხარეში ისე შეიცვალა, რომ მხოლოდ სახელწოდება აერთიანებდათ. უუფრო მეტიც — ზოგან სახელიც შეიცვალა. ასე მაგალითად, ლამპრობას გურიაში **ბარბარობა** დაერქვა, რაც ცეცხლის ანთებას — ბარ-ბარს ანუ ბრიალს გლისხმობს (ცეცხლის გამოსათქმელად შუმერებსაც ეს სიტყვა ჰქონდათ).

ლამპრობისას ცეცხლს ხის ვეება ჩირაღდნებით დაატარებდნენ (სვანეთი), ზოგან — ჭოკის თავზე შემოხვეული ბლის ქერქით (გურია), ზოგან სუროს წვავდნენ (სამეგრელო), ზოგან — ნეკერჩხალს (გუდამაყარი), ზოგან — ჩალის ზვინს (ხევი) და ა.შ. **ამა თუ იმ კუთხეში ლამპრობის შინაარსთან და ფორმასთან ერთად, თარიღიც აიბნა: ერთგან 2 თებერვალს (ახალი სტილით 15 თებევალს) — მირქმას იმართება, მეორეგან — 6 (19) იანვარს — ნათლისღებას, სხვაგან — რომელიმე პარასკევს ან კვირას. ერთი სიტყვით, ზოგან უძრავი დღესასწაული გახდა და ზოგან მოძრავი.**

ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ ყველა ძველი სახალხო ტრადიციული დღესასწაული და მათ შორის ლამპრობაც ქრისტიანული წარმოშობისაა, უფრო კონკრეტულად: ეკლესიის ზეგავლენის შესუსტების პირობებში აქა-იქ და მეტადრე მთაში ქრისტიანულ დღესასწაულებს ზღაპრული სიუჟეტები მოარგეს და შემდგომ წარმართული ხანიდან გამოყოლილი ტრადიციის ფუნქცია მიანიჭეს. **მხედველობაში თუ უძრავ ლამპრობებს მივიღებთ (2 თებერვალი და 6 იანვარი), ეს მოსაზრება, შესაძლოა მისაღები იყოს, მაგრამ მოძრავ ლამპრობასთან დაკავშირებით მისი გაზიარება აშკარად ჭირს.**

რაკი ათასჯერ გაგონილს (თუნდაც წაკითხულს) ერთხელ ნანახი ჯობს, გადავწყვიტე, რომ ლამპრობას უშუალოდ დავსწრებოდი. საამისოდ დიდი არჩევანი არ მქონდა: იანვარ-თებერვალში ან მესტიის რაიონში (ძირითადად ბალსქვემო სვანეთი) უნდა წავსულიყავი, ან იქიდან ქვემო ქართლში ჩამოსული სვანების რომელიმე დასახლებაში, რადგან მათ მსგავსად ლამპრობას ტრადიციის სრული დაცვით და მასშტაბურობით არავინ იხდის. გარდა ამისა, სწორედ სვანები არიან, რომ ლამპრობას ორჯერ ზეიმობენ და სხვადასხვა დატვირთვას აძლევენ. რაღა ბევრი გავაგრძელო, გასული წლის ზამთარში დმანისის სვანურ დასახლებაში მცხოვრებ ერთ ჩემს ძალიან ახლბელ ავთანდილ ვიბლიანის ოჯახს ვესტუმრე და ყველაფერი წვრილად გამოვიძიე. შარშან, მთვარის ციკლებიდან გამომდინარე, პატარა ლამპრობას უმთავრესმა, ანუ მოძრავმა ლამპრობამ დაასწრო. იგი ახალი წლის (14 იანვარი) შემდეგ დაწყებული ახალმთვარეობის მეორე კვირადღეს დაემთხვა (შარშან ეს დღე ახალი სტლით 5 თებერვალი იყო, წელს კი 24 თებერვალია).

...ლამპრობამდე ერთი კვირით ადრე მე და ჩემი მეგობარი ოჯახის უფროსი მსხვილი ტოტების მოსაჭრელად ტყეში მივდივართ (უწინ სვანეთში საამისოდ არყის ხეს ირჩევდნენ) და იმაზე ორით მეტი ტოტი მოგვაქვს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელი (ქუდის დამხურავი) გვეგულება სახლში. შინ დაბრუნებულები ტოტებს ვსხიპავთ და მერქანს ვაცლით. ამის მერე ძელის შედარებით ვიწრო ბოლოს წვეტს ვუჩორკნით, ხოლო განიერ თავს რამდენიმე მოკლე ნაპრალს ვუკეთებთ, პატრუქის ფორმის მისაცემად ნაპრალებში კენჭებს ვაწყობთ და ყელზე სალტეს ვუჭერთ. სულ მალე 1,5-1,8 მეტრის სიმაღლის რამდენიმე ლამპარია მზად. მათ ღუმელთან ახლოს ვათავსებთ გამოსაშრობად. ლამპრობის წინა პარასკევს, რომელსაც **„ვებიშ"** ჰქვია, იკვლება ტახი, თუმცა ამჟამად უმეტეს ოჯახში ძველით ახალწელს დაკლული ღორით გადიან ფონს. რას იზამ - ყველას როდი ულხინს! შაბათს დილიდანვე გაცხოველებული სამზადისია. სახლი საგანგებოდ სუფთავდება. ქალები, რომლებიც აუცილებლად სუფთები უნდა იყვნენ, სარიტუალო ტაბლას ამზადებენ: აცხობენ ღორის კუბდარებს (სხვა დროს კუბდარს ღორის ხორცით არ კმაზავენ) და ჯვართან მიახლოებული ფორმის კვერებს — ლემზირებს. კუბდართა შორის ერთი განსაკუთრებულია და იგი ოჯახის სახელზე მზადდება. რაც შეეხება ლემზირების ფორმას, უნდა ითქვას, რომ ჯვარი ქრისტიანობამდეც არსებობდა და მას სხვა დატვირთვა ჰქონდა. იგი ცეცხლთან იყო დაკავშირებული — ცეცხლი ერთმანეთზე ჯვარედინად დადებული ორი ტოტით გამოისახეოდა.



...გასრულდა შაბათი და კვირამ დაიწყო ათვლა. რიჟრაჟამდე ოჯახის უფროსს თავდაპირველად ერთი ლამპარი გააქვს ეზოში, ანთებს და მიწაში ასობს. ამ ლამპარს ოჯახის **„მათენებელი"** ჰქვია, დიდი უფლის დასანახად ანთია და აქვე უნდა ჩაიწვას. ინთება მეორე ლამპარიც, რომელიც წმინდა გიორგისითვის (**„ჯგრაგ"**) არის გათვალისწინებული, იმ წმინდა გიორგისთვის, რომელმაც წარმართული მთვარის ღვთაება (პირობითად „თეთრი გიორგი") გადაფარა დროთა განმავლობაში. **პირველ გზაზე ყოველი ოჯახის უფროსს თითი-თითო ასეთი ანთებული ლამპარი მიაქვს წმინდა შესაკრებელ ადგილზე,** რომელსაც **„ლასკარი"** ჰქვია. ლამპრებს მიჯრით დგამენ (ხშირად ლასკარად წმინდა გიორგის ეკლესიის ან ნაეკლესიარის ეზოს იყენებენ). **ამის შემდეგ ოჯახის უფროსები უკვე დანარჩენ სახლიკაცებთან — ქუდის დამხურავებთან ერთად ეზიდებიან თავ-თავიანთ ანთებულ ლამპრებს და ჯგრაგის ლამპრებს მიუყუდებენ.** მომაჯადოვებელი სანახაობაა: ღამის სოფელში ადამიანები ციცინათელებივით მოძრაობენ, ლასკარში კი გრანდიოზული კოცონი ფეიერვერკივით ისვრის ჰაერში ჩინჩხლებს. **ჩემს გაოცებას ერთი რამ იწვევს: ლასკარში ვიღაცას აუნთებელი ლამპარი მოაქვს. მეგობარს ვეკითხები, ამ კაცმა რა დააშავა-მეთქი და ასეთ პასუხს ვისმენ — ეგ იმ გვარის კაცია, რომელიც, მართალია ძალიან ძველ დროში, მაგრამ მაინც მოსულად მიიჩნევა სვანეთში და ლამპარი საერთო ცეცხლიდან უნდა აანთოსო.** ლამპრებთან ერთად ლასკარში შეკრებილებს სარიტუალო ტაბლა და სასმელიც თან მოაქვთ. მას თემის უხუცესს (მახვშს) გადასცემენ და ისიც ზეაპყრობილი ლემზირებით, კუბდარებითა და ხორცით რიგ-რიგობით ამწყალობნებს ოჯახებს — ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბარაქიანი მოსავალი არ მოაკლდეთო. შიგადაშიგ ომახიან სადიდებელს მღერიან და უმეტესად ჯგრაგს ახსენებენ. მაგრამ აი, მზის პირველმა სხივმა გაანათა აღმოსავლეთი. ახლა უკვე სხვა სადიდებელი წამოიწყეს უხუცესებმა და მთელი ლასკარი რამდენჯერმე დააგუგუნებს: **„ოოოოოოო..... აი და ჰა! ოოოოოოო... რაი! ამინ!"** მერე რკალად მოეწყობიან და ფერხისაის როკავენ წრეზე. ამის შემდეგ ერთხანს სათანადო სადღეგრძელოებს მიირთმევენ და შეექცევიან. ლასკარში დიდხანს არ ჩერდებიან, როგორც კი გვარიანად ინათებს, წინა ლამპრობისას დათქმულ, წილნაყარ ოჯახში გადადიან სალხინობლად. დღის მეორე ნახევარში დღესასწაული მთელს სოფელს ეფინება.

რას გვეუბნება ეს დღესასწაული?

დრო ყველაფერს მტვრით ფარავს და სვანებშიც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა დღესასწაულის დვრიტა. **ზოგიერთი იმას ამბობს, თითქოს, ლამპრობა ბალსქვემო სვნეთის ბატონების მოგონილია და ჩირაღდნებით თემში მცხოვრები მამაკაცების რაოდენობას ამოწმებდნენ. სხვა მთხრობელები უფრო ძველ დროში მიდიან და ამბობენ, რომ ამას, ვითომდაც, სვანურ ოჯახებში დატოვებული რომაელი გუშაგების (თითო ოჯახში თითო გუშაგი იყო) მოთხოვნით აკეთებდნენ. ერთხელაც ლამპრებიან სვანებს ერთად მოუყრიათ თავი, გამთენიისას რომაელებს თავს დასხმიან და ამოუწყვეტიათ.** აქ ჩვენ უდავოდ გვიან ჩამოყალილე-







ბულ ანდრეზებთან გვაქვს საქმე. **სინამდვილეში დიდი, ანუ მოძრავი ლამპრობა სხვა რამეს გვეუბნება.**

ჩემთვის ამ ამოცანის გასაღები ის სადიდებელი გამოდგა, რომელიც ზევით მოვიტანე: **„აი და ჰა"** ანუ იგივე ანი და ჰოე სამყაროს საწყისის და სასრულის განმსაზღვრელი მამაზეციერია, ხოლო **„რაი"** მზისა და მისი ღმერთის მთლად უძველესი წინააზიური და ევიპტური სახელი, რომელიც რაჭაში შემორჩენილმა ერთმა ხალხურმა ლექსმაც შემოგვინახა: **„რაეო — ჩემო დედაო!"** მზე, აკი, დედა იყო ქართველებისთის. გარდა ამისა **„რა"**, როგორც გამოუცნობი სუბსტანცია, ჩვენ მეტყველებაში ისეა ჩაკირული, რომ ვერც კი ვამჩნევთ. მაგრამ, მოდით, ჩვენ ლამპრობის **რა**-ობა გავარკვიოთ. **რა**-ს ემსახურება მთელი ეს რიტუალი და **რა**-ტომ იმართება მხოლოდ ახალი წლის (14 იანვრის შემდეგ) პირველი ახალმთვარეობის მეორე კვირადღეს?

თავდაპირველად ის უნდა ითქვას, რომ ლამპრობის მოძრავი დღესასწაული ქრისტიანული კალენდრით მეზვერისა და ფარისევლის შვიდეულში ზის და ყოველ აღდგომას ზუსტად 70 დღით უსწრებს (აღდგომა ლამპრობიდან ყოველთვის მე-11კვირაა). მეზვერეები, იგივე მეკერმეები (მებაჟეები) წარმართები იყვნენ და საგინებელ კასტას წარმოადგენდნენ, თუმცა ამ და სხვა წარმართებს სოლომონის ტაძარში თავიანთი საზორავი ეზო მაინც ჰქონდათ. ფარისევლები, რომლებიც იუდაიზმს ძვ. წ-ის II საუკუნეში გამოეყვნენ, ე.წ. ხასიმიდებს წარმოადგენდნენ და სჯულის მეცნიერული ცოდნით თავმომწონენი ერისგან შორს იდგნენ (ქრისტეს დროს მათი რაოდენობა 6 ათასი იყო), **ქრისტიანული დოგმატიკით ფარისევლები მეზვერეებთან არიან გათანაბრებულნი და სააღდგომო განწმენდაც ამიტომ იწყება მეზვერის შვიდეულიდან** (იხ. „არჩილ მინდიაშვილის ქადაგებანი" - 1994-95, 1997 წწ.)

**პირველი დასკვნა:** მეზვერის შვიდეული ოდითგან წარმართებს ეკუთვნოდათ.

ახლა ვნახოთ, რა ბუნებრივ, ასტრალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შვიდეულის კვირას ანუ ლამპრობა დღეს. **ამ დროს მთვარის ალამავალი განვითარება და მასთან ერთად დედამიწის ზონის დადებითი ენერგოველი პიკს აღწევს და ფაქტიურად სრულდება ბუნებრივი** (და არა კალენდარული) **ზამთარი.** ეს კარგად იციან ჩინეთსა და ინდოეთში და უკეთ ეცოდინებოდათ წინააზიის ქალდეველ (გნებავთ ქართველ) ქურუმებს. უფრო მეტიც — ჩვენთან, ხევში „ამპარიობას" (ლამპრობას) **ზამთრის კუდის მოწვას უწოდებდნენ** და მოწათმოქმედებასთან დაკავშირებული წესების შესრულებას იწყებდნენ, რაც უხვი ჭრნახულის მოწევას უზრუნველყოფდა (იხ. ს. მაკალათიას „ხევი"). აამიტომაა, რომ დიდი სვანური ლამპრობისას მზის ამოსვლას განადიდებენ („რაი... ამინ!"). ამით ისინი ერთის მხრივ ზამთრის „კუდის მოკვეცას" ზეიმობენ, მეორეს მხრივ კი, კარგი ამინდებიდან გამომდინარე, უხვი მოსავლის მიღებას და ოჯახის კეთილდღეობას შესთხოვენ ჯერ ჯგრაგს და შემდეგ უფალს. **ესეც ჩვენი მეორე დასკვნა. ამდენად, დიდი ივანე ჯავახიშვილი ლამპრობას სამართლიანად მიიჩნევდა წარმართულ მოვლენად, თუმცა იგი მთვარის დღესასწაულად უფრო ესახებოდა** (იხ. „ქართველების წარმართობა").

ამის საწინააღმდეგოდ, როგორც თავში ითქვა, **ბოლო დროს დამკვიდრებას ცდილობს მოსაზრება, თითქოს, ლამპრობა სახეცვლილი ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული დღესასწაულია. საიდან ასეთი ვერსია?**

**პირველი:** სვანეთისგან განსხვავებით საქართველოს თითქმის ყველა სხვა რეგიონში ლამ-



პრობა მკვიდრად იმართებოდა 2 (15) თებერვალს — მირქმის უძრავ ქრისტიანულ დღესასწაულზე. მას მირქმა (ანუ მიგებება) იმიტომ ჰქია, რომ ამ რიცხვში, შობიდან მეორმოცე დღეს, იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ იესოს დიდი სიხარულით მიეგებნენ მართალი სვიმეონი და ღრმად მოხუცებული ქალი ანა წინასწარმეტყველი. IV-VII საუკუნეების ავტორების ცნობით, ამ დღეს ეკლესიებში ანთებული სანთლებით ლიტანიობა, ანუ საზეიმო სვლა ეწყობოდა. ამის გამო, მოგვიანებით, დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მირქმას სანთლების დღესასწაულიც დაარქვეს. გარდა ამისა, როგორც ექვთიმე კოჭლამაზაშილი წერს, ქვემო სვანეთში 2 (15) თებერვლის ლამპრობას, თურმე, ჩიტის დღესაც უწოდებდნენ. ესეც ყრმა იესოს ტაძრად მიყვანისას მარიამ ღვთისმშობლისა და მართალი იოსების მიერ ორი გვრიტის შეწირვის გამოძახილია.

**მეორე:** მათეს სახარების მიხედით მაცხოვრის ერთ ერთი იგავი „10 ქალწული" იმას გვეუბნება, თუ როგორ ხვდებოდა ღვთიურ სიძეს ლამპრებით 10 ქალწული. მათგან 5 ზარმაცი გამოდგა, ზეთი თან არ წაიღო და დაგვიანებით მისული სიძის შესახვედრად ლამპრები ხელმეორედ ვეღარ აანთო.

ორივე მტკიცებულება მისაღებია, ოღონდ მხოლოდ 2 (15) თებერვლის უძრავი ლამპრობისთვის, ანუ იმ ლამპრობა-მირქმისთვის, რომელსაც ზემო სვანეთში ასევე ლამპრებით მართავენ და **„სვიმეონობას"** უწოდებენ. სვიმეონობას შედარებით მცირე მასშტაბი აქვს და ლამპრებიც უფრო პატარაა (40-60სმ.) გარდა ამისა, ლიტანია არა ლასკარში, არამედ სასაფლაოზე მიემართება და ლამპრები ცალ-ცალკე ჯგუფებად ანთია საფლავებზე. ბუნებრივია, ეს მიცვალებულთა მიგებების დღეა. ლამპრობა მეორე დილითაც გრძელდება, ოღონდ მას უკვე **„ლიჩაჩხელ"** ჰქვია. ამ დღეს ყველანი სახლის კარს დილიდანვე ღიას ტოვებენ, რადგან არ იციან, სოფლის რომელი ბავშვი ზუსტად როდის შემოაგდებს მინიატურულ ლამპარს და თან მოაძახებს **„ზავემ ჯაჩეჩხ!"** (ახალი წელი შემოგიგდე!). დადარაჯებული მასპინძელი გაქცეულ ბავშვს იჭერს და სახლში შეჰყავს, სადაც დიასახლისი, ნუგბართან ერთად, სხვა საჭმლითაც დააპურებს. აქ ჩვეულებრივი „ახალი წელი" არაფერ შუაშია — ეს მათეს სახარების იგავისეული ვერსიის გაგრძელებაა, ბავშვი „წმინდა სიძის" ანუ უფლის განსახიერებაა, რომელიც „5 ზარმაცი ქალწულის" ოჯახს აფხიზლებს და ნათელს შეუგდებს - ჭეშმარიტება მოგიტანეთო.

**ასე და ამგვარად, ზემო სვანეთმა ორივე ლამპრობა შემოგვინახა - მოძრავიც და უძრავიც (წარმართულიც და ქრისტიანულიც)** გასარკვევი ისღაა, რომელმა რომლისგან მიიღო სახელი. ლოგიკა უფრო იმას გვიმტკიცებს, რომ ოდესღაც მოძრავი (წარმართული) ლამპრობა უძრავ მირქმას - 2(15) თებერვალს - დაემთხვა და სახელიც დაანათლა. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ დამთხვევით ეკლესიამ წარმართული ლამპრობის გადაფარვა სცადა, მაგრამ სვანეთში ეს ვერ მოხერხდა.

* * *

*ახლა ბოჭორმას და 956 წლის ზამთარს დავუბრუნდეთ:*

*კვირიკე ქორიკოზი დედაციხეში ადის და ორსავე ლამპრობას იხდის, რომ მერე „ალვსებას" (სავსემთვარეობას) ღვთის წინაშე ვალმოხდილი ჩაბარდეს აფხაზთა მეფეს და კახეთიც ასე გადაარჩინოს. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ალვსება" თითქმის ყოველთვის მოძრავ, წარმართულ ლამპრობას კეტავს.*

*შეუსმინა უფალმა ვედრება კვირიკეს. მას მხარში ქართლის ერისთავები ამოუდგნენ, კახეთიც შეუნარჩუნეს და ტყვეობასაც გადაარჩინეს. უფრო მეტიც — როცა დასავლეთ საქართველოს ლაშქარი ორჯერ გამოემართა კახეთის ასაღებად, ჯერ აფხაზთა მეფე გიორგი II გარდაიცვალა მოულოდნელად, მერე კი მისი ძე ლეონ III.*

**გელა ქოქიაშვილი**

# ozurgeTSi `qarTuli ocnebis~ momxreebs devnian

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჭყონიამ ხელშკრულება აღარ გაუგრძელა და სამსახურიდან გაანთავისუფლა სამი მცირეწლოვანი შვილის დედა, კოალიცია „ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერი და „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრის მეუღლე თეა ხომერიკი. ეს ის მაკა ჭყონია გახლავთ, რომლიც არჩევნებამდე პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდა მისთვის არასასურველ კადრებს. აასევე სამსახურიდან განთავისუფლებით ემუქრებოდა ბაგა-ბაღის იმ თანამშრომლებს, ვინც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ათკაციან სიას არ მიუტანდა და 1 ოქტომბრის არჩევნებში კოალიცია „ქართულ ოცნებას" დაუჭერდა მხარს.

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ სწორედ მაკა ჭყონიას უშუალო დავალებით საბავშვო ბაღებიდან გაჰყავდათ 3-4 წლის ბავშვები მიშა სააკაშვილთან შესახვედრად "მიშაა, მიშას" დასაძახებლად. პედაგოგებიც იძულებულნი იყვნენ ბავშვებს გაჰყოლოდნენ და მათთან ერთად მდგარიყვნენ.ა

მაკა ჭყონიამ არჩვნევნებამდე პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან ადამიანების გათავისუფლება აღარ იკმარა და არჩევნების შემდეგაც კვლავ „წარმატებით" გააგრძელა ამ კუთხით მუშაობა. მისთვის ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი აღმოჩნდა, როგორც ჩანს.

რა მორალზე უნდა ესაუბრო იმ ქალს, რომელიც სამი მცირეწლოვანი შვილის დედას მიზერულ ხელფასზე მომუშავე (120 ლარი) დამხმარეს, პრო-




ფესიით პედაგოგს სამსახურიდან ათავისუფლებს. თავად კი ორ სამსახურშია დასაქმებული. ცენტრის ხლმძღვანელის თანამდებობის არ სჯერდება და საჯარო სკოლაში პედაგოგად მუშაობს კიდევ. ორთავე სამსახურიდან იღებს საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას და სინდისის ქეჯნაც კი არ აწუხებს, როცა მისი სამი შვილის დედა უმუშევარი დატოვა. რა მოტივით აღარ გაუგრძელა მან თეა ხომერიკს ხელშეკრულება? ვინ მისცა ჭყონიას უფლება, თავისი პოლიტიკური შეხედულებებისმებრ მართოს სკოლამდელი სააღმზრდელო სისტემა და მისი სურვილისამებრ ათავისუფლოს კადრები საბავშვო ბაღებიდან?! მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით დაინტერესებული არად დაგიდევთ სხვათა ბედს და საკმაოდ თავხედურად, ზემოთ აღნიშნულ უსამართლობაში ოზურგეთის ახლად არჩეულ, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ კოტე შარაშენიძეს ადანაშაულებს. მისივე თქმით, სწორედ ბატონი კოტეს მითითებითა და უშუალო დავალებით გაუთავისუფლებია სამსახურიდან რამდენიმე ადამიანი და მათ შორის თეა ხომერიკი. ბბევრი რამის არმცოდნე და უამრავ რამეში დღემდე გაურკვეველმა ჭყონიამ ისიც კი არ იცის, რომ საბავშვო ბაღებიდან თანამშრომლების განთავისუფლება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, უშუალოდ მისი პრეროგატივაა, როგორც სკოლამდელი სააღმზრდელო საკანონმდებლო ცენტრის ხელმძღვანელის და არა კოტე შარაშენიძის.

შემცირება თუ ვინმეს უნდა შეხებოდა, პირველ რიგში, სწორედ ორ სამსახურში დასაქმებულ მაკა ჭყონიას უნდა შეხებოდა. მით უმეტეს, რომ სამიოდე წლის წინ შექმნილი შტატებგაბერილი ზემოთ აღნიშნული ცენტრი ბიუჯეტს ზედმეტ ტვირთად აწევს. ამ ცენტრისა თუ რაღაც მსგავსი გაერთიანების გარეშეც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაღალკვალიფიციური, ერუდირებული კადრებით დაკომპლექტებული განათლების სისტემა, დაკისრებულ მოვალეობას ჭყონიას გარეშეც, ყველა დროში მშვენივრად ართმევდა თავს.

იმ დროს, როცა ოზურგეთელების უდიდესი ნაწილი უმუშევარია, ნაციონალური მოძრაობის "ღვაწლმოსილი", ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ჭყონია ორ სამსახურშია დასაქმებული და გაყოყლოჩინებულს ცა ქუდად აღარ მიაჩნია. თუმცა რა გასაკვირია. ნაციონალური მოძრაობის წევრებისთვის ეს ხომ დამახასიათებელი პოზაა?!

ყეყეჩების, საღ აზროვნებას მოკლებულ და გონებასთან მწყრალად მყოფ ადამიანთა სიმცირეს რომ არ განიცდიდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური მოძრაობა — ეს ფაქტია.

უამრავი განათლებული და საღად მოაზროვნე ადამიანი ცხოვრობს ოზურგეთში. მათი უმრავლესობა, სააკაშვილის ანტიხალხური რეჟიმიდან გამომდინარე, სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, მაგრამ მათ სული არასოდეს გაუყიდიათ ზოგიერთებივით. ისინი არასოდეს გამხდარან ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილი დანაშაულებრივი სისტემის მსახურნი.

ოზურეთის მუნიციპალიტეტში, 1 ოქტომბერს, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" ხმათა უმრავლესობით დამსახურებულად გაიმარჯვა და ამით უკვე ბევრი რამ არის ნათქვამი.

მოსახლეობამ იმ უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ გაილაშქრა, რასაც წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობა ჩადიოდა.

უსამართლობის მსახურსა და ბოროტებით სახელგანთქმულ ნაციონალურ მოძრაობას, უამრავ დამახასიათებელ თვისებებს შორის, ერთი ფრიად დამახასიათებლი თვისებაც გააჩნდა. ის თავის ზომბებსა და რობოტებად ქცეულ, აზროვნებადაქვეითებულ მარიონეტებს, მათ წევრებსა თუ აქტიურ მხარდამჭერებს, ახალისებდა და უხვად ასაჩუქრებდა გაურკვეველი ცენტრების შექმნით, თანამდებობებითა თუ მაღალანაზღაურებადი ხელფასებით.

ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის რამაზ ნიკოლაიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, სერენადები და რესტორანში გამართული ღრეობები, უმაღლეს დონეზე დაუფასდა თავის დროზე მაკა ჭყონიას, რითაც დღემდე მანიპულირებს.

სამწუხაროდ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დღესაც ისევ ძველებურად აგრძელებენ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა-შევიწროებას. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მოტივითა და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების უხეში დარღვევებით სამსახურებიდან კვლავინდებურად ათავისუფლებენ მათთვის არასასურველ კადრებს, კოალიცია „ქართული ოცნების" წევრებსა თუ მის აქტიურ მხარდამჭერებს.

**მაია გიორგაძე**







## თავსატეხი

შვეულად: ანაკო, დენთი, ელიტი, ებაკა, კარლო, ილორი, ირანა, კასტა, ლერწმი, მიირი, პეტია, სტელა, ქოგნა, ჯერწმი, შაირი, წყიმა, ჯილდა.

ჰორიზონტალურად: ამიგო, ანელი, არენა, ბრიქი, გამბი, ზვიდი, თაირი, ივაკო, მილმი, ნესტო, ოპერა, ორიელი, პლიანი, ელილი, რისკი, ფერტი, ქარგა, ჯერმა, ჩექმა, ძუნწა, წყენა, ჯინსი.

## სამიდან ერთი

შვეულად: 1. მესერი, პასტა, კორადო. 2. მურება, ჩერიკი, ჯიხური. 3. გუნდი, სამუთი, კარაჟი. 4. ჯილება, ლაზერი, ლილაკი. 5. ქლიბი, ალესანდრა. 6. იმედი, იარდი, ილიკი. 11. კარდება, ვიტრაჟი, ვეჩტელი. 12. ნაკვეთი, საკვეთი, მაკვეთი. 13. სარეცი, ქილერი, მაგალი. 14. ზარატი, ზუმარი, ხახაბი. 15. კასელი, კოლოფი, კონუსი. 18. გემი, გორი, გური.

ჰორიზონტალურად: 3. საკისარი, პატიმარი, კალამოტი. 7. ბელური, ლამურა, ტესხი. 8. რეზინი, რომანი, რეკეტი. 9. ნაჭამი, ნათელა, ნოდარი. 10. პარაზიტი, ბულიგანი, ქარავანი. 13. შუკელი, შიმაკი, შინორი. 16. ასაკი, ალეკო, ალიბი 17. ტარხანი, მუხუხი, კურანი. 19. მეხიკო, მაწონი, მიხეილ. 20. ლელტოსი, ლიგენი, ლიმონი. 20. პიზიცია, პეტიცია, მილიცია.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 24 | ■ | 1 | ■ | 29 | 6 | 15 | 32 | 3 | 9 | 6 |
| 33 | 3 | 8 | 3 | 2 | 6 | ■ | 19 | ■ | ■ | 6 | ■ |
| ■ | 30 | ■ | 5 | ■ | 17 | 19 | 9 | 2 | 19 | 4 | 6 |
| 21 | 26 | 7 | 19 | 15 | 6 | ■ | 20 | ■ | ■ | 1 | ■ |
| ■ | 9 | ■ | 22 | ■ | ■ | 9 | 6 | 3 | 9 | 6 | 3 |
| 16 | 6 | 25 | 6 | 8 | 6 | ■ | ■ | 5 | ■ | ■ | 23 |
| 3 | ■ | 6 | ■ | 3 | ■ | 14 | 3 | 12 | 9 | 6 | 3 |
| 11 | 12 | 8 | 3 | 21 | 6 | ■ | ■ | 9 | ■ | ■ | 8 |
| 26 | ■ | 6 | ■ | 3 | ■ | 10 | 25 | 6 | 4 | 8 | 6 |
| 21 | ■ | 4 | ■ | ■ | 26 | ■ | ■ | ■ | ■ | 19 | ■ |
| 3 | 13 | 6 | 5 | 12 | 7 | 6 | ■ | 22 | ■ | 14 | ■ |
| ■ | 3 | ■ | 3 | ■ | 8 | ■ | 31 | 6 | 31 | 3 | ■ |
| 4 | 5 | 28 | 9 | 20 | 6 | ■ | ■ | 3 | ■ | ■ | 27 |
| ■ | 27 | ■ | 8 | ■ | ■ | 4 | 3 | 4 | 12 | 10 | 6 |
| 18 | 6 | 7 | 3 | 20 | 6 | ■ | ■ | 6 | ■ | ■ | 19 |

ა-3, ბ, გ, დ, ე-26, ვ, ზ, თ, ი 6, კ 1, ლ-8, მ, ნ, ო-19, პ, ჟ, რ 9

ს-4, ტ, უ 12, ფ, ქ, ღ, ყ, შ-14, ჩ, ც, ძ-31, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ

*„აჰა, რაღას უცდი,*
*დაწერე განცხადება,*
*შე უღმერთო,*
*ბარემ გათავდეს ეს*
*პრეზიდენტობა, გიგა“!*

პრესაში ბევრი წერდა, თუ როგორ გადადგებოდა სააკაშვილი. დღეს ეს საკითხი აქტუალურია, ამიტომ გთავაზობთ პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლის ბოლო წუთების ოდნავ შეცვლილ ვარიანტს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით.

ამდენი შიდა თუ გარე შეცდომების შემდეგ მიხილ სააკაშვილმა გადადგომა გადაწყვიტა და განცხადების დასაწერად მოემზადა. ბოკერიამ მოუსწრო.

— შენს მეტი ხომ არავინაა აქ, გიგა?

— არავინაა, მიშა ბატონო!

— კარგია, შენს მეტი რომ არავინ ესწრება ჩემს გადადგომას, გიგა... ვიცი, ჩემს პარტიაში ნახევარი ფულისთვის იყო შემოსული, ნახევარიც თანამდებობებისთვის, ხოლო, როცა პარტიაში ამდენი მედროვე გყავს და ამდენი უცხოელი დამკვირვებელი ჩამოვა, გოგორიშვილიც ვერ გაგამარჯვებინებს, გიგა. თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, თელავს რომ არ ელალატათ, იქაც ვძლევდი ივანიშვილს. იცოდე, სიყრმე და სიჭაბუკე პოლიტიკას შევწირე, მაგრამ ოპოზიცია გიჟს მეძახდა, პოზიცია — „მიშა მაგარიას“.

დამანელა „ნაციონალების“ კინკლაობამ, გიგა. ჩვენში ყველა ნაციონალს მინისტრობა სწყუროდა, მინისტრს — პრემიერ-მინისტრობა. პრემიერ-მინისტრს — პრეზიდენტობა. მუდამ ფეხქვეშ მეგებოდნენ ჩვენი „ნაციონალები“ და ოპოზიციის დიდი ნაწილი, მაგრამ ყველა მაინც ვერ დავიმორჩილე, ამიტომაც არ მიყვარდა ალასანია და პოლიტიკაში მოსვლისას წავეკიდე ბიძინას!

წინასაარჩევნოდ კარგი ვაჟკაცები და რიტორები ვართ, გიგა! ეგაა, ოღონდ, არჩევნების

# prezidentis gadadgoma
## (კონსტანტინე გამსახურდიასეულად)





— რა დროს გადადგომაა, ერთი წელი კიდევ დაგრჩათ, მიშა ბატონო.

— არა, ჩემი დღენი დათვლილია, უკვე მიწია ოკეანისგაღმელი პრეზიდენტის რისხვამ. მივდივარ ამ სასახლიდან, გიგა, უამბე ჩემი მონათხრობი, ვინც მომიკითხოს. ჯონ მაკკეინსაც და უკანასკნელ ახალგაზრდა„ნაციონალ“ მარიამ საჯაიასაც უამბე, გიგა.

მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც პრეზიდენტს, ისე, როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ნაკლი „ნაციონალებისა“ მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, ლიბერალიც ვიყავი და მართლმადიდებელიც, რუსეთს ვებრძოდი და მეშინოდა მურმან დუმბაძისაც, მაგრამ „ნაციონალებისთვის“ არასოდეს მიღალატია, გიგა!

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მედროვეები სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი პარტიის მედროვეები. კარგად დროს დანაპირები აღარ გვახსოვს გამარჯვებულებს.

ოდითგან ასე მოგვდგამდა „ნაციონალებს“, მუდამ კადრების სიმცირეს მივსტიროდით, რადგან თანამდებობები ბევრი გვქონდა მუდამ, მაგრამ პროფესიონალი „არანაციონალი“ თუ გამოგვერეოდა თანამდებობაზე, ისე დავკორტნიდით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

ახლა აღექი, გიგა, სოფლელი „ნაციონალი“ მომგვარე ვინმე, არ მიყვარს პამპულა ბაქრაძეები და გაბაშვილები. „ახლა არ მოგწონთ სააკაშვილი, ხომ?!“, რომ იძახის, იმ „ნაციონალის“ ბუტბუტი მენატრება, გიგა!

მიშა მცირე ხანს დადუმდა, უცნაურად დაემანჭა სახე, ჯიბიდან კალამი ამოიღო და ბოკერიას ესროლა: — აჰა, რაღას უცდი, დაწერე განცხადება, შე უღმერთო, ბარემ გათავდეს ეს პრეზიდენტობა, გიგა!

**რუსუდან პატარაია**

---

**სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელს, პროფესორ პაატა იმნაძეს, დაბადების დღეს ულოცავენ და უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს ცხოვრებაში — თანამშრომლები მურად კეკელიძე, ნინო მამუკაშვილი, ია ოზიაშვილი-გიორგაძე, მარინა უროტაძე**

---

**ამავე ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:**

1. კრუშონი. 2. პაიჭაძე. 3. პრიშტინა. 4. ჰალოგენი. 5. აკუსტიკა. 6. სიონისტი. 7. ტროლეი. 8 ტოლსტოი. 9. ლაჰტი. 10. ლოტოტრონი. 11. ნაიტლი. 12. სერვისი. 13. აბიატი.14. შანდალი. 15. კარამბოლი. 16. კრაკოვიაკი. 17. შოკოლადი. 18. ბასა. 19. ქარგილი. 20. ნაშვილი. 21. ტრუბადური. 22. სპენსერი. 23. კაბინეტი. 24. ტოზი. 25. დარეჯან ცბიერი. 26. სკარაბეუსი. 27. შინი. 28. პირამიდა. 29. იუდოფობი. 30. დოინჯი. 31. ბუნკერი. 32. რემი. 33. მცირე. 34. მონადირე. 35. ორკესტრი. 36. ჯიუჯიცუ. 37. კეინ. 38. ქაშერი. 39. დასენი. 40. ტუმბო. 41. ფაზა. 42. შიდო.43. დეცი 44. ფუილი. 45. აერაცია. 46. რაცია. 47. ფიტული. 48. ტანგა. 49. ნატრიუმი. 50. აბრისი. 51. ბრამანი. 52. ბარენცი. 53. ჰაიმორიტი. 54. იურგენ. 55. გასტრონომი. 56. ნივეა. 57. სანიტარი. 58. შოუ. 59. ალია. 60. კვანტალიანი. 61. მანი. 62. შანკრი. 63. ეშლი. 64. ემისია.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



* * *

**- არის თუ არა მემკვიდრე ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი?**

-საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან არ ანსხვავებს ქორწინებასა და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვების სამემკვიდრეო უფლებებს. ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენი შვილი, რომელიც ქორწინების გარეშე შეგეძინათ, ჩვეულებრივ ისევე მიიღებს მამამისის მემკვიდრეობას, როგორც ქორწინებაში შობილი ბავშვი.

თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება : იმისათვის, რომ ბავშვი მამის სრულუფლებიანი მემკვიდრე იყოს, ბავშვის მამობა აუცილებლად კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს აღიარებული. სხვა შემთხვევაში ბავშვი ვერ მიიღებს მამის მემკვიდრეობას.

* * *

**- შედის თუ არა სამკვიდროში საგვარეულო წიგნები?**

-სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები / ან ჩანაწერები /, ასევე, ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენებელი და სხვა საკულტო საგნები და საფლავი. ამ საგნების გადაცემა მემკვიდრეთათვის ხდება საზოგადოებაში ან იმ კონკრეტულ წრეში, ან ოჯახში დამკვიდრებული ჩვეულებების მიხედვით, რომელიც ამ საზოგადოებაშია დამკკვიდრებული.

* * *

**- როგორია სამკვიდრო ქონებაზე მოქმედი საგადასახადო რეჟიმი?**

-მსგავსი ხასიათი შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენი გაზეთის რედაქციაში.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა სახის გადასახადით დაიბეგრებით და რა შემთხვევებში, როდესაც იღებთ მემკვიდრეობას. ზოგადი წესების თანახმად, სამკვიდრო ქონება წარმოადგენს შემოსავალს, ხოლო შემოსავალი სახელმწიფოს მიერ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

თქვენ მთლიანად თავისუფლდებით საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, თუკი მემკვიდრეობა მიიღეთ როგორც პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრემ, ანუ როგორც გარდაცვლილის დედამ, მეუღლემ, შვილმა ან დამ.

იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობა მიიღეთ როგორც გარდაცვლილის ბებიამ, დეიდამ ან მამიდამ / მესამე და მეოთხე რიგის მემკვიდრემ/, მაშინ საშემოსავლო გადასახადიგან თავისუფლდებით, თუკი მიღებული ქონების ღირებულება არ აღემატება 150000 ლარს. თუკი ქონების ღირებულებამ გადააჭარბა აღნიშნულ თანხას, მაშინ საშემოსავლო გადასახადით, ჩვეულებრივ დაიბეგრება ის ოდენობა, რომლითაც ქონების ღირებულება აღემატება მითითებულ თანხას, ანუ თუკი თქვენს მიერ მიღებული ქონების ღირებულება შეადგენს 200000 ლარს - თქვენ მოგიწევთ მხოლოდ 50000 ლარის შესაბამისი გადასახადის გადახდა. ამ გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ქონების მიღებიდან ორი კალენდარული წლის განმავლობაში, არა უგვიანეს ყოველი ხუთი თვის 15 რიცხვისა, თანაბარ ნაწილებად.

ოჯახის წევრებისაგან მიღებული ქონება, ასევე, არ ჩაითვლება შემოსავლად ქონების გადასახადით დაბეგვრის დროს.

* * *

**- როდესაც პირს არ ჰყავს მემკვიდრე, რა ბედი ეწევა მის ქონებას გარდაცვალების შემდეგ?**

-იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები, ან არცერთმა მემკვიდრემ მიიღო მემკვიდრეობა, ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის მიღების უფლება, მაშინ ქონება გადადის სახელმწიფოზე. ამ შემთხვევაში, მამკვიდრებლის ვალებზე , სახელმწიფო აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე სამკვიდრო ქონების ფარგლებში.

ხოლო, თუკი პირი გარდაცვალებამდე იმყოფებოდა მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებაში - მაშინ გარდაცვლილი პირის ქონება გადადის ამ დაწესებულების საკუთრებაში.

თუ მამკვიდრებელს გააჩნდა წილი ამა თუ იმ სამეწარმეო ორგანიზაციაში და მას არ დარჩა მემკვიდრეები, ამ დროს გარდაცვლილის წილი / აქციის, პაის ან სხვა სახით /, გადადის თავად ამ სამეწარმეო ორგანიზაციის საკუთრებაში, თუკი კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს.



* * *

**- განქორწინებისას მეუღლესთან ქონებრივი დავა არ მქონია. ახლა გაჩნდა ეს დავა. ჩვენი განქორწინებიდან გავიდა ოთხი წელი. შეიძლება თუ არა ამ დროის გასვლის შემდეგ ყოფილ მეუღლესთან სამოქალაქო დავის დაწყება?**

-განქორწინების შემდეგ მეუღლეებს საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა შეუძლიათ განქორწინებიდან სამი წლის განმავლობაში.თუკი ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ მეუღლეს არ განუცხადებია არავითარი პრეტენზია საერთო ქონებაზე, შემდგომ მისი მოთხოვნა ჩაითვლება დაგვიანებულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენი განქორწინებიდან გასულია ოთხი წელი, ქონების გაყოფის მოთხოვნა უკვე დაგვიანებულია.

თავმოსულელებულნი.

# metyveli mixo

მიხო თანასოფლელებს დაენიძლავა: — ჩვენს სოფელში ისეთ ადგილას დავიმალები, რამდენიც უნდა მეძებოთ, ვერ მიპოვითო.

დაიმალა მიხო, ეძებენ თანასოფლელები და ვერ პოულობენ.

ერთი კვირის თავზე მიხო თვითონ გამოცხადდა „ბირჟაზე“.

თანასოფლელები გაოცებულნი ეკითხებოდნენ:

— მთელი სოფელი გადავატრიალეთ და ვერ გიპოვეთ. სად იყავ, სად დაიმალე ეგეთ ადგილას?

— ბუბლიოთეკაში ვიჯექ, — უპასუხა მიხომ.

ეს მეორე მიხოც, პრეზიდენტად რომ გვყავს ის მიხოი, „დასამალად“ და იქიდან ბრძნული სიტყვების წარმოსათქმელად ბიბლიოთეკისკენ გაექანა.



**— რა უნდა სააკაშვილს ბიბლიოთეკაში? — გაიკვირვა ბიძინა ივანიშვილმა, — საკაშვილი ხომ მკითხველი არ არის, სააკაშვილი მეტყველია.**

როგორც იცით, ბიბლიოთეკაში დამალვა არ გამოვიდა და პრეზიდენტად წოდებულმა მეტყველმა მიხომ თავისი რეზიდენციიდან სცადა მეტყველება, მაგრამ, ვაი, იმ მეტყველებას — კაცი კინაღამ დაიხრჩო — თითქოს ყელში ბურთი ჰქონდა გაჩრილი — მოსვამდა წყალს, ჩააბრუნებდა ბურთს უკან, მაგრამ ცოტა ხანში ბურთი ისევ ჯიუტად აწვებოდა ხორხს და გუდავდა.

**სოციალურ ქსელებში დიდი განგაში ატყდა — არიქა, რაღაც უშველეთ ამ კაცს, ან ექიმი გამოუძახეთ, ან კონიაკი დაალევინეთ, ან რაიმე აყნოსინეთ, თორემ დაედო საქართველოს ამ უბედურის ცოდვაო.**

მეტყველმა სააკაშვილმა მეტყველების უნარი დაჰკარგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსროლილი ფრაზებიდან მხოლოდ იმის გაგებაღა შეიძლებოდა, რომ მიხო კოაბიტაციის რეჟიმში ცხოვრებას ითხოვდა, არგუმენტად კი მის მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეებს იხსენებდა, — თუმცა, ამ ცხრა წლის განმავლობაში მის მიერ დატრიალებული საშინელებების ხსენება დაავიწყდა.



ასეთი ნირწამხდარი, შინაგანად (და გარეგანადაც) დაშლილი და დანგრეული სააკაშვილი ჯერ არავის უნახავს — კაცი ხროტინებდა, სლოკინებდა, სულს ვერ ითქვამდა...



და კიდევ ერთი რამ: მართალია, სააკაშვილი ქართულის ცოდნით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ 8 თებერვლის გამოსვლა მაინც სასწაული იყო — საკაშვილი წინადადებას ვერ მართავდა, ერთმანეთში ერეოდა ბრუნვები, შემასმენელს და ქვემდებარეს ერთმანეთს ვერ უწყობდა, აზრს ვერ კრავდა და ვერ ამთავრებდა.

მოკლედ რომ მოვჭრათ, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილს ქართული საერთოდ დაავიწყდა და რაღაც ახალ ენაზე მეტყველებდა.

დიდმა შოკმა და დიდმა შიშმა იცის ასე...

**ეტყობა, ავად არის ეს კაცი, სერიოზულად ავად არის და იმის ნაცვლად, რომ საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოს, სხვის ავადმყოფობაზე ლაპარაკობს.**

წინადადება შემომაქვს, მივცეთ ამ ადამიანს დასვენების საშუალება, დაისვენოს თვითონაც და დაგვასვენოს ჩვენც.

თუ ამას გააკეთებს, **იქნებ იმის გარანტიაც მივცეთ, რომ არ დავიჭერთ, დევნას არ დავუწყებთ, ოღონდ წავიდეს აქედან და დაგვასვენოს.**

თუ გულწრფელნი ვიქნებით, მთლად მისი ბრალი არ არის, რაც მან ამ ცხრა წლის განმავლობაში აკეთა.

პირველ ყოვლისა, ეს მისი ავადმყოფობის ბრალია და მერე ჩვენი, რადგან ჯანმრთელსა და ავადმყოფს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევთ.

ერი, რომელიც ავადმყოფს ირჩევს თავკაცად, თვითონაც ვერ არის ჯანსაღად.

ამიტომ, მოდით, ჩვენც ვიმკურნალოთ — მეტი ვიფიქროთ, კრიტიკულ აზროვნებას შევეჩვიოთ, ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ, ჭკვიანი და გონიერი ადამიანებისთვის ყურის მიგდება ვისწავლოთ და ასე გამოვჯანმრთელდეთ.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.

**კურო** — თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.

**ტყუპები** — მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.

**კირჩხიბი** — შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.

**ლომი** — დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.

**ქალწული** — გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.

**სასწორი** — იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.

**მორიელი** — კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.

**მშვილდოსანი** — მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.

**თხის რქა** — მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.

**მერწყული** — ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.

**თევზები** — ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.





მაჰმუდ ტურიზმი
MAHMUT TURİZM
ULUSLARARASI TAŞIMACILIK
BATUM - KUTAİSİ - TİFLİS - MARNAULİ - KARDABANİ - RUSTAVİ
İstanbul İrtibat +90 (212) 633 02 20 - 0531 715 75 85
Tiflis İrtibat 72 25 46 Cep : 877 40 24 38
Küçüklanga Cad.Emniyet Garajı C-5 Aksaray / İST.
www.mahmutturizm.com
„მაჰმუდ ტურიზმი“ — კომფორტაბელური, ევროპულად აღჭურვილი ლაინერებით, თითოეულ სავარძელზე პერსონალური ტელევიზორით, საუკეთესო სერვისით და ახალგაზრდა გამცილებლებით.
„მაჰმუდ ტურიზმი“ — ჭედნიერად იმგზავრეთ და ისიამოვნეთ!